



საქართველოს კულტურის
ძეგლთა დაცვისა და
სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF CULTURE
MONUMENTS PROTECTION
AND SPORT OF GEORGIA



საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო
NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის სახელმწიფო პროგრამა

STATE PROGRAMME FOR GEORGIA'S
CULTURAL HERITAGE PRESERVATION

2008



redaqt or i sagan | EDITOR INTRODUCTION

წინამდებარე წიგნი თავს უყრის შოლოდ ერთი წლის მანძილზე განხორციელებულ პროექტებს, თუმცა იგი მართო ამით არ იფარგლება. ეს პერიოდი – 2008 წელი – აგრძელებს წინა წლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით გაწეულ შრომასაც და, ამავედროულად, უწყვეტი ჯაჭვით, მომავალ წლებში ჩასატარებელი სამუშაოების ჰორიზონტსაც სახავს. გამოცემაში თავმოყრილია უძრავ და მოძრავ ძეგლებთან, მათ რეაბილიტაციასთან, პოპულარიზაციასთან, კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიებთან, მუზეუმებთან, სამეცნიერო კვლევებთან და მომზადებულ მიმართულებებთან დაკავშირებული საკითხები, ანუ ყველაფერი ის, რაც ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ჩატარებული სამუშაოები კვლავაც ორი ძირითადი დონისგანდის წყაროთი განხორციელდა: სახელმწიფო ბიუჯეტითა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის – საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის მიერ გამოყოფილი სახსრებით. მადლობა ამ ფონდის მესვეურთ, ყველა იმ ადამიანს, ვინც მრავალი კარგი პროექტის განხორციელების შესაძლებლობას ქმნის.

წიგნში წარმოდგენილი მასალა მრავალფეროვანია. ჩატარებული სამუშაოების გარდა, იგი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის საერთო სურათსაც გვიჩვენებს.

This volume represents the outcome of works performed during the last year. The period of 2008 is the continuation of incessant working process that reveals new horizons for future activities. The volume covers all the significant issues concerning the rehabilitation and popularization of movable and immovable heritage, cultural heritage territories, museums and scientific research, in other words, shows all the important activities that form part of the state policy in this field. Majority of projects were funded by two sources – the State Budget and our strategic partner – Foundation for Protection and Rescue of Historical Monuments of Georgia. We would like to express special gratitude to the staff of the foundation and to all those people who support effective performance of numerous important projects.

The volume illustrates the range of activities carried out during the last year; on the other hand it shows the realistic picture of the situation in the field of cultural heritage.



სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი (თავმჯდომარე)
ირმა დოლიძე
ვერა შანიძე
დიანა ბოლოთაშვილი

Editorial Board:

Dr. Nickoloz Vacheishvili (chairman)
Dr. Irma Dolidze
Ms. Vera Shanidze
Ms. Diana Bolotashvili

ინგლისური თარგმანი:
პეტრე დგებუაძე

English translation:
Peter Dgebuaдзе

სარჩევი CONTENTS



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის მიმართულებები	8	Basic Components of 2008 State Program for Protection of Cultural Heritage
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სისტემატიზაცია-დოკუმენტირება	10	Ranking and Registration of Monuments of Cultural Heritage
სამუზეუმო რეფორმა	40	Museum Reform
საერთაშორისო პროექტები	48	International projects
კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე	52	Cultural Heritage Monitoring
კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ამოქმედება	54	Putting into Operation of the Cultural Heritage Database Unified System
კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ახალი გამოცემები	58	Georgian Cultural Heritage Research and Promotion Program
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია	90	Rehabilitation of the Monuments of Cultural Heritage
თბილისის მეტეხის ტაძარი	92	Metekhi Church, Tbilisi
ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. №5-ში მდებარე შენობა	96	Building No. 5, Tabukashvili Str., Tbilisi
სოფ. ნაბახტევის ღმრთისმშობლის ეკლესია	98	Nabakhtevi St. Marry Church
მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი	102	Mtskheta Jvari Monastey Minor Church
ატენის სიონი	104	Ateni Sioni Church
“ბზიანის” კომპლექსი	106	“Bziani” Complex
სამთავისის კომპლექსის განმედიით და დროებითი საკონსერვაციო სამუშაოები	108	Tiding up of Samtavisi Complex and Temporary Conservation Activities
სამთავისის სამრეკლო	110	Samtavisi Temple Bell-Tower
სამთავროს მონასტერი	112	Samtavro Monastery
შიომღვიმე	114	Shiomgvime Monastery
ხცისის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია	118	Khtsisi John the Baptist church
ფიტარეთის ღმრთისმშობლის ეკლესია	120	Phitarety church
წალკის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია	124	Tsalka John the Baptist church
წინწყაროს “დედალეთისა”	126	Tsintskaro “Mother of God” Church
საცხენისის ღვთისმშობლის სახელობის ბაზილიკა	128	Satskhenisi Church
ქვემო წერაქვის სამონასტრო კომპლექსი	130	Kvemo Tserakvi Monastery Complex
სოფ. ამღივის სამების ეკლესია	132	Holly Trinity Church, Amlivi village
ჩხიკვთის სიონი	134	Chkhikvti Sioni
“ამიდასტურის” წმ. გიორგის ტაძრის ტერიტორიის არქეოლოგიური გათხრები	136	Archaeological excavations on the Territory of Amidasturi St. George Church
ბახტრიონის ეკლესია	140	Bakhtioni Church
ხევსურეთი, მუცოს კომპლექსი	142	Khevsureti, Mutso Complex
ანანურის კომპლექსი	146	Ananuri Complex

სარჩევი CONTENTS



თუშეთი, სოფელი დართლო	148	Tusheti, village Dartlo
დაბა მესტიის კოშკები	152	Mestia Towers
მესტია, მარგიანების საგვარეულო კომპლექსი	156	Mestia, Margiani Family Complex
ალავერდის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	158	Alaverdi St. George Temple
ვაჩნაძიანის ყველანმინდა	162	Vachnajiiani Khvelatsminda Church
ქასური წმ. გიორგის ეკლესია	164	Kasuri St. George Church
ძველი შუამთა	166	Dzveli(Old) Shuamta
ძველი გავაზი	168	Dzveli(Old) Gavazi
კარდენახის “საბანმინდის” ეკლესია	169	Kardenakhi Sabatsminda(St. Sabah) Church
ახალი შუამთა	170	Akaali(New) Shuamta
ხოშათიანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია	172	Khoshatiani Mother of God Church
ავენისის წმ. გიორგის სახელობის სამეკლესიანი ბაზილიკა	176	Avenisi St. George Tree-Nave Basilica
ანჭურის ღმრთისმშობლის ტაძარი	178	Atskuri Mother of God Church
დაბა აბასთუმანი, ფალიაშვილის ქ. №24-ში მდებარე დედათა მონასტერი	182	Nunnery at 24, Z. Paliashvili Str., Abastumani
ზარზმის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია	184	Zarzma Mother of God Assumption Church
ბაგრატის ტაძარი	186	Bagrati Cathedral
გელათის სამონასტრო კომპლექსი	190	Gelati Monastery complex
გელათის სამონასტრო კომპლექსში მდებარე აკადემიის შენობის არქეოლოგიური და გამაგრებითი სამუშაოები	196	Archaeological excavations and further reinforcement of the building of Academy at Gelati Monastery
გამოჩინებულის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	198	Gamochinebuli St. George Church
კისორეთის წმ. გიორგის ეკლესია	200	Kisoreti St. George Church
ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ახალი შენობის პროექტირება	202	Kutaisi Niko Berdzenishvili State History Museum New Building Full-Scale Project Documentation
მარტვილის მონასტრის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული მარანი	204	The Historical Vine Cellar on the Territory of Martvili Monastery
მარტვილის ღმრთისმშობლის ტაძარი	206	Martvili Mother of God Church
სოფ. კორცხელის ეკლესიასთან დამენყრილი ზონის საყრდენი კედლის მოწყობა	208	Arrangement of the abutment aganste the landslide zone next to Kortskheli Church
კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია	210	St. Kvirike and St. Ivita Church
მრავალძალის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	212	Mravaldzali St. George Church
ზემო კრიხის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია	214	Archangels Church of Zemo Krikhi
კვიპროსი, ღალიას მონასტრის არქეოლოგიურ-კვლევითი სამუშაოების გაგრძელება	216	Continuation of Archaeological Excavations and Research of Ghalia Monastery, Republic of Cyprus
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ჩამოყალიბება	218	Establishment of the Legal Entity of the Public Law – National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო	220	Cultural Heritage Protection Committee
კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი	222	Cultural Heritage Department

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის მიმართულებები

- საქართველოს ურბანული კომპლექსების დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სისტემატიზაცია-დოკუმენტირება;
- საქართველოს მუზეუმების, მუზეუმ-ნაკრძალების რეაბილიტაცია და მართვის სისტემების გაუმჯობესება;
- საერთაშორისო პროექტები და ვალდებულებები;
- კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგი;
- კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის ამოქმედება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია;
- ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის პროგრამა.

პროგრამის პრიორიტეტები

- ისტორიული დასახლებებისა და ქალაქების დაცვის კომპლექსური მექანიზმის შემუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რეაბილიტაცია;
- სამუზეუმო რეფორმის განხორციელება;
- საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საინფორმაციო ბანკის ამოქმედება;
- კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ახალი გამოცემები;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ინვენტარიზაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგი საქართველოს ტერიტორიაზე;
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მიმართულებით.

BASIC COMPONENTS OF 2008 STATE PROGRAM FOR PROTECTION OF CULTURAL HERITAGE:

- Program for Protection and Rehabilitation of Urban Districts of Georgia;
- Systematization and Registration of Monuments of Cultural Heritage;
- Rehabilitation of Museums and Museum-Resorts of Georgia and Improvement of their Management System;
- International Projects and Commitments;
- Monitoring of Cultural Heritage;
- Putting into operation of the Cultural Heritage Unified Database System of;
- Rehabilitation of the Monuments of Cultural Heritage;
- Monitoring and Research of the Monuments of Cultural Heritage of Georgia Located Abroad, Planning and Implementation of Joint Measures with the Host Countries;
- Program for Research and Promotion of Cultural Heritage of Georgia.

PROGRAM PRIORITIES

- Elaboration of Integrated Measures for Protection of Historical Settlements and Towns;
- Rehabilitation of Monuments of Cultural Heritage;
- Implementation of Museum Management Reform;
- Putting into Operation of Internationally Compatible Database of Monuments of Cultural Heritage;
- Cultural Heritage Promotion and New Publications;
- Inventory of Monuments of Cultural Heritage;
- Cultural Heritage Monitoring throughout the Country;
- Sharing of the Best International Practice for Protection and Preservation of Cultural Heritage of Georgia.



კულტურული მემკვიდრეობის კავშირების სისტემატიზაცია-დოკუმენტაცია

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სისტემატიზაცია-დოკუმენტაცია სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა წლების განმავლობაში (2004-2007 წწ.), აღნიშნული მიმართულების მიზანია – სახელმწიფო ფლობდეს სრულ ინფორმაციას ძეგლის (უძრავი, მოძრავი) შესახებ მისი ფიზიკური მდგომარეობისა და სხვა საკვლელო მონაცემების გათვალისწინებით.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სისტემატიზაცია-დოკუმენტაცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშიც გაგრძელდა. სამინისტროს დაკვეთითა და კოორდინაციით აღნიშნული მიმართულებით განხორციელდა შემდეგი პროექტები:

უკრავ კავლთა მიმართულებით

- ისტორიული პროვინცია თორის (ბორჯომის რაიონი) უძრავი ძეგლების დაფარვითი ინვენტარიზაცია;
- ხარაგაულის რაიონის უძრავი ძეგლების დაფარვითი ინვენტარიზაცია;
- უძრავ ძეგლთა პასპორტიზაცია ზემო სვანეთში;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ინვენტარიზაცია და ფოტოგრაფირება თუშეთში;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაცია ხევსურეთში;
- ქართლის (ათენი, ზზა, აძიკვი, ტბისი) ეკლესიათა საფასადო რელიეფების პასპორტიზაცია;
- უფლისციხის არქიტექტურული ძეგლების აღრიცხვა და არქეოლოგიური მასალის პასპორტიზაცია;
- ბოლნისის რაიონის ადრექრისტიანული პლასტიკის ძეგლების ინვენტარიზაცია;
- სენაკის რაიონის სიძველეთა პასპორტიზაცია და დაცული ზონების ფორმირება” (II ეტაპი).

მოქრავ კავლთა მიმართულებით

- საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექციის აღრიცხვა-პასპორტიზაცია;
- თბილისის ნ. დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრის მუზეუმის კოლექციის პასპორტიზაცია;
- პროექტის – სსიპ ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდების ინვენტარიზაცია (ძველი შენობის რეკონსტრუქციისა და ახალი სამუზეუმი შენობის დაპროექტების ფარგლებში).

RANKING AND REGISTRATION OF MONUMENTS OF CULTURAL HERITAGE

Systematization and registration of monuments of cultural heritage has been one of the priorities of the Sate Program for several years (2004-2007). The priority is aimed at provision of the State with full range of information on particular monument of cultural heritage –no matter moveable of immoveable, that shall include data on its physical state and any other required information.

The process of registration of the monuments of cultural heritage is being continued within the framework of the 2008 State Program for Cultural Heritage Protection. Projects requested and/or coordinated by the Ministry for the purposes of implementation of the aforementioned priority are as follows:

REGARDING THE IMMOVEABLE MONUMENTS

- Full-Scale Inventory of Immoveable Monuments Located in the Historical Province of Tori (Borjomi District),
- Full-Scale Inventory of Immoveable Monuments located in Kharagauli District;
- Registration of the Immoveable Monuments located in Upper Svaneti;
- Inventory and Filming of Cultural Heritage Sites in Tusheti;
- Inventory of the Cultural Heritage Sites in Khevsureti;
- Registration of Church Façade Risings in Kartli (in the villages of Ateni, Bza, Adzikvi,Tbisi);
- Registration of Uplistsikhe Architectural Monuments and Documentation of Archaeological Findings;
- Inventory of Monuments of Early Christian Plastics in Bolnisi District;
- Registration of Antiquities Located in Senaki District and Protected Zone Demarcation (II stage).

REGARDING MOVEABLE MONUMENTS

- Inventory and Registration of Zacharia Paliashvili Tbilisi State Opera and Bally Theater Collection Deposited in the National Archive of Georgia;
- Registration of N. Dumbadze Children's Central Theatre Museum Collection;
- Project – Inventory of the Legal Entity of the Public Law – N. Berdzenishvili State Historical Museum Collections (within the Framework of Refurbishment of an Old Building and Drafting of the Design for the New Building for the Museum).



ისტორიული პროვინცია თორის (ბორჯომის რაიონი) უძველესი ძეგლების დაფარვითი ინვენტარიზაცია

პროექტის შედეგად ინვენტარიზაცია და იდენტიფიკაცია ჩატარდა ისტორიული პროვინცია თორის, ამჟამინდელი ბორჯომის რაიონის ტერიტორიაზე არსებულ უძველეს ძეგლებს. სრულად აღირიცხა, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, გამოვლინდა დღემდე უცნობი არაერთი ნიშნული; მათ შორისაა – ორი ნაშთსახლარი ციხისფერის მიდამოებში და ნაშთსახლარი ცხრანყარო-ტაბანყურის გზაზე.

საკულტო ნაგებობების გარდა, ინვენტარიზაცია ჩატარდა ტრადიციული საცხოვრებელი სახლის ნიმუშებსა და საინჟინრო ნაგებობებს: საკირეში, ტაძრისში, ციხისფერში, წაღვერში, ლიკანში, მშეთამბეში, ცეშში. დაფიქსირდა რკინიგზის სადგურების ძველი შენობები (დაბა წაღვერი, ცეშ) და XX საუკუნის დასაწყისის საინჟინრო ნაგებობები – ლითონის სარკინიგზო ხიდი დაბა ცეშთან და საკირესთან.

მოხდა თითოეული ძეგლის დეტალური ფოტოფიქსაცია, მომზადდა ანოტაციები, დაფიქსირდა GPS კოორდინატები, შეფასდა ძეგლების ფიზიკური მდგომარეობა და მხატვრულ-ისტორიული ღირებულება. თითოეულ ძეგლზე შეიკრიბა სააღრიცხვო ბარათი. აღნიშნული ინფორმაცია იტვირთება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო საინფორმაციო ბაზაში.



დაბა, წმ. გიორგის ეკლესია | Daba Village, St. George Church



გუჯარეთი, წითელი ეკლესია | Gujareti Village, the Red Church

FULL-SCALE INVENTORY OF IMMOVEABLE MONUMENTS LOCATED IN THE HISTORICAL PROVINCE OF TORI (BORJOMI DISTRICT)

As a result of implementation of the Project, all immoveable monuments with cultural heritage value located in the historical province of Tori, which almost entirely collides with the present-day Borjomi District, were identified and registered through the detailed inventory. Several up to now unknown monuments were revealed during the process, two of which - both the settlement remains, one located in the outskirts of Tsikhisjvari village and another - close to Tskhratskaro-Tabatskhuri motorway were regarded as the most important.

Together with the monuments of cult service several samples of traditional secular architecture, mostly dwelling houses and various engineering structures were registered in the villages of Sakire, Tadzrisi, Tsikhisjvari, Tsagveri, Likani, Mzetamze and Tsemi. Detailed inventory of old railway stations in Tsagveri and Tsemi and of early XX century prefabricated iron bridges at Tsemi and Sakire villages were carried out.

Each of them was filmed in details, an executive summary has been prepared, GPS coordinates established, coupled with the estimation of physical conditions and historical and artistic value of every monument. Registration Cards were introduced for each particular monument. The relevant information is entered in the State Database of National Agency for Cultural Heritage Protection.



საკირიკის მონასტრის კედლის მხატვრობა | Sakviriki Monastery Wall Painting



სლესის ციხე | Slesi Castle



ცეშის ხიდი | Cemi bridge



ტაბანყური, წითელი საფარი | Tabatskuri, The Red Chape



დიდი მტარბი | Didi Mitarbi



საკირე, სამსონიძის სახლი | Sakire, Samsonidze's House

ხარაგაულის რაიონის უძველესი ქვეყნის დაუზარალო იმედიარისა

ხარაგაულის რაიონი, რომელიც იმერეთის მთიან ნაწილს მოიცავს, არქიტექტურული ძეგლებით მდიდარი რეგიონია. კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ინვენტარიზაცია აქ თავდაპირველად 1970-იან წლებში, ძველთა დაცვის სამმართველოს ინსპექციის მიერ ჩატარდა და სამოცამდე ძეგლი აღინუსხა, რაც, ბუნებრივია, არ ასახავდა ხარაგაულის რაიონის ძეგლების სრულ სურათს.

ნაკლები ინფორმაციის შესავსებად ხარაგაულის რაიონში მოეწყო ექსპედიცია, რომლის შედეგადაც აღირიცხა ხუროთმოძღვრების 150-მდე ნიმუში – საკულტო, სათავდაცო, ხალხური და ქალაქური საცხოვრებელი ნაგებობები. დაფიქსირდა, ასევე, შუა საუკუნეების ეკლესიებში შემორჩენილი ფრესკული მხატვრობის ნიმუშების (ბორითის სავანის წმ. გიორგის ეკლესია, ვანის წმ. გიორგის ეკლესია, უბისას წმ. გიორგის ეკლესია, მირონწმინდის ეკლესია და ვარძიის მონასტერი) მდგომარეობაც. აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის რაიონის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები ხუროთმოძღვრული ტიპითაც მრავალფეროვანია. ქრონოლოგიური თვალსაზრისით ისინი IX-X საუკუნეებიდან მოყოლებული XX საუკუნის შუა წლებს მოიცავს. ასეთი ფართო დროითი დიაპაზონის გათვალისწინებით კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების სისტემატიზაცია-ინვენტარიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თითოეულ მათგანს ენიჭება შესაბამისი კოდი და შედის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო საინფორმაციო ბაზაში.



ხარაგაული, სასტუმრო "უღელტეხილი" | Kharagauli, "The Pass" Inn

FULL-SCALE INVENTORY OF IMMOVEABLE MONUMENTS LOCATED IN KHARAGAULI DISTRICT

Kharagauli District that covers the highlands of the historical province of Imereti abounds with architectural monuments. Their initial registration has been undertaken here as early as in mid-seventies of the last century, when up to 60 monuments were registered by the inspection team of the Department of Protection of Monuments of Culture. This number did not reflect the actual state of affairs as it is far less compared with the actual amount of monuments scattered throughout the District.

An expedition has been sent to Kharagauli District to close the existing information gap regarding the cultural monuments. As a result, up to 150 architectural sites were registered – including cult service and fortification structures coupled with rural and urban dwelling buildings. All remains of medieval wall paintings of Boriti St. George church, Vani St. George church, Ubisa St. George church, Mirontsminda (Holly Myrrh) church and Vardzia Monastery were registered as well. The mentioned above immovable monuments of cultural heritage in Kharagauli Region vary in type. Chronologically they cover a huge span of time from early IX till the late XX centuries. Each of those monuments are given the particular code and information is entered in the State Database of the National Agency for Cultural Heritage Protection.



ხარაგაული, სასტუმრო "უღელტეხილი" | Kharagauli, "The Pass" Inn



ღორეშა, ორჯონიკიძეების კარ-შიდამო | Ghoresha Village, The Orjonikidzes Estate



ღორეშა, ორჯონიკიძეების კარ-შიდამო | Ghoresha Village, The Orjonikidzes Estate



ღორეშა, ორჯონიკიძეების კარ-შიდამო | Ghoresha Village, The Orjonikidzes Estate




ღორეშა, ორჯონიკიძეების კარ-შიდამო | Ghoresha Village, The Orjonikidzes Estate



ხარაგაული, წყარო | Kharagauli, The Spring



მარელისი, მაცხოვრის ეკლესია | Marelisi Church of Christ the Savior

Zegl Ta si s t e m a t i z a c i a - d o k u m e n t i r e b a R A N K I N G A N D R E G I S T R A T I O N O F T H E M O N U M E N T S	
u Z r a v Z e g l T a m i m a r T u l e b i T R E G A R D I N G T H E I M M O V A B L E M O N U M E N T S	
	<p>მარელისი, ბერეწმინდა, წმ. გიორგის ეკლესია Marelisi, Beretsminda, St. George Church</p>
	 <p>მარელისი, ბერეწმინდა, წმ. გიორგის ეკლესია Marelisi, Beretsminda, St. George Church</p>
	<p>წმ. გიორგის ეკლესია, სამხრ. კარის ლუნეტის რელიეფი St. George Church, The Rising Work over Southern Entrance Door</p>
	<p>წმ. გიორგის ეკლესია, დას. კარის ლუნეტის რელიეფი St. George Church, The Rising Work over Western Entrance Door</p>
	<p>რკინიგზის ხიდი ნუნისის წყალზე Railway bridge over the Nunisi water</p>
	<p>რკინიგზის ხიდი ნუნისის წყალზე Railway bridge over the Nunisi water</p>
k u l t u r u l i m e m k v i d r e o b i s d a c v i s 2 0 0 8 w l i s s a x e l m w i f o p r o g r a m a 2 0 0 8 S T A T E P R O G R A M M E F O R C U L T U R A L H E R I T A G E P R E S E R V A T I O N	

Zegl Ta si s t e m a t i z a c i a - d o k u m e n t i r e b a R A N K I N G A N D R E G I S T R A T I O N O F T H E M O N U M E N T S	
u Z r a v Z e g l T a m i m a r T u l e b i T R E G A R D I N G T H E I M M O V A B L E M O N U M E N T S	
	<p>თეთრანჯარო, ს. დვალის კარმიდამო Tetritskaro, S. Dvali's Estate</p>
	<p>თეთრანჯარო, ს. დვალის კარმიდამო Tetritskaro, S. Dvali's Estate</p>
	<p>ხარაგაული, რკინიგზის სადგური Kharagauli, The Railway Station</p>
	<p>ხარაგაული, რკინიგზის სადგური Kharagauli, The Railway Station</p>
	<p>თეთრანჯარო, ეკლესია Tetritskaro, A Church</p>
	<p>თეთრანჯარო, ეკლესია, სამხრ. ფსადი, შესასვლელი კარი Tetritskaro, A Church, Southern Entrance Door</p>
k u l t u r u l i m e m k v i d r e o b i s d a c v i s 2 0 0 8 w l i s s a x e l m w i f o p r o g r a m a 2 0 0 8 S T A T E P R O G R A M M E F O R C U L T U R A L H E R I T A G E P R E S E R V A T I O N	

შპჩაჲ კეჲლთა ჰასჲორტიჲსჲი ჴეჲო სჲანეთჲი

სჲანეთი, საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარე, მდიდარია კულ-ტურული მემკვიდრეობის ძეგლებით (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ძეგლები). 2007 წელს მოძრავ ძეგლთა ინვენტარიზაციის მიმართულებით განხორციელდა ქვემო სჲანეთის ეკლესიებში დაცული ფერწერული და ჭედური ხატების აღრიცხვა-პასპორტიზაცია. 2008 წელს ინვენტარიზაცია წა-რიმართა ჴემო სჲანეთში უძრავი ძეგლების მიმართულებით. შესრულდა თერთმეტი, მაღალმხატვრული ღირებულების მქონე, უძრავი ძეგლის პა-სპორტი* ჴემო სჲანეთის სამ თემში – მესტიაში, ლენჯერსა და ლატალში. კერძოდ:

- მესტიის თემში:** ლაღამის მაცხოვრის ეკლესია, ლეხთავის ლამარიას ეკლესია, ფუზდის ეკლესია.
- ლენჯერის თემში:** ნესგუნის მაცხოვრის ეკლესია, ლაშთხვერის თარინგ-გელის ეკლესია, მხერის ეკლესია.
- ლატალის თემში:** იენაშის იანის ეკლესია, მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესია, მაცხვარიშის თარინგგელის ეკლესია, იფხის ჯგრაგის ეკლესია, თანღილის თარინგგელის ეკლესია.

პასპორტების შედგენისას მოხდა თერთმეტივე ძეგლის დეტალური აზომვა, მოხატულობათა სქემების ჩახატვა, ფოტოფიქსაცია, დაზიანებათა აღწერა შესაბამისი დოკუმენტრებით. თანაბარი ყურადღება დაეთმო როგორც არ-ქიტექტურას, ასევე მხატვრობას.

არქიტექტურის შემთხვევაში მოხდა სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენის განშრევა და დათარიღება, რაც მნიშვნელოვანია, რადგან სამეცნიერო ლი-ტერატურაში მწირი მასალა მოიპოვება სჲანეთის საეკლესიო ხუროთმოძ-ვრების შესახებ. ძეგლების უმეტეს ნაწილს გააჩნია მინაშენები. თავად ეკლესიები მოიცავენ სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფენას ინტერიერშიც და საფასადო მხატვრობაშიც.

* სააღრიცხვო ბარათისგან განსხვავებით, რომელიც დიდი რაოდენობის ძეგლებისა და მთელი რეგიონების სიძველეთა აღსანუსხავად გამოიყენება, პასპორტი სქელტანინი დო-კუმენტი, თითოეული ძეგლის შესახებ ფართო ინფორმაციას მოიცავს და მის მომზადება-შედგენას დიდი დრო, თანხები და ადამიანური რესურსები ესაჭიროება.

REGISTRATION OF IMMOVABLE MONUMENTS IN UPPER SVANETI

Svaneti – one of the historical provinces of Georgia is abounded with both im-moveable and moveable monuments of cultural heritage. The previous year was devoted to the registration of moveable monuments of cultural heritage located in Lower Svaneti, when all of the painted and metal icons preserved in churches of that region were provided with relevant detailed certificates-passports*. Within the framework of the State Program for the year of 2008 immoveable monuments of Upper Svaneti were registered. Totally twelve immoveable mon-uments of the most significant artistic value located in three communities of the region – Mestia, Lenjeri and Latali where registered and the passports for each of them were prepared. Those churches were as follows:

- Laghami church of Christ the Survivor; Lekhtagi curch of St. Lamaria and Fuzde church in **Mestia community**;
- Nesguni curch of Christ the Survivor; Lashtkhveri curch of the Taringlezi (Archangel) and Mkheri church in **Lenjeri community**;
- Neashani lani church, Matskvarichi church of Christ the Survivor; Matskvarichi church of the Taringlezi (Archangel), Ipkh church of Jghreg (St. George) and Tanghili church of the Taringlezi (Archangel) in **Latali community**.

Detailed drawings and layouts of all of the twelve monuments were ac-complished and the inventory of preserved wall paintings was made – they were copied through charting the respective diagrams, coupled with films and precise registration of all damages. Both architecture and wall painting of those monuments were equally studied and registered.

Regarding the architecture separation of all different chronological layers, their definition and dating can be regarded as the most important achieve-ment of the Project in question, as far as the scientific literature still signifi-cantly lacks the information regarding Christian architecture in Svaneti. Most of the monuments are with the attachments of later times and there are several chronological layers in their interiors and wall paintings as well.

* Unlike the Registration Card used as a mean for registration of the great number of monuments or for region-wide coverage of antiquities in any part of the country, Passport is a large in volume document dealing with a particular monument and containing detailed information in its regard. Con-siderable amount of time, finances and human efforts are required for its composition and completion.



თანღილი, მთავარანგელოზის ეკლესიის მოხატულობა
Tanghili, The Archangel Church Wall Painting



ლაღამი, მაცხოვრის ეკლესია | Laghami, Christ the Savior Church



ლატალი, მაცხვარიშის ეკლესია | Latali, Matskhvarishi church



ლატალი, მაცხვარიში, საკურთხეველი
Latali, Matskhvarishi Church, Layout of the Sanctuary Wall Painting



მაცხვარიში, მაცხოვრის ეკლესია | Matskhvarishi, Christ the Savior Church

კულტურული მემკვიდრეობის ოზიქტა იწენბარიზაშია და ჟოტოგადალა თუშეთში

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დოკუმენტირება, კულტურული მემკვიდრეობის დამკავი ზონების დადგენისა და სააღრიცხო დოკუმენტაციის შედგენის მიმართულებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ისტორიული დასახლებების შესწავლა და სისტემატიზაცია.

თუშეთი, საქართველოს ერთ-ერთი უღამაშესი კუთხე, მდიდარია სიძველეებით (მათ შორისაა სათავდაცო, საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობები). კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესწავლილ იქნა თუშეთის სოფ. დართლოს, კვავლოსა და ომალოს განაშენიანების განვითარების ისტორია, შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა, შესრულდა არქიტექტურული ანაზომები, ჩატარდა სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და გაკეთდა არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები.

2008 წელს შესრულდა თუშეთის სოფლებში (ომალო, დართლო, შენაკო, დოჭე, ბელელა, ხისა, ბოჭორნა, კესელო, აგურთა და სხვა) არსებული ძეგლების ინვენტარიზაცია და ფოტოგადაღება. მათ შორისაა ციხე-კოშკები, ციხე-სასახლეები, აივნისანი სახლები, საკულტო არქიტექტურის ნიმუშები. ასევე, ავეჯის, ტექსტილის, კერამიკის და სხვა ნიმუშები. არსებული მასალა სამომავლოდ საფუძვლად დაედება თუშეთის ტერიტორიაზე დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა დაცვასა და პოპულარიზაციას.



თუშეთი, დართლო | Tusheti, Dartlo Village

INVENTORY AND FILMING OF MONUMENTS OF CULTURAL HERITAGE IN THE HISTORICAL PROVINCE OF TUSHETI

Registration of monuments of cultural heritage, definition of cultural heritage protection zones and establishment of uniform registration documentation for those monuments is one of the basic components of the State Program for Cultural Heritage Protection. Research and systematization of historical settlements is deemed to be the most important in this regard.

Tusheti – one of the most attractive parts of Georgia is rather rich with antiquities of various type and destination including fortification structures, residential buildings and cult service monuments. Within the framework of 2007 State Program of Cultural Heritage Protection, history of the development of Dartlo, Kvavlo and Omalo villages was studied, as well as current technical conditions of all manmade structures. This envisaged sketching of their layouts, their study from the history of art point of view and preparation of their architectural and archaeological designs.

All monuments defined in the villages of Omalo, Dartlo, Shenako, Dochu, Begheli, Khisa, Bochorna, Keselo, Ageurta of Tusheti, whether large mansions, dwelling houses with balconies, towers and castles or monuments of cult service - were registered and filmed in details and there inventories prepared. The most precious samples of furniture, pottery and textile were registered within the framework of the mentioned activities. The revealed samples will serve as core material of publications designated for protection and promotion of cultural heritage of Tusheti.



დიკლო, სამსართულიანი ციხე-სახლი | Diklo Village; The Three-storey House-Castle



დართლო, ხის კიდობანი | Dartlo village, A Wooden Chest



დონუ, დასახლების ერთ-ერთი უბანი | Dotsu, One of the Neighborhoods



ბოჭორნა, საცხოვრებელი სახლის აივანი | Bochorna Vilge, Balcony of the Residential House



სათავდაცო დასახლება კესელო, ციხე-სახლის ინტერიერი
Keselo, A Well Fortified Defensive Settlement, A House-Castle Interior



აგურთა, კვრივი და ციხე-სახლები | Ageurta vilge, The Kvrivi and Neighboring Hose-Castles

კულტურული მემკვიდრეობის ოზიქტა ინვენტარიზაცია სავსურეთი

ხევსურეთის ტერიტორიაზე, მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები – ციხე-კოშკების ნაშთების, ჯვარ-ხატებთან დაკავშირებული ნაგებობების, ხევსურული საცხოვრებელი სახლებისა და სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და შესწავლისათვის 2008 წელს ფართომასშტაბიანი სამუშაოები განხორციელდა. გამოვლინდა და აღინუსა პირაქეთა ხევსურეთის ძნელად მისასვლელ მთის კალთებზე გახვეული ისტორიულ-არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები, შესრულდა მათი ფოტოფიქსაცია, გამოისაზრა გეგმები, დაზუსტდა ძეგლების ადგილმდებარეობა, GPS-ით დაფიქსირდა ძეგლების კოორდინატები, განისაზღვრა არაერთი ძეგლის ფუნქცია.

ინვენტარიზაციის შედეგად, დაფიქსირდა სხვადასხვა ხასიათის (საკულტო, თავდაცვითი და არქეოლოგიური) უკვე არსებული და ახლადგამოვლენილი 85 ობიექტი. მათ შორისაა კომპლექსებიც, რომლებიც რამდენიმე ნაგებობას მოიცავენ.

დღეისათვის უკვე არსებობს ვრცელი ინფორმაცია პირაქეთა ხევსურეთის ძეგლების შესახებ შესაბამისი სააღრიცხვო დოკუმენტაციით.

INVENTORY OF SITES OF CULTURAL HERITAGE IN KHEVSURETI

For the purposes of finding and study of various monuments of cultural heritage, such as remnants of castles and towers, traditional dwelling houses and of other look-alike archaeological remains of different periods large scale field activities were undertaken through the year of 2008 on the territory of the historical province of Khevsureti. Several historical-architectural and archaeological monuments scattered on the slopes and hills of Pirikita Khevsureti with rather restricted access (geographically located in Transcaucasia) were revealed, filmed and respective layouts were drawn, coupled with determination of function and purposes of many of them. Their coordinates were precisely defined by GPS System as well.

Final number of various objects of cultural heritage listed in the inventory came up to 85, containing constructions of cult service, fortification structures and archaeological sites. Some of those objects contain several buildings, thus being the complexes.

As a result of the mentioned above activities almost comprehensive information backed with the respective certification is available regarding the monuments located on the territory of Pirikita Khevsureti.



აქე, ღმრთისშობლის ჯვარი, საზარე | Ache, Mother of God Cross, Sazare



გველეთი, მთავარანგელოზის ჯვარი, სახელოსნო | Gveleti village, Archangel Cross, workshop



გველეთი, მთავარანგელოზის ჯვარი, სახელოსნო, დეტალი
Gveleti village, Archangel Cross, workshop, detail



არდოტი, საერთო ხედი | Ardoti village, General View



არდოტი, პიკტოგრამები | Ardoti village, the Pictograms



მუკო, ბროლისკალის ჯვარი | Muco village, Broliskalo Cross



მუკო, ბროლისკალის ჯვარი | Muco village, Broliskalo Cross

ქართლის (ატენი, ბზა, აძიკვი, ტბისი) ეკლესიათა საფასადო რელიეფების რეგისტრაცია

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ერთიან საინფორმაციო ბაზაში შესატანად, განხორციელდა მცხეთა-თბილისის, დღემდე სათანადოდ აღუწერელი, შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლების ფიგურული რელიეფების პასპორტიზაცია. ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგად მოხდა ძეგლთა აზოგვა, ფოტოფიქსაცია, დეტალური აღწერა-ანოტირება, დამუშავდა მათ შესახებ არსებული ლიტერატურა, დამატებითი ინფორმაცია იქნა მოძიებული არქივებში, რის საფუძველზეც შეიქმნა მცხეთის ჯვრის, სვეტიცხოვლის, მცხეთის რაიონის სოფ. ქვემო ნიჭბისის, თელოვანის, შიომღვიმის, თბილისის სიონის, ანჩისხატის, ზემო ბეთლემის, სურბ-ნიშანის და სოფ. დიდის წმ. გიორგის ეკლესიათა რელიეფების საღრიფხო დოკუმენტაცია.

რელიეფური პლასტიკის ნიმუშების შესწავლა-სისტემატიზაცია გაგრძელდა 2008 წელსაც და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესრულდა ქართლის მნიშვნელოვანი სიძველეების – ატენი, ბზა, აძიკვი, ტბისი – საფასადო რელიეფების პასპორტიზაცია. მოხდა აღნიშნული ეკლესიების აღწერა, აზოგვა, ფოტოფიქსაცია და ანოტირება.



ატენი, აღმ. ფასადი, რელიეფი მაცხოვრის გამოსახულებით
Ateni, Eastern Façade, Christ the Savior Image, Relief



ატენი, დას. ფასადი, ნადირობის სცენა, რელიეფი | Ateni, Western Façade, Hunt Image, Relief



ატენი, აღმ. ფასადი, რელიეფი
Ateni, Eastern Façade, Relief



ბზა, ღმრთისმშობლის ეკლესია, ტრაპეზის ქვა
Bza Village, Mother of God Church Credence
Altar Stone

REGISTRATION OF CHURCH FACADE RISINGS IN KARTLI (IN THE VILLAGES OF ATENI, BZA, ADZIKVI, TBISI)

Within the framework of 2007 State Program of Cultural Heritage Protection and for the purposes of entering the relevant information in the Unified Database, all existing façade risings of the medieval architectural monuments located on the territory of Mtskheta and Tbilisi the sate of registration of with were regarded as unsatisfactory have been registered and each has been provided with the respective identification certificate-passport. During field activities the monuments were sketched and their layouts were drawn, photos were taken and the precise description of each of the monument was provided in writing. The existing scientific literature regarding the monuments has been observed, additional information scattered in the archives were compiled and the detailed inventory of the façade risings of Mtskheta Jvari Monastery, Svetitscovel Monastery, Kvemo Nibisi, Telovani, Shiomgime, Tbilisi Sioni, Anchiskhati, Zemo Betlemi, Surb-Nishani and Digomi St. George churches were prepared.

Study and registration of samples of rising plastics of Ateni, Bza, Adzikvi, and Tbilisi churches was continued in 2008 as well, when full scale registration of those important monuments located in the historical province of Shida Kartli was implemented within the framework of the State Program for Cultural Heritage Protection. All the mentioned churches were scathed, their layouts were drawn, all details were filmed and the precise description of each of the monument was provided in writing.



ბზა, წმ. გიორგის ეკლესია, აღმ. ფასადის სარკმლის თავსართი
Bza Village, St. George Church, Eastern Window Frame Decoration



ბზა, წმ. გიორგის ეკლესია, დას. ფასადის სარკმელი
Bza Village, St. George Church, Western Façade Window



გოხნარი, სამხრეთ მინაშენი, დას. კედელი
Gokhnari Village, Rising Works on Western Wall of Southern Attachment



ბზა, წმ. გიორგის ეკლესია, სამხრ. ფასადი, აღმ. მხარის სარკმელი
Bza Village, St. George Church, Southern Façade, Eastern Window



ტბისი, წმ. გიორგის ეკლესია, დას. ფასადი | Tbilisi St. George Church Western Façade



უფლისციხის არქიტექტურული ძეგლების აღრიცხვა და არქეოლოგიური მასალების პასპორტიზაცია

პროექტის მიზანი იყო უფლისციხის ნაქალაქარის ცენტრალურ უბანში არსებულ ქვაბულ-ნაგებობებზე სააღრიცხვო ბარათების შედგენა და ძეგლის ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის პასპორტიზაცია.

შედეგად, მილიანად გადამოწმდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის ფონდებში დაცული, უფლისციხეში გამოვლენილი უმდიდრესი არქეოლოგიური მასალა. ორიათასამდე ერთეულისაგან შეირჩა სხვადასხვა დროის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები და შედგა 365 პასპორტი, ნივთების მონაცემებისა და ამჟამინდელი მდგომარეობის სრული სურათით.

სადეჟლიანად განახლდა და შესწორდა უფლისციხის გენერალური გეგმა. მოხდა ქვაბულ-ნაგებობათა დიდი ნაწილის აზოშვა და გამოზაგვა. მათი დეტალური ფოტოფიქსაცია. გაკეთდა ჩანახატები.

სადდეისოდ ინვენტარიზირებულია ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა და აღნუსხულია ძეგლის ცენტრალური უბნის ძირითადი არქიტექტურული ობიექტები.



უფლისციხე | Uplistsikhe

UPLISTSIKHE ARCHITECTURAL MONUMENTS REGISTRATION AND CERTIFICATION OF ARCHAEOLOGICAL FINDINGS

The Project has been launched for the purposes of provision of Uplistsikhe Settlement central section cave-cat constructions with the relevant registration documentation and certification of archeological artifacts revealed on the territory of the mentioned site.

The whole of the huge archaeological material preserved in the collections of both the State Museum of Fine Arts of Georgia and Uplistsikhe Museum-Resort were revised and checked. 365 units of the most important artifacts of different epochs and cultures were selected out of the 2000 significant archaeological findings and each was provided with the detailed Certificate-Passport that includes full-scale information of the thing and its current condition.

The general layout of the site has been significantly corrected and renewed. Majority of the cave-constructions of the settlement were sketched and their layouts were drawn. The important details were filmed and close and background shots have been taken.

Currently all the important archaeological material revealed on the site has been registered and each significant architectural monument of the central section of the settlement is registered and its inventory is attached.



უფლისციხე, კესონებიანი ტერიტორია
Uplistsikhe, The Caisson Ceiling



უფლისციხე | Uplistsikhe



უფლისციხე | Uplistsikhe



უფლისციხის არქეოლოგიური მუზეუმი
Uplistsikhe, The Archaeological Museum



ბოლნისის რაიონის ადრეაქრისტიანული ქვლეუბის ინვენტარიზაცია

საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული მხარე, ქვემო ქართლი, ძალზე მდიდარია ქვაზე პლასტიკის ნიმუშებით, რომლებიც ხშირად გვხვდება როგორც უძველეს ნაგებობათა კედლებში, ისე ღია ცის ქვეშ. 2007 წელს განხორციელდა დმანისში შემორჩენილი ქვაჯვარების ინვენტარიზაცია. მოხდა მანამდე უცნობი ნიმუშების გამოვლენა. აღნიშნული მიმართულებით აღრიცხვა-პასპორტიზაციის პროცესი გაგრძელდა 2008 წელსაც და განხორციელდა ბოლნისის რაიონის მასშტაბით. უნდა აღინიშნოს, რომ აქ არსებული ქვაჯვარები დღემდე არ იყო სრულად აღრიცხული, ფიქსირებული და სამეცნიერო დონეზე სათანადოდ შეფასებული.

პროექტის შედეგად, ექსპედიციამ შეისწავლა 25 ეკლესია, ამათგან 14 ეკლესიაში აღმოჩნდა ქვაჯვარათა ნაწილები, გამოყენებული შემდგომი ეპოქის ნაგებობებში. ესენია: ფოლადაური, სამწვერისი, ბოლნისის სიონი, მანხუტის ქვედა და ზედა, რატევანის, აკაურთას, აკვანებას, ქვეშის ციხის, ბალიჭისა და კიანეთის ეკლესიები. ექსპედიციის შედეგად მოხდა ქვაჯვართა აღნუსხვა, ფოტოფიქსაცია და წინასწარული სამეცნიერო კვლევა.

INVENTORY OF THE MONUMENTS OF EARLY CHRISTIAN PLASTICS IN BOLNISI DISTRICT

Kvemo Kartli – one of the historical provinces of Georgia is outstandingly rich with the monuments of stone plastics that are frequently found both as the built-in parts of ancient constructions and as separate monuments. Inventory of the stone-crosses preserved on the territory of Dmanisi District has been implemented in 2007. Several previously unknown samples were revealed as a result of those activities. The process was continued in the following year, covering the neighboring Bolnisi District. It should be noted that even the known stone-crosses of the region were only partially registered and state of their scientific study has not been satisfactory as well. Within the framework of the Project 25 churches located in the District were studied and several parts of stone crosses were revealed in 14 of them. In all cases different segments of the stone-crosses were used as the decoration details of the buildings of the later periods. These churches are as follows: Poladauri, Samtsevrissi, Bolnisi Sioni, Mankhuti Lower and Upper churches, Tatevani, Akaurta, Avkanebi, Kveshi Castle, Balichi and of Kianeti churches. All the revealed stone-crosses were registered, filmed and preliminary scientific studies were applied to all of them within the expedition framework.



ხანდისი, ქვასვეტის ფრაგმენტი, ანგელოზის გამოსახულება
Khandisi, A Stone Column Fragment with an Angel's Image



კატაულა, ქვასვეტის ფრაგმენტი, ქალის პორტრეტი
Kataula, A Stone Column Fragment with a Woman's Image



ხანდისი, ქვასვეტი | Khandisi, A Stone Column



სამწვერისი, სტელა V-VI სს. | Samtsevrissi, A Stele, V-VI cc.



დავათი, ქვასვეტის ფრაგმენტი
Davati, A Stone Column Fragment



ხანდისი, ქვასვეტის ფრაგმენტი, VI ს. II ნახ.
Khandisi, A Stone Column Fragment, II half of VI c.

სენაკის რაიონის სიკვლეების პასპორტიზაცია და დაცული ზონების ფორმირება (II ეტაპი)

სენაკის რაიონის ძმ-ს (ძეგლის ნიშნის მქონე, ანუ ახლად აღნუსხული) ობიექტების პასპორტიზაცია და დაცული ზონების ფორმირების პროცესი 2007 წელს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაიწყო, რის შედეგადაც სენაკის რაიონის 7 ძეგლი აღინუსხა. მომზადდა სრული საადრისხო დოკუმენტაცია და სხვადასხვა მასშტაბის ტოპოგრაფიული და საკადასტრო რუკები (სენაკის რაიონის ძმ ობიექტების პასპორტიზაცია და დაცული ზონების ფორმირების I ეტაპი), მოხდა ძეგლების დეტალური ფოტოფიქსაცია.

გემოლნიშნული პროექტი გაგრძელდა 2008 წელსაც, რომლის ფარგლებშიც შესრულდა 5 ობიექტის – საკალანდარიშვილოს ციხის, მენჯის ციხის კომპლექსის, კვაუთის ციხის კომპლექსის, ლეძეძამეს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის და ლეძეძამეს მაცხოვრის სახელობის ეკლესიის – სრული ფოტოგრაფირება, არქიტექტურული ნახაზების მომზადება (გეგმები, ჭრილები, ფასადები), GGPS კოორდინატების განსაზღვრა.

აღნიშნული მასალა სამომავლოდ განთავსდება კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო სისტემაში.



სენაკის რაიონის დაცული ზონები | Protected Zones in Senaki Region

CERTIFICATION OF ANTIQUITIES OF SENAKI DISTRICT AND DEMARCATI ON OF PROTECTED ZONES (II STAGE)

The process of registration and certification of the sites with the signs of monument of cultural heritage (that is of the newly revealed sites) and of demarcation of the protected zones has been in place since the year of 2007 envisaged by the State Program for the Cultural Heritage Protection, when seven monuments were registered in Senaki District. As part of the Stage I Certification of the Antiquities of Senaki District and Demarcation of Protected Zones detailed inventory documentation has been prepared, coupled with topographic and cadastre maps of different scales and precise filming of all the defined sites.

The mentioned Project has been continued for the following year of 2008, when the detailed photos were taken and architectural designs (layouts, cross-sections, façade sketches) of Sakalandarishvilo castle, the complex of Menji Castle, the complex of Kvauti castle and Ladzadzame St. George and Christ the Survivor churches were drawn. Coordinates of all the five monuments were defined by the GPS system.

The mentioned material will be entered in the Unified Information System of Cultural Heritage.



ჯგიმარიონის ეკლესია | Jgimarioni Church



კვაუთის ციხის კომპლექსი | Kvauti Castle



კვაუთის ციხის კომპლექსი | Kvauti Castle



ლეძეძამეს მაცხოვრის სახელობის ეკლესია | Ladzadzame Church of Christ the Savior



საკალანდარიშვილოს ციხე | The Castle in the Village of Sakalandarishvilo



მენჯის ციხე | Menji Castle

საქართველოს ეროვნულ არქივში დასული თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექციის აღრიცხვა- პასპორტიზაცია

პროექტის მოზანი იყო საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 1972 წელს მომხდარი ხანძრის დროს გადარჩენილი თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის უნიკალური ნიმუშების (ესკიზების) აღრიცხვა-პასპორტიზაცია და მათი მოძრავ ძეგლთა სახელმწიფო ერთიან დაცვით რეესტრში გატარება. აღნიშნული კოლექცია წლების განმავლობაში თითქმის განადგურებული იყო. აღმოჩნდა, რომ გადარჩენილ ნიმუშთა შორის არის უნიკალური ნამუშევრებიც (მაგ. ს. ვირსალაძის, ვ. ჭაბუკიანის და სხვ.)

თეატრში მომხდარი ხანძრის დროს ცეცხლმოკიდებული ესკიზები ხანძრის ჩაქრობისას წყალმა დააზიანა. არქივის ლაბორატორიის თანამშრომლებს ჰქონდათ მცდელობა საკუთარი შესაძლებლობებით აღედგინათ ძლიერ დაზიანებული რამდენიმე ესკიზი, მაგრამ სამუშაოს სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ვერ მოხერხდა.

ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა არსებული ნამუშევრების იდენტიფიკაცია მხატვრებისა და სპექტაკლების მიხედვით. განხორციელდა თითოეული ესკიზის შესწავლა და შედგა პასპორტები. მომზადებული მასალები განსახილველად გადაეცა მოძრავ ძეგლთა და კულტურული ფასეულობების ქვეკომისიას, რის შემდეგაც მოხდება თითოეული ექსპონატისათვის ძეგლის სტატუსისა და კატეგორიის განსაზღვრა, რომელსაც მიანიჭებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი. საბოლოო დასკვნის საფუძველზე განხორციელდება მათი ერთიან სახელმწიფო რეესტრსა და მონაცემთა ბაზაში შეტანა.

აღნიშნული პროექტის რეალიზაცია წარმოადგენს ამ მნიშვნელოვანი კოლექციის უსაფრთხოების ერთ-ერთ გარანტს.

პროექტის შედეგად, შესწავლილი მასალების საფუძველზე, სამომავლოდ მომზადდება და გამოიყენება თეატრის კოლექციის ამსახველი კატალოგი.

INVENTORY AND CERTIFICATION OF ZAKHARIA PALIASHVILI OPERA AND BALLY STATE THEATRE COLLECTION DEPOSITED IN THE NATIONAL ARCHIVE OF GEORGIA

The Project was launched for the purposes of inventory and certification of the unique samples of theatrical and decorative art (sketches) survived after the fire of 1972 occurred in Z. Paliashvili Opera and Bally State Theatre and their logging-in in the Unified State Protection Registry of the Movable Monuments. The collection was regarded as fully perished and thus the activities for their inventory were deemed useless until recently. As a result of their observation it turned out that the preserved collection included several unique works of national-wide celebrities as follows: S. Virsaladze, V. Chabukiani and others.

Water used to extinguish the fire has deteriorated the condition of sketches and other material already partially damaged by the fire. Staff of the chemical laboratory of the Archive several times attempted the restoration of some of the damaged samples but they failed because of the complications related to the task that above all, required some specific skills.

The group of experts carried out the process of identification of the existing works using the comparative methodology when the samples were verified with the stile and handwriting of the particular artist and with the relative plays. Each of the sketches were studied and certified and provided with the respectively completed passports. On the next stage material was submitted to the Sub-Commission for Moveable Monuments and Cultural Values where the samples are to be ranked and awarded the respective statute of the monument that will be officially assigned by the decree of the Minister of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia. On the final stage the moveable monuments will be registered in Unified State Registry and the Database.

Implementation of this Project is deemed as an additional means for provision of safety of this important collection.

Based on the outcome of the Project a catalogue will be published in the foreseeable future reflecting all the important samples of the collection.



მს. კ. კუკულაძე, დეკორაციის ესკიზი ბალეტისათვის "გელის ტბა"
Artist K. Kukuladze, Scenery sketch for the Ballet "The Swan Lake"



მს. კ. კუკულაძე, დეკორაციის ესკიზი ბალეტისათვის "გელის ტბა"
Artist K. Kukuladze, Scenery sketch for the Ballet "The Swan Lake"



მს. დ. კაკაბაძე, კოსტუმის ესკიზი ოპერისათვის "პიკის ქალი"
Artist D. Kakabadze, Dress Sketch for the Opera "The Spade Queen"



მს. ვ. ჭაბუკიანი, დეკორაციის ესკიზი ბალეტისათვის "ბალეტის პოემა"
Artist, V. Chabukiani, Scenery sketch for the Ballet "The Ballet Poem"



მს. ს. ვირსალაძე, კოსტუმის ესკიზები ბალეტისათვის "ლაურენსია"
Artist S. Virsaladze, Ballet "Laurensia", Dress Sketches



მს. დ. კაკაბაძე, კოსტუმის ესკიზი ოპერისათვის "პიკის ქალი"
Artist D. Kakabadze, Dress Sketch for the Opera "The Spade Queen"

თბილისის ნ.დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრის მუზეუმის კოლექციის პასპორტიზაცია

პროექტის მიზანი იყო ნ. დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრის მუზეუმში დაცული თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის ნიმუშების (ესკიზების) აღრიცხვა-პასპორტიზაცია და მათი მოძრავ ძეგლთა სახელმწიფო ერთიან დაცვით რეესტრში შეტანა.

1998 წლიდან მიმდინარეობდა თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახე-ლმწიფო ქართული, თბილისის საბავშვო და საცქანწილო სახელმწიფო რუსული თეატრების შეერთება, რის შემდეგაც გაერთიანდა ამ თეატრების მუზეუმთა კოლექციებიც.

პასპორტიზაციის შედეგად, გამოიკვეთა რომ ნაწარმოებთა მთელ რიგს არ ჰქონდა მითითებული აუცილებელი ინფორმაცია. მაგ. სპექტაკლის დასახელება და მხატვარი. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა და საინვენტარიზაციო ნიგნებთან შეადარა არსებული მასალები. განხორციელდა განსაკუთრებული ნიმუშების (ესკიზების) აღრიცხვა-პასპორტიზაცია, მათი მოძრავ ძეგლთა სახელმწიფო ერთიან დაცვით რეესტრში გატარების მიზნით.



მხ. ი. შტენბერგი, კოსტუმბის ესკიზი სპექტაკლისათვის "პეკეცნიური"
Artist I. Stenberg, Dress Sketches for the Play "The Earthly"



მხ. მ. ჭავჭავაძე, კოსტუმბის ესკიზები სპექტაკლისათვის "ბურატინიო"
Artist M. Chavchavadze, Dress Sketches for the Play "The Burattion (Pinocchio)"

CERTIFICATION OF THE COLLECTION OF N. DUMBADZE CHILDREN'S CENTRAL THEATRE MUSEUM

The Project was launched for the purposes of registration and certification of the collection of samples of theatrical-decorative art (that are of sketches) preserved in N. Dumbadze Children's Central Theatre Museum and their logging in the Unified State Protection Registry of Moveable Monuments of Cultural Heritage.

Since 1998 there has been ongoing process of merging of Tbilisi Georgian State Youth Theatre and Tbilisi Russian Children and Youth Theatres. As a result the museums of the mentioned establishments merged as well.

As a result of registration it turned out that significant portion of works lacked the basic information regarding the name of the play and the author of the sketches. The group of experts have observed and verified the existing material and compared the works in question with the relevant Inventory Log-books and the best samples (sketches) were certified. Finally they will be enlisted in the State Unified Protection Registry of the Moveable Monuments.



მხ. ი. შტენბერგი, კოსტუმბის ესკიზები სპექტაკლისათვის "მისი მეგობრები"
Artist I. Stenberg, Dress Sketches for the Play "His Friends"



მხ. ი. შტენბერგი, დეკორაციის ესკიზი
სპექტაკლისათვის "მისი მეგობრები"
Artist I. Stenberg, Scenery Sketch for the Play "His Friends"



მ. ჭავჭავაძე, კოსტუმბის ესკიზები
სპექტაკლისათვის "ბურატინიო"
M. Chavchavadze, Dress Sketches for the Play "The Burattion (Pinocchio)"



მხ. ი. შტენბერგი, კოსტუმბის ესკიზები სპექტაკლისათვის "სარფიანი ადგილი"
Artist I. Stenberg, Dress Sketches for the Play "Fat Office"

ქუთაისის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდების ინვენტარიზაცია

(ქველი ფონდის რეკონსტრუქციისა და ახალი საფუძვანო ფონდის დაარსების ფარგლებში)

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი გამორჩეულია მდიდარი და მრავალფეროვანი ფონდებით, სადაც თავმოყრილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კოლექციები. მათ შორისაა პალეონტოლოგიის, არქეოლოგიის, ნუმისმატიკის, შუა საუკუნეების საეკლესიო და საერო ხელოვნების უნიკალური ნიმუშები (ხატები, ხელნაწერები, ნაქარგობა და სხვ.), ეთნოგრაფიული ნივთები, XIX-XX სს. საქართველოსა და კერძოდ, ქუთაისის ამსახველი მასალა და სხვ. მუზეუმში არსებობს მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სარესტავრაციო ლაბორატორია.

2007 წლიდან მიმდინარეობს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი მუზეუმის შექმნას.

მუზეუმის რეაბილიტაციისა და ახალი სამუზეუმო სივრცის შექმნისათვის მნიშვნელოვანია კონკრეტულ ექსპოზიციებსა და მათ დიზაინზე მუშაობა, რისთვისაც აუცილებელი გახდა როგორც მუზეუმის ფონდებში დაცული, ასევე არსებულ ექსპოზიციაში წარმოდგენილი მასალის სპეციფიკური ფორმატის ინვენტარიზაციის ჩატარება. წინასწარი სამუშაოების გათვალისწინებით, ექსპონატების დაცულობისა და ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა სახვითი ხელოვნების, ძვირფასი ლითონების, საეკლესიო ნივთების, ქსოვილებისა და ნუმისმატიკის ფონდების ხელახალ შესწავლას (ზოგიერთი ფონდი, მაგალითად სახვითი ხელოვნების, აქამდე შეუსწავლელი იყო), ექსპონატების აღნუსხვას, კლასიფიკაციას, კატეგორიის მინიჭებას, ბარათის შედგენას, ფოტოფიქსაციასა და ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნას.

პროექტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში მონაწილეობდნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, კონსულტანტები და ექსპერტები გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა

PROJECT – “INVENTORY OF COLLECTIONS OF THE LEGAL ENTITY OF THE PUBLIC LAW – N. BERDZENISHVILI KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM

(WITHIN THE FRAMEWORK OF RECONSTRUCTION OF THE OLD BUILDING AND DRAFTING OF DESIGN FOR THE NEW MUSEUM BUILDING)

Kutaisi State Historical Museum is an outstanding establishment of its kind with many unique and rich collections, possessing many important monuments of cultural heritage of Georgia. The distinctive paleontological, archeological, numismatic collections, coupled with incomparable samples of medieval spiritual and secular arts (icons, manuscripts, embroidery), ethnographical things, materials reflecting peculiarities of urban life of the turn of XIX-XX cc in Georgia and in Kutaisi in particular make the museum an important scientific and research center provided with huge library and restoration laboratory.

Process of rehabilitation of Kutaisi State History Museum that envisages creation of the modern museum that will comply with the relevant current international standards has been in place since the year of 2007.

For rehabilitation of the existing exhibition and creation of the new exposition spaces working over the specific exhibitions and their designs is deemed essential, which became feasible through provision of the specific inventory of both of the exhibited and stored items. This project has been implemented for the purposes of detection of safety and physical conditions of items stored in various collections of the museum, that are as follows: fine arts, precious metal, church goods, cloths and numismatic (some of the collections, for instance that of the fine arts has not been studied at all) collections, their research, inventory of stored items, their ranking, granting different categories to each of them, invention and filling-in of separate certificates for every exhibit, their filming and creation of unified digital database of the collections the museum possesses.

High rank outsource professionals were involved in the process of project implementation. Experts and consultants from G. Chubinashili National Research Centre for The History of Georgian Art and Monuments Protection,



ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდების ექსპონატები | N. Berdzenishvili Kutaisi State History Museum Collection Exhibits

დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიიდან და შპს “პატაშ დიზაინიდან”. მონაცემთა ბაზის პროგრამირება განხორციელდა სპეციფიკური ფორმატის ინვენტარიზაციის კითხვარის შესაბამისად, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული ფონდის სპეციფიკა. ამასთან, შესწავლილ იქნა სამინისტროს მიერ მიღებული მოძრავი ძეგლისა და ექსპონატის სააღრიცხვო დოკუმენტაციის (ბარათისა და პასპორტის) ფორმები. გაზიარებულ იქნა სხვა ქვეყნების გამოცდილება აღნიშნულ სფეროში.

პარალელურად აღნიშნულ ფონდებში აღინუსხა ის ექსპონატები, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ფერწერულ ხატებს, რომლებიც დაცულია “ძვირფასი ლითონების ფონდსა” და “სახვითი ხელოვნების ფონდში”.

არსებული კოლექციებისა და ფონდების შესწავლამ ცხადყო, რომ ქუთაისის მუზეუმში დაცულია მრავალი ეპოქის მომკვეთი უნიკალური ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. მუზეუმის დანარჩენი ფონდების სპეციფიკური ფორმატის ინვენტარიზაცია და მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში განთავსება დასრულდება მომდევნო წლისათვის.

2008 წელს მოქრავში კივფის სტატუსი მიენიჭათ სხვადასხვა სახეღმწიფო თუ კიარქო კოფიძეშივში არსივფო მესაონადივს. კიარქოვ:

- საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ დ. ერმაკოვის 16 ფოტოალბომს და 63 არქეოლოგიურ ექსპონატს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი;
- სსიპ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ 14 ექსპონატს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი;
- საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ 2 არქეოლოგიურ ნიმუშს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტის სტატუსი;
- კერძო საკუთრებაში დაცულ რომაელი მეომრის აღჭურვილობას მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტის სტატუსი;
- 24 მოძრავი ძეგლის რესტავრაციაზე გაიცა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობა;
- კულტურული მემკვიდრეობის კომისიის მოძრავი ძეგლების ქვეკომისიის სხდომებზე განხილულ იქნა კულტურული ფასეულობის მქონე 708 ნიმუშის საშლვარვართ ვატანის მიზანშეწონილობა;
- პარალელურ რეკივში მიმდინარეობს მონაცემთა ბაზაში მოძრავ ძეგლთა პასპორტების შეტანის პროცესი.

Georgian National Museum, I. Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi State Academy of Fine Arts and “Batash Design” Ltd were actively participating through the entire process of the Project implementation.

Database digital software has been created in accordance with the specific questionnaire for the inventory list that considers all peculiarities of each collection and fund. Besides, the special blank registration form (certificates and passports) invented by the Ministry of Culture for moveable monuments and exhibits were considered, coupled with the experience of other similar foreign institutions.

In parallel to this, all items stored in the aforementioned collections that required immediate rehabilitation were selected and registered - first of all the drawings stored in the “Precious Metal” and the “Fine Arts” collections.

Research of the collections and funds of Kutaisi History Museum has clearly defined that the many unique samples of art and culture are stored there that truly can be regarded as important samples of world cultural heritage. As for the rest of the Museum’s collections, their inventory through specific registration lists and entering the relevant information in the respective digital database shall be completed till the end of the following year.

DURING 2008, SEVERAL EXHIBITS STORED BOTH IN STATE-OWNED AND PRIVATE COLLECTIONS WERE GRANTED THE MONUMENT STATUTE. THESE EXHIBITS ARE AS FOLLOWS:

- 16 albums of old photos taken by D. Ermakov deposited in the National Museum of Georgia coupled with 63 pieces of archaeological exhibits were granted the statute of Moveable Monument of Cultural Heritage;
- 14 exhibits stored in the Legal Entity of the Public Law National Centre of Manuscripts were granted the statute of Moveable Monument of Cultural Heritage;
- Two archaeological artifacts deposited in the Georgian National Museum were granted the statute of the Movable Monument of Cultural Heritage;
- Armour of an Ancient Roman soldier preserved in the private collection was granted statute of the Movable Monument of Cultural Heritage;
- Cultural Heritage Restoration Permit has been issued in regards of 24 moveable monuments;
- Suitability of exportation of 708 particular samples with the features of cultural value were considered at sessions of the moveable monuments sub-commission of the Cultural Heritage Commission;
- The process of entering the Certificates-Passports of the moveable monuments in the respective database goes in parallel with the mentioned above activities.



6. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდების ექსპონატები | N. Berdzenishvili Kutaisi State History Museum Collection Exhibits

სამუზეუმო რეფორმა

(საპარტუკოლო მუზეუმების,
მუზეუმ-ნაკრძალების რეაბილიტაცია
და მართვის სისტემების გაუმჯობესება)

ქვეყნის მუზეუმებში თანამედროვე მენეჯმენტის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სამუზეუმო ცხოვრების გაჯანსაღება, მუზეუმების საექსპოზიციო-სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციების გაძლიერება ქვეყნის კულტურის პოლიტიკის სტრატეგიული მიზნის – კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის ერთ-ერთი შემაღდგენელი ნაწილია.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის № 131 დადგენილების შესრულების მიზნით საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა 11 მუზეუმი და ერთი მუზეუმ-ნაკრძალი: თელავის ისტორიული მუზეუმი, ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი, სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი, გალაკიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი, დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმი, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი.

გეოლოგიური დადგენილების მე-2 პუნქტის შესრულების მიზნით, არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირებად (აიპო) ჩამოყალიბებულ მუზეუმებში მიმდინარეობს ძირითადი ფონდის ელექტრონული ვერსიის შექმნის პროცესი, რაც საფუძვლად დაედება ამ მასალის ფლობისა და სარგებლობის უფლებით მათთვის საკუთრებაში გადაცემას.



სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის ექსპონატები | Stepantsminda Local History Museum Exhibits

MUSEUM REFORM

(REHABILITATION AND IMPROVEMENT
OF THE MANAGEMENT SYSTEMS OF MUSEUMS
AND MUSEUM-RESORTS OF GEORGIA)

Implementation and support of up to date style of management of Georgian museums, improvement of their technical base and internal working environment within the museums, strengthening of their exhibition, educational and scientific abilities is the core of the strategic goal of the cultural policy persuaded by the State, that is the assurance of protection and promotion of country's cultural heritage.

For the purposes of implementation of provisions of July, 3, 2007 Decree N.131 of the Government of Georgia 11 museums and 1 museum-resort were granted the statute of the Legal Entity of the Public Law. They are as follows: Telavi Museum of History; Poti Museum of Cholchic Culture; Stepantsminda Museum of History; Borjomi Local History Museum; Ilia Javchavadze State Museum in Kvareli; Galaktion and Tsitsian Tabidze Museum-House; Iakob Gogebashvili Museum-House; Vazha-Pshavela Museum-House; David and Giorgi Eristavi Museum-House; Ivane Machabeli Museum-House; Niko Nikolagze Museum-House; Ekvtime Takhaishvili Archeological Museum-Resort of the Historical Province of Guria.

For the implementation of provisions of Paragraph 2 of the referred above Decree the process of creation of digital versions of collections and exhibitions of all museums granted the statute of non-entrepreneurial non-commercial legal entity has already been launched. This digital version will be regarded as an official bases for transfer of the collections preserved in the museums on proprietary rights and granting those establishments the legal authority to hold and use them upon their discretion.



საქართველოს მუზეუმ-ნაკრძალების მიერ სამოქმედო არეალების განსაზღვრა

პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს 11 მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციითა მიერ მათი სამოქმედო არეალების დადგენა, უკვე დადგენილ არეალში არსებული ძეგლების აღნუსხვა და ინვენტარიზაცია, მუზეუმ-ნაკრძალების რუქების შედგენა და კოორდინატული სიზუსტით მათზე ძეგლების დატანა. უძრავი და მოძრავი ძეგლების ინვენტარიზაცია საფუძვლად დაედება სამომავლოდ აღნიშნულ ძეგლებზე სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვასა და მართვის გეგმების შედგენა-განხორციელებას.

სამინისტროს მიერ მუზეუმ-ნაკრძალისათვის წარდგენილ და შუთანხმებულ სამოქმედო არეალებში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მომზადდა სააღრიცხვო დოკუმენტაცია GPS კოორდინატების მითითებით. დანარჩენ ობიექტებზე კი სააღრიცხვო ბარათის მოკლე ვერსია (ენ. გამოსაქვეყნებელი ბარათის ფორმით). შედგა არეალში არსებული ძეგლების ნუსხა.

სამუზეუმო სფეროს ხელშეწყობის მიზნით “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში, ასევე, განხორციელდა:

- გაიზარდა მუზეუმებში დასაქმებულთა ხელფასები;
- 15 მუზეუმსა და მუზეუმ-ნაკრძალს გამოეყო საპოლიციო დაცვის (34 ერთეული) და დარაჯთა (29 ერთეული) დამატებითი კონტიგენტი შესაბამისი დაფინანსებით;
- სამუზეუმო კოლექციითა ინვენტარიზაციისა და სამოქმედო არეალის დადგენის მიზნით მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებს გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა, GPS-ები და ციფრული ფოტოაპარატები.

Definition of Areas Allocated for the Museum-Resorts of Georgia

Within the framework of the Project, the management of all of 11 museum-resorts registered in Georgia have defined areas allocated for the respective establishments, coupled with the registration and inventory of all monuments located within their borders and drawing of maps of the museum-resorts and accurate mapping of the monuments. The inventory of moveable and immoveable monuments will create the bases for making of plans for their rehabilitation and restoration and creation and implementation of programs for their future effective management. All monuments of cultural heritage located within the territory of the museum-resort defined in cooperation with the Ministry of Culture, were registered and inventory documentation for each of them was prepared, including GPS coordinates of the monument. All the rest of the sites were provided with the executive versions of the inventory cards intended for publication. The list of all of the monuments located in the region has been created.

For the purposes of promotion and support of museums the measures implemented within the framework of 2008 State Program for Cultural Heritage Protection were as follows:

- Museum staff salary has been increased;
- 34 police guard and 29 watchmen positions were added to the payroll lists of 15 museums and museum-resorts;
- For the purposes of accurate definition and demarcation of the boundaries of their areas of responsibility the museums and museum-resorts were provided with computers and relevant software, GPS-s and digital cameras.



გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის სამოქმედო არეალი
The Boundaries of Gonio-Apasrosi Archaeological-Architectural Museum-Resort

საერთაშორისო რეგიონალური თრენინგები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუზეუმების მენეჯერებისათვის

2008 წლის 3-8 თებერვალს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო რეგიონალური თრენინგები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუზეუმების მენეჯერებისათვის, ICOM-ისა (მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს) და INTERCOM-ის (მენეჯერების საერთაშორისო კომიტეტი) ექსპერტთა ხელმძღვანელობით, ICOM-ისა და სამინისტროს დაფინანსებით.

თრენინგის პროგრამით გათვალისწინებული ლექციების, პრეზენტაციების, პრაქტიკული დემონსტრაციებისა და ჯგუფური სამუშაოების პარალელურად, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეცნობოდნენ სტრატეგიული დაგეგმვის, მუზეუმების მენეჯმენტის, აუდიტორიის განვითარების, სამუზეუმო სწავლების, ვიზიტორთა მომსახურების, XXI საუკუნის მუზეუმების განვითარების საკითხებს, ასევე, განეხილათ მიღებული ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობა თავიანთ მუზეუმებში.

თრენინგი გაიარა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების 23 მუზეუმის წარმომადგენელმა. მათ შორის: საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ქუთაისის, თელავის, ბორჯომის, ზეგდიდის მუზეუმებისა და მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებმა.

მიმდინარე წლის 18 მაის განხორციელდა მუზეუმის საერთაშორისო დღის – 18 მაისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კოორდინაცია. კერძოდ:

- საქართველოს ეროვნული მუზეუმი – თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა – “ქართული მულტიპლიკაციის ისტორია – ნახატები, ესკიზები”, გამოფენა და მრავალფუნქციური საგანმანათლებლო პროგრამა მოზარდებისათვის),



სერტიფიკატის გადაცემის ცერემონია | The Certificate Presentation Ceremony

INTERNATIONAL REGIONAL TRAINING FOR THE MUSEUM MANAGERS OF SOUTH CAUCASUS COUNTRIES—AZERBAIJAN, ARMENIA AND GEORGIA

The International Regional Training for Museum Managers of the South Caucasian Countries – Azerbaijan, Armenia and Georgia took place through the period of 3-8 February, 2008, in Tbilisi. The event, held under the leadership of ICOM (International Council of Museums) and INTERCOM (International Committee of Management) representatives was co-sponsored by ICOM and the Ministry of Culture of Georgia.

In parallel to the lectures, presentations, practical demonstrations, group workshops envisaged within the framework of the Training Program all participants were given possibility to practice in museum strategic planning, get familiar with the effective management tools, educational programs, and current means of effective dealing with the visitors flow, and general trends of development of the museums in the XXI century. A possibility of real implementation and use of the knowledge and information provided by the Training for the benefits of local museums has been discussed at the special workshop.

Managers of the 23 museums attended the Training. Employees of Georgian National Museum, Kutaisi, Telavi, Borjomi, Zugdidi museums and of Mtskheta Museum-Resort were among the Training participants.

Several events dedicated the **Museum's International Day – 18-th of May** were held and coordinated in the reporting year. Those events were as follows:

- An exhibition “History of Georgian Animation – Drawings and Sketches” coupled with the multifunctional educational program for children and youth organized in Tbilisi History Museum – the Caravansary of Georgian National Museum;



სამუშაო პროცესი | The Working Process

- საქართველოს ეროვნული მუზეუმი – გ. ჩიტაიას სახ. ეთნოგრაფიული მუზეუმი (ღია ცის ქვეშ მუზეუმი – მრავალფუნქციური საგანმანათლებლო პროგრამა მოზარდებისათვის),
- დიდი მცხეთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი (საგანმანათლებლო პროექტი “ღია გაკვეთილები არქეოლოგიაში”),
- აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი (საგანმანათლებლო პროექტი “ერთი დღე აბრეშუმის მუზეუმში”),
- ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი და ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი (“... და არს მუსიკა”, გამოფენა, საგანმანათლებლო პროგრამა, კონცერტი (ჯგუფი “დეციში”),
- თელავის ისტორიული მუზეუმი (“არაჩვეულებრივი გამოფენა”, თანამედროვე ქართველ მხატვართა გამოფენა),
- დადიანების სასახლეა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი (“ჩემი სახლის გიდი”, საგანმანათლებლო პროექტი მოზარდებისათვის).

ქართული სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის ახალი ექსპოზიცია

“კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამით” გათვალისწინებული “მუზეუმების ექსპოზიციათა განახლების” ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა “ქართული ხალხური სამღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის” ახალი ექსპოზიციის მონყობა. წლების განმავლობაში ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის შენობა უღრესად მძიმე მდგომარეობაში იყო, რის გამოც სრულყოფილად ვერ ფუნქციონირებდა. ამიტომ მუზეუმი ახალ შენობაში (სამღებროს ქ. №6) დაბინავდა. სამინისტროს დაფინანსებით მან დამოუკიდებელს ახალი ექსპოზიცია წარუდგინა. კერძოდ, მუზეუმში დამონტაჟდა თანამედროვე სტანდარტების აუდიო-ვიდეო მოსასმენი და საპროექციო აპარატურა, რითაც მზაველს საშუალება ექნება მოისმინოს და ნახოს მისთვის საინტერესო მასალა ეთნოგრაფიული კუთხეების მიხედვით. საგამოფენო სივრცის ორი დარბაზი დაეთმო აღმოსავლური და ევროპული საკრავების წარმოჩენას, ცენტრალური დარბაზი კი ქართული ხალხური საკრავებისა და ხალხური სიმღერის ანსამბლების, ცნობილ ლოტბარ-მომღერლების ფოტომასალას და მემორიალურ ნივთებს.



განახლებული ექსპოზიცია | The Renewed Exhibition

- G. Chitaia Ethnographical Museum (outdoor museum) of Georgian National Museum provided multifunctional educational program for children and youth;
- Educational program “On-Site Lessons in Archaeology” organized by the State Archaeological Museum-Resort of the Great Mtskheta;
- Educational project “One Day in the Silk Museum” – organized in The State Silk Museum;
- State Museum of Georgian Folk Songs and Musical Instruments and Humanities Faculty of Iv. Javakhishvili Tbilisi State University – exhibition-educational program “... and Musuc is Ctrated” and live concert of the band “Detsishi”;
- Telavi Museum of History – “The Miraculous Exhibition” – exhibition of the selected works of modern Georgian artists;
- Historical-Architectural Museum of the Dadianis -the educational project for children “The Guide of my Palace”.

THE NEW EXHIBITION OF THE STATE MUSEUM OF GEORGIAN SONGS AND MUSICAL INSTRUMENTS

Within the frameworks of “Renovation of the Museum Exhibitions” that is the sub-program for of 2008 State Program for Protection of Cultural Heritage the new exhibition has been organized and presented at the State Museum of Georgian Songs and Musical Instrument. For decades the museum building had been in the grave conditions, making impossible its full and affective functioning. Recently new space was allotted for the museum, on No.6 Samgebro Street. All expenses for preparation of the new exhibition were funded by the Ministry of Culture. The exhibition is well-equipped with technical means – audio, video and projection devices, thus enabling the interested visitor to listen to and view the particular material and exhibits, grouped according to the historical provinces and ethnographical areas of the country. Collections of European and Oriental musical instruments occupy two halls of the total exhibition space. Georgian national musical instruments, photos of famous folk song bands, performers, lead specialists and their memorabilia are exhibited in the central hall.



მუზეუმის ექსპონატები | Museum Exhibits



სარკი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის განსაკუთრებული კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე ექსპონატების ფოტოფიქსაცია

2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის ინტერვენციის შედეგად, რომელიც უშუალოდ შეეხო ქალაქ გორს (მრავალგზის დაიბომბა, შემდეგ განთავსდა რუსული არმიის ნაწილები, რომლებიც არბევდნენ და ძარცვავდნენ შენობებს), განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში არსებული ექსპონატების დაცვა-სისტემატიზაციამ.

მუზეუმის ფონდებში დაცულია 100 000-მდე ექსპონატი (არქეოლოგიის, ნუმისმატიკის, ეთნოლოგიის, ჰერალდიკის, ხელნაწერი და სხვ.). მუზეუმში არ არსებობდა მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა ინფორმაცია ფონდებში დაცული ექსპონატების შესახებ (ფიქსირებულია ექსპონატების მხოლოდ ნაწილი, ისიც არაკიფრულ ფორმატში. პასპორტებიც ძველი ფორმით, ხელნაწერის სახით, არსებობს). “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში განხორციელდა პროექტი – “სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის განსაკუთრებული კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე ექსპონატების ფოტოფიქსაცია შესაბამისი ანოტაციებით (ციფრულ ფორმატში)”.

შედეგად, შესრულდა მუზეუმის ფონდებში დაცული განსაკუთრებული კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე შეიდასამდე ექსპონატის ხელახალი ინვენტარიზაცია, მოხდა ექსპონატების მაღალი რეზოლუციით ფოტოფიქსაცია და შეიქმნა ელექტრონული ბაზა. მოძიებული მასალა შემდგომში საფუძვლად დაედება მუზეუმის კატალოგის გამოცემას.



წყვილი ხარი უღელთ. ბრინჯაო | A Pair of Yoke Oxen, Bronze

FILMING OF EXHIBITS OF THE OUTSTANDING CULTURAL-HISTORICAL VALUE DEPOSITED BY SERGI MAKALATIA GORI HISTORICAL-ETHNOGRAPHICAL MUSEUM

The issue of protection and clarification of collections deposited by Sergi Makalatia Gori Historical–Ethnographical Museum has become paramount after the events that took place in August 2008, when the city of Gori had suffered multiple aviation bombardments that precluded the placement of Russian military units and temporal occupation of the town.

About 100,000 exhibits are deposited in various (archaeological, numismatic, ethnology, heraldry and manuscript) collections of the museum. Absence of digital database with the information regarding the exhibits has aggravated the already complicated situation. Only small portion of the items had been registered, and all registration documents – certificates and passports were non-digital- completed by hand. Taking into account the existing background, the special project – “Filming of the Exhibits of Outstanding Cultural-Historical Value Deposited by Sergi Makalatia Gori Historical–Ethnographical Museum and their Provision with Digital Executive Summaries” has been implemented within the framework of 2008 State Program for Protection of Cultural Heritage.

As a result of the Project implementation up to seven hundred samples of outstanding cultural-historical value were registered using the unified inventory cards, all of them were filmed and high resolution digital pictures were taken thus creating the respective digital database. This material will constitute the base for publication of the museum catalogue in foreseeable future.



სარტყელი. ვერცხლი, ტყავი | A Belt, Leather and Silver

ქუთაისის ზ. ჯალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის მემორიალური და ვირტუალური საექსპოზიციო დარბაზების რესტავრაცია

ქუთაისის ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი წლების განმავლობაში გამოჩენილ მუსიკოსთა და მუსიკის მოყვარულთა შემოქმედებითი შეხვედრების ადგილს წარმოადგენდა.

ისტორიულ-მემორიალურ-არქიტექტურული ძეგლი, კომპოზიტორის ცხოვრების ე.წ. ქუთაისის პერიოდის (1871-1876 წ.წ.) ამსახველი ნივთიერი მასალის საცავს წარმოადგენს. მემორიალური შენობა, ეზო-კარმიდამო, მემორიალური ნივთები, არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ისტორიული შენობის ნანგრევები მუზეუმ-კომპლექსის კულტურული ფასეულობებია. სახლ-მუზეუმი დაარსდა 1963 წელს და 1993 წლამდე ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ექვემდებარებოდა. დღესდღეობით იგი დამოუკიდებელი იურიდიული პირია. 2008 წელს სახლ-მუზეუმს დაარსებიდან 45 წელი შეუსრულდა. წლების განმავლობაში სახლ-მუზეუმს სარესტავრაციო სამუშაოები არ ჩატარებია.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქუთაისის ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის მემორიალური და ვირტუალური საექსპოზიციო დარბაზების რესტავრაცია. კერძოდ, ძველი ფოტონიმუშების მიხედვით აღდგა კომპოზიტორის მემორიალური ოთახები – “მუსიკალური სალონის” ინტერიერი და საძინებელი.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მემორიალური ექსპოზიცია მოეწყო.



სახლ-მუზეუმის რესტავრაციის პროცესი | The House-Museum Restoration Process



RESTORATION OF MEMORIAL AND VIRTUAL EXHIBITION HALLS OF Z. PALIASHVILI MUSEUM-HOUSE IN KUTAI SI

For several decades Kutaisi Zakaria Paliashvili museum-house has been the indispensable place of meeting of both celebrity musicians and broad audience –music admirers.

This monument, important from historical, architectural and memorial points of view, deposits the memorabilia related to Kutaisi period of composers' life, covering the period of 1871-1876. The house itself with its yard and estate, memorabilia and artifacts revealed as a result archeological excavations constitute the cultural values of the entire museum complex. The museum established in 1963 and had been subordinating to Kutaisi Museum of History and Ethnography till 1993. Currently the museum is separate legal entity. The 45-th anniversary of its establishment was celebrated in 2008. Unfortunately, no refurbishment has been conducted there during that long period of the museum's functioning.

Within the framework of 2008 State Program for Cultural Heritage Protection Z. Paliashvili Kutaisi museum-house memorial and virtual exposition halls were restored according to preserved old photos and other documents – in particular “Musical Saloon” and the bedroom were reinstated.

As a result of conducted works an exhibition related to life and art of the composer has been presented.



სტეფანეინდის ისტორიულ მუზეუმში ეთნოგრაფიის საექსპოზიციო დარბაზისა და დროებითი საგამოფენო დარბაზის მოწყობა

“კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამით” გათვალისწინებული “მუზეუმების ექსპოზიციათა განახლების” ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა “**სტეფანეინდის ისტორიულ მუზეუმში ეთნოგრაფიის საექსპოზიციო დარბაზისა და დროებითი საგამოფენო სივრცის მოწყობა**”. მიუხედავად იმისა, რომ სტეფანეინდის ისტორიულ მუზეუმს საინტერესო ეთნოგრაფიული ფონდი აქვს, მას დღემდე არ ჰქონდა აღნიშნული მასალის გამოფენისა და სხვა მუზეუმების გამოფენათა მიღების შესაძლებლობა. პროექტის განხორციელების შედეგად: შეიცვალა მუზეუმის ინტერიერის დიზაინი, მოეწყო საექსპოზიციო დარბაზი, დამზადდა ვიტრინები ექსპონატების გამოსაფენად; დამონტაჟდა განათების თანამედროვე სისტემა, მომზადდა საექსკურსიო, საინფორმაციო ტექსტური მასალა ქართულ-ინგლისურ ენებზე; მომზადდა და გამოიცა მუზეუმის ბუკლეტი. ამდენად, დამოვალიერებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს ხევისთვის დამახასიათებელ ისტორიულ ყოფა-ცხოვრებას და მატერიალური კულტურის ნიმუშებს.



სტეფანეინდის ისტორიული მუზეუმის განახლებული ექსპოზიცია | The Renewed Exhibition of Stepantsminda History Museum

PREPARATION OF THE ETHNOGRAPHICAL EXHIBITION HALL AT STEPANTSMINDA MUSEUM OF HISTORY AND ARRANGEMENT OF AN EXHIBITION HALL FOR TEMPORARY EXHIBITIONS

Within the framework of “Sub-Program for Renovation of Museum Exhibitions” envisaged as an integral part of 2008 State Program for Cultural Heritage Protection the exhibition space for ethnographical exhibition has been allocated and prepared in **Stepantsminda Museum of History and new hall for temporary exhibitions has been provided**. Despite the fact that ethnographical collection of the mentioned establishment is rich and interesting, the museum haven't had the possibility to present it to broad audience or host any of the temporary exhibitions provided by other museums. As a result of implementation of this Project the museum interior design has been entirely changed, an exhibition hall has been prepared and provided with exhibition show-cases and equipped with up to date lighting system, English and Georgian versions of executive summaries and other textual material were prepared to ease excursions and make the exhibits more accessible for guests. A museum booklet has been prepared and published. Hence, from now on all the interested visitors have an opportunity to learn about lifestyle of the historical province of Khevi throughout the long time of history and see the original samples of material culture of its habitants.



გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გაზიფიკაცია, გათბობის სისტემისა და კლიმატური რეჟიმის აპუზავეზა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა მუზეუმის გაზიფიკაციის, გათბობის სისტემისა და კლიმატური რეჟიმის აპუზავეზის პროექტი. აღნიშნული პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ბოლო რვა წლის განმავლობაში მუზეუმი არ თბებოდა, რაც ხელს უშლიდა მის ნორმალურ ფუნქციონირებას. კლიმატური რეჟიმის ცვალებადობა კი საფრთხეს უქმნიდა სამუზეუმო ექსპონატებს. “ყანსტრანს-გაზ-თბილისთან” გაფორმებული ხელშეკრულებით განხორციელდა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ, ჩატარდა მუზეუმის გაზიფიკაციის სამუშაოები და აპუზავეზა გათბობის სისტემა.

პროგრამის ფარგლებში, ასევე, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გარემონტდა გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის შენობის ნაწილი, კერძოდ, საგამოფენო დარბაზი, საექსპოზიციო-საგანმანათლებლო განყოფილების სამუშაო ოთახი;
- შეკეთდა ელექტროდაფები, დამონტაჟდა ელექტროსადენები;
- გამაგრდა შენობის მეორე სართულის სარტყელი;
- გადაიხურა ხელნაწერთა სარესტავრაციო სახელოსნო, ფოტოლაბორატორია და სამხატვრო სახელოსნო;
- საგამომცემლო და კოლექციების სექტორებისთვის შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა;
- დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის 25 ტომეულის XIV, XV, XVI, XVII წიგნები.

ეროვნული გალერეა (სისუფარი გალერეა) ნინასაპრაიქტო კვლევა

შემსრულებელი: არქიტექტურული ფირმა “ემ-ენ პროექტი”

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეროვნული გალერეის რეაბილიტაციის ფარგლებში სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდა ეროვნული გალერეის “ცისფერი გალერეის” საინჟინრო-გეოლოგიური და კონსტრუქციული კვლევა, ასევე, შესრულდა არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზოზები. ჩატარდა აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა; არსებული მასალების (საველე და ლაბორატორიული) ანალიზის საფუძველზე შედგა გეოტექნიკური ანგარიზი.

აღნიშნული სამუშაოები წინ უსწრებდა რეაბილიტაციის პროექტის შედგენას (არქიტექტორი ლუიზ პერეირა), რომლის საფუძველზეც მომავალში შესაძლებელი გახდება სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება.

PROVISION OF NATURAL GAS SUPPLY, HEATING AND AIR CONDITIONING SYSTEMS TO GIOERGI LEONIDZE STATE MUSEUM OF GEORGIAN LITERATURE

For the purposes of support and development of Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature The Project for provision of natural gas supply, heating and air conditioning to this institution has been funded within the framework of 2008 State Program for Cultural Heritage Protection. Implementation of the Project is highly desirable as far as the museum has not been heated for the last eight years that creates considerable restrictions for its normal functioning, whilst total vulnerability and exposure of the exhibits and collections to weather fluctuations threatened their safety. Implementation of all activities envisaged by the Project regarding provision of natural gas supply for the museum and putting into operation of heating system, has been contracted to “Kaztransgas Tbilisi Ltd” on the bases of special agreement, between the parties.

In addition to the aforementioned activities the activities conducted in the museum were as follows:

- One part of the building of Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature was refurbished – particularly the exhibition hall and the office of the Department of Exhibition and Educational Programs;
- All power distribution boards were refurbished and wires renewed;
- The second floor belt of the building has been consolidated all along the perimeter;
- Manuscript restoration workshop, photo laboratory and fine art workshop were re-roofed;
- The relevant computers were purchased for the Publishing and Collections Departments;
- Volumes XIV, XV, XVI and XVII of 25- volume publication of complete works of Galaktion Tabidze were issued.

PRE-DESIGN RESEARCH OF THE NATIONAL GALLERY (THE BLUE GALLERY)

Contractor: Design Company “M-N Project”

Within the framework of Rehabilitation of National Gallery of Georgian National Museum the Ministry of Culture has funded the activities related to engineering, geological and constructional research of Georgian National Gallery (The Blue Gallery) and for conduction of architectural and archeological sketches. Specific samples were taken for laboratory analyses and their results were used as the bases for preparation of the respective geotechnical report.

The aforementioned activities are considered to be preliminary for the essential work- creation of the National Gallery Rehabilitation Project, designed by an architect Louis Pereira. This project will enable implementation of the reconstruction activities in future.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მიმართულებით

პრეზენტაციის მიზანმიმართული

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ნორვეგიის გარემოს დაცვის სამინისტროებს შორის 2007 წლიდან მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში. მიმდინარე წლის 24 მაისიდან – 1 ივნისამდე საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ ნორვეგიელ ექსპერტთა (ჯოელ ბოაზი, მარტენ ბორო, მორტენ სტივე, დავი მაკლესტი, კიელ ანდრესენი, ჰანს მარუმსრუდი) ჯგუფი. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში დაისახა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ნორვეგია-საქართველოს სამწლიანი თანამშრომლობის მიზნები და ამოცანები.

ნორვეგია-საქართველოს ინსტიტუტური თანამშრომლობის ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის სტრატეგიული დაგეგმვისა და ევროპული თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი ირმა დოლიძე და უძრავი ძეგლების, არქეოლოგიისა და დაცული ზონების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ქრისტინე დარჩია მივლინებით იმყოფებოდნენ ნორვეგიაში (ქალაქები: ტრომსო, ალტა და ოსლო). ქართველი სპეციალისტები გაეცნენ მსოფლიო მემკვიდრეობისა და არქეოლოგიური საიტების მართვის ნორვეგიულ მოდელს. გამოითქვა ორმხრივი მზაობა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიური საიტების მენეჯმენტის სფეროში საქართველოსა და ნორვეგიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ.



სამუშაო შეხვედრა ნორვეგიელ და ქართველ ექსპერტთა შორის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში
Working Meeting of Georgian and Norwegian Experts in the Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia

SHARING OF THE BEST INTERNATIONAL EXPERIENCE

KNOWLEDGE AND EXPERIENCE FOR THE BENEFITS OF PROTECTION AND PRESER- VATION OF CULTURAL HERITAGE OF GEORGIA

MEMORANDUM OF MUTUAL UNDERSTANDING

The Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia has been engaged in active cooperation and partnership with the Ministry of Environmental Protection of Norway in sphere of protection of cultural heritage. A group of Norwegian experts were visiting Georgia from March 24 till June 1 (the group consisted of Joel Boyaz, Marten Borough, Morten Stigge, Dug McLebast, Liyel Andersen and Hans Marumsrood). Purposes and aims of the three-year plan of cooperation in regard of cultural heritage between Georgia and Norway were defined during the visit.

Within the framework of Georgian-Norwegian cooperation the head of the Agency for the Strategic Development and European Cooperation of the Department of Cultural Heritage Ms. Irma Dolidze and the lead expert of the Agency of Immoveable Monuments, Archaeology and Protected Zones Ms. Christine Darchia set off to Norway for the business trip (they visited cities of Tromsø, Alta and Oslo), where they had an opportunity to study the Norwegian model of management of monuments of cultural heritage and archaeological sites. Both parties have expressed mutual readiness for close cooperation in the field of management of archaeological sites and cultural heritage.

2008 წლის 17-23 ნოემბერს ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის დელეგაცია ოფიციალურად ეწვია საქართველოს.

2008 წლის 17 ნოემბერს ნორვეგიის გარემოს დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატსა და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით:

- კულტურული მემკვიდრეობის დარგში ადმინისტრირების გაუმჯობესება და მართვის უნარ-ჩვევების გაძლიერება;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაციისა და დოკუმენტაციის შექმნის უნარ-ჩვევების გაძლიერება;
- კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული მონაცემთა ბაზის განვითარება;
- პროფესიული განათლებისა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;
- საქართველოში მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის ძეგლთა მართვის უნარ-ჩვევების გაძლიერება;
- პოლიტიკური საკონსერვაციო პროექტების განხორციელება, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული ხის ტრადიციული საცხოვრებლების მაგალითზე;
- UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხისთვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნომინაციის მომზადებაში დახმარება, განსაკუთრებული აქცენტით თბილისის ისტორიულ უბანზე.

პროგრამის საჭიროების მიზანი

2008 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ევროპის საბჭოს მისია (მიქაელ დე ტისი, დავიდ ჯონსონი, ანა პისოტი) რუსეთის აგრესიის შედეგების მონიტორინგისა და მდგომარეობის გამოსწორებისთვის საჭირო მიმართულებების დაგეგმვისათვის.

ვიზიტის ფარგლებში მისიის წევრებმა განახორციელეს მონიტორინგი ცხინვალისა და გორის რეგიონის სოფლების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, რის შედეგადაც ქართულ მხარესთან ერთად შემუშავდა სამი პროექტი: **“რეაბილიტაციის პროგრამა ნიკოზის მონასტერისა და სოფ. ნიქოზისათვის”**; **“ყოფილ ბუფერულ ზონაში მდებარე სოფლების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება”**; **“ადგილობრივი და რეგიონალური მასშტაბის მდგრადი განვითარების პროგრამა გორის მუნიციპალიტეტისათვის”**.

ევროსაბჭოს ექსპერტების გარდა პროექტში ჩართული იყვნენ ადგილობრივი ექსპერტები. საქართველოს მხრიდან ვიზიტს კოორდინაციას უწევდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობენ, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების (საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ლოკალური და განსახლების სამინისტრო, რეგიონალური მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენლობა, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი, გორის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, ევროპის საბჭოს წარმომადგენლობა საქართველოში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი) წარმომადგენლები.

On November 17, 2008 delegation of the Directory of Cultural Heritage of Norway undertook one-week official visit to Georgia.

On 17-th of November a Memorandum of Mutual Understanding has been signed between the Directory of Cultural Heritage of the Ministry of Environmental Protection of Norway and the Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia, defining several spheres of cooperation as follows:

- improvement of administration abilities in the field of cultural heritage and enhancement of managerial skills;
- enhancement of skills necessary for creation of inventory and registration files for the objects of cultural heritage;
- promotion of the National Database of Cultural Heritage;
- improvement of professional education and skills;
- improvement of skills of management of objects of cultural heritage of Georgia entered in the List of World Cultural Heritage;
- implementation of pilot projects for conversation of the samples of traditional wooden dwelling houses in various part of Georgia;
- provision of support in preparation of presentations on the objects of cultural heritage of Georgia, for their nomination for the UNESCO List of World Cultural Heritage with particular attention towards the historical part of the city of Tbilisi.

MISSION OF THE COUNCIL OF EUROPE

For the purposes of monitoring of affects of Russian aggression and definition of plans and basic trends for improvement of the existing state of affairs the Mission of the Council of Europe visited Georgia in October and November, 2008. The Mission consisted of Mr. Michael de Ticce, Mr. David Johnson Ms. Anna Pisotti.

Within the framework of their trip the members of the Mission visited and monitored the monuments of cultural heritage located in the villages of Gori and Tskhinvali regions. As an outcome of this visit three projects were mutually elaborated as follows: **Nikozi Monastery and the Village of Nikozi Rehabilitation Program**; **Preparation of Recommendations for the Rehabilitation and Reconstruction of the Villages Located Within the Former Buffer Zones**; and **Sustain Development Program for Gori Municipality on Local and Regional Levels**.

Several local experts were involved in the aforementioned process of elaboration of projects. The visit has been coordinated by the Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia as the host-government representative. A special support group has been set up for facilitation of the Mission's activities with the participation of representatives of other state authorities as follow: Ministry of External Affairs, Ministry of Interior, Ministry of Resettlement and Refugees, officials from the Representation of the State Minister for the Regional Management, the Parliamentary Committee for Education, Science and Culture, Municipality of Gori, Representation of the Council of Europe in Georgia and the Municipal Development Foundation of Georgia.

ნატოს სამიტის ფარგლებში მოწყობილი საქართველოს გამოფენა

2008 წლის 2-4 აპრილს რუმინეთში, ქ. ბუქარესტში, ნატო-ს სამიტის პარალელური ღონისძიებების ფარგლებში, გაიმართა საქართველოს საპრეზენტაციო გამოფენა. სასტუმრო “ჰილტონის” სავანგებოდ გამოყოფილ სივრცეში განთავსდა საქართველოსა და ქართული კულტურის ამსახველი ფოტონამუშევრები, ასევე, ქართული ხელოვნების ტრადიციული დარგის – ტიხრული მინანქრის – თანამედროვე ნიმუშები; სამინისტროს მიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ამსახველი გამოცემები, სხვადასხვა სახის ბუკლეტები, ფლაერები, მკირე ტურისტული პროსპექტები და ნატოს სამიტისათვის სავანგებოდ ჩამოსხმული ქართული ღვინო.



საქართველოს ექსპოზიცია სასტუმრო “ჰილტონის” ფოიეში | Hotel “Hilton” Lobby, Georgian Exposition

ლიტვა-საქართველოს თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში

მიმდინარე წელს, საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის კულტურის მინისტრის ბოლო ვიზიტის დროს, საქართველოსა და ლიტვას შორის დაისახა ერთობლივი თანამშრომლობის პერსპექტივები. დაიგეგმა კულტურის სფეროში ლიტვის გამოცდილების გაზიარება ქართული მხარისათვის კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო მართვის, სამუზეუმო სფეროს მართვის, მოძრავ ძეგლთა აღრიცხვა-დოკუმენტირებისა და კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და ქვეყანაში შემოტანის რეგულირების საკითხებზე.

ლიტვის კულტურის სამინისტროსა და ლიტვაში საქართველოს საელჩოს მონვევითა და ორგანიზებით, 2008 წლის 17–23 ნოემბერს, ვილნიუსში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის თანამშრომელთა დელეგაცია – სტრატეგიული დაგეგმვისა და ევროპული თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი ირმა დოლიძე, ამავე სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ვერა შანიძე, მოძრავი ძეგლებისა და მუზეუმების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მაკა სოხაძე და ნებართვებისა და

GEORGIAN EXHIBITION ORGANIZED WITHIN THE FRAMEWORK OF NATO SUMMIT

A presentation exhibition about Georgia has been organized within the framework of measures carried out in parallel with NATO Summit held on April 2-4 in Bucharest, Romania. The exhibition took place in Hotel Hilton, where a special space was allocated for the exposition of photos on Georgian culture, where the selected modern samples of traditional branch of Georgian culture – plique-a-jour were presented as well on the background of several publications regarding rehabilitation of the monuments of cultural heritage carried out by the Ministry of Culture, exhibition flyers, booklets, small tourist prospects and the very best selection of Georgian wines particularly bottled for the Summit.



LITHUANIAN-GEORGIAN COOPERATION IN THE FIELD OF CULTURAL HERITAGE

During the last visit of the Minister of Culture of Lithuania to Georgia that took place in the accounting year several spheres of cooperation between the parties were defined. Besides, the plans were discussed elaborated regarding sharing of experience gained by Lithuania in the field of public management of cultural heritage, museum management, inventory and registration of moveable monuments and in the sphere of implementation of regulations on export and import of things of cultural value. On November 17-23, 2008 a delegation of the Department of Cultural Heritage of the Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia visited the capital of Lithuania - Vilnius. The trip has been organized in cooperation with the Ministry of Culture of Lithuania and the Embassy of Georgia in Lithuania. The working group consisted of Ms. Irma Dolidze - Head of the Agency for Strategic Planning and European Cooperation, Ms. Vera Shanidze the Lead Expert of the mentioned Agency, Ms. Maka Sokhadze – the Lead Expert of the Agency of Moveable Monuments and Museums, Ms. Ekaterine Maisaia – Lead Expert of the Agency of Permits and Expertise and Ms. Nino Vacheishvili – K. Marjanishvili State Drama Theatre Museum Coordinator.

ექსპერტიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ეკატერინე მაისაია, კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მუზეუმის კოორდინატორი ნინო ვაჭიშვილი.

ვიზიტის განმავლობაში ქართველი სპეციალისტები გაეცნენ ლიტვის რესპუბლიკაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების სტრუქტურასა და საქმიანობას, ასევე მონაწილეობა მიიღეს ლიტვის კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის თაოსნობით 2008 წლის 20 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში, გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში – **“იუნესკოს შავის კონვენციის იმპლემენტაცია ლიტვაში: გამოწვევა, პოტენციალი, გადაუდებელი ამოცანა”**, რომელიც შავის კონვენციის II ოქმით გათვალისწინებული პირობების შესრულებას მიეძღვნა.

კონფერენციაზე პრეზენტაცია – **“რუსეთის ოკუპაცია და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 2008”** – წარადგინა ირმა დოლიძემ, რომელიც ეხებოდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობასა და, ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საქართველოში მიმდინარე პროცესებს.



კონფერენციის მსვლელობის დროს | During the Conference

During their business trip Georgian experts became familiar with the organization and structure of the entities responsible for protection of cultural heritage in Lithuania and the system of distribution of authority between them. Besides, the group participated in the international workshop organized by the Cultural Heritage Department of Lithuania – **“Implementation of the UNESCO Hague Convention in the Republic of Lithuania – the Challenge, Potential, Urgent Matter”**, held on November, 20, 2008 in Vilnius and aimed at facilitation of implementation and observation of the conditions envisaged by the II Protocol of the referred above Convention.

The Presentation – **“Russian Occupation and Cultural Heritage of Georgia 2008”** presented to the international audience by Mr. Irma Dolidze dealt with the issues of state and conditions of the monuments of cultural heritage located in the regions affected by Russian aggression of August 2008. Besides, the presentation provided general outlook of the processes in the field of protection of cultural heritage in Georgia.



ქ. ვილნიუსი, მუსიკის, თეატრისა და კინოს მუზეუმი | Museum of Music, Cinema and Theatre in Vilnius



ქ. ვილნიუსი, ტრაკაის ციხე-სიმაგრე | Vilnius, Trakai Island Castle

კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგი

კულტურული მემკვიდრეობის
მონიტორინგი საქართველოს
ტერიტორიაზე

გეგმიური და ფორს-მაჟორული მონიტორინგის განხორციელება ქვეყნის მასშტაბით, ინფორმაციის მოპოვებისა და შესაბამისი რეაგირების საშუალებას იძლევა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო სამსახურებს საშუალება ეძლევათ დროულად მიიღონ ზომები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასაცავად და გადასარჩენად (უნებართვო სამუშაოების შეჩერება, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვა, ბუნებრივი თუ ანთროპოლოგიური ზემოქმედებით გამოწვეული პრობლემები და სხვ.).

CULTURAL HERITAGE MONITORING

MONITORING OF CULTURAL
HERITAGE ON THE TERRITORY
OF GEORGIA

Implementation of planned and force-major monitoring of the monuments of cultural heritage on the whole territory of the country enables time information to be obtained and the relevant means of prompt response to be selected. All public authorities assigned to and involved in protection of cultural heritage are able promptly to implement measures necessary for protection and rescue of endangered monuments. Those measures include suspension of any illegal or unauthorized activities, planning, designing and scheduling of rehabilitation activities, response against any anthropogenic or natural affects, etc.



კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა

ერთიანი საინფორმაციო სისტემის ამოქმედება

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებული და მიმდინარე საინფორმაციო ნაკადების ციფრული ვერსიების სპეციალური ტექნიკური წესით თავმოყრა, შენახვა და დაცვა.

2007 წლის გამოცხადებული ტენდერის “კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის ამოქმედება” შედეგად განხორციელდა ორი გრძელვადიანი პროექტი. კერძოდ, “**კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის არქივში უძრავ ძეგლებზე არსებული დოკუმენტაციის (გრაფიკული, ფოტო, ტექსტური) ციფრულ ფორმატში გადაყვანა და არქივის ინვენტარიზაცია**”. იგი მიზნად ისახავდა 1948 წლიდან დღემდე არქივში თავმოყრილი უმდიდრესი მასალის დიგიტალიზაციას და სისტემაში ინტეგრაციას. სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ სამუშაოების შესრულება სამ წელზეა გათვლილი.

2007 წელს შესრულდა გურიის რეგიონზე არსებული საარქივო დოკუმენტაციის (გრაფიკული, ფოტო, ტექსტური, პასპორტები, ნეგატივები) ციფრულ ფორმატში გადაყვანა და ბაზებზე მიზმა. ციფრულ ფორმატში გადაყვანილი მასალები განთავსებულია სერვერზე.

2008 წელს მცხეთა-თიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, იმერეთის სამხარეო რეგიონისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ძეგლებზე არსებული საარქივო დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია.

არქივის ინვენტარიზაცია დასრულდება 2009 წელს, როდესაც არსებული ბაზა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, რაჭა-ლეჩხუმის სამხარეო რეგიონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძეგლებით შეივსება.

PUTTING INTO OPERATION OF THE CULTURAL HERITAGE DATABASE UNIFIED SYSTEM


Collection, preservation and protection in accordance with the particular technical requirements of all of the existing and current flows of digital versions of the information regarding cultural heritage is one of the basic trends of activities of the Department of Cultural Heritage of the Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia.

A Tender “**Activation of the Unified Database of Cultural Heritage and Putting it into Operation.**” was implemented in 2007, that made possible the implementation of other two Projects in the relevant field, that were as follows: “Creation of Digital Versions of the Existing Registration Documentation (graphics, photos, texts) on the Immoveable Monuments Deposited in the Archive of the Department of Cultural Heritage and Inventory of the Archive.” The Project was aimed at digitalization of the richest material collected in the referred Archive since day of its foundation back in 1948 and integration of the material into the unified system. Due to its highly specific nature the Project has been scheduled for three years.


Creation of digital versions of all of the existing documentation and material collected in the Archive (graphics, photos, textual material, all completed certificates and passports, coupled with the respective negatives) in regards of cultural heritage preserved in the historical province of Guria and binding of data to the database was completed in 2007. The digital information is accessible on the server.

Creation of the digital versions of the registration documentation and of other archival material regarding the monuments of cultural heritage of Mtskheta-Tianeti, Samegrelo-Zemo Svaneti, Shida Kartli, Imereti and Abkhazia Autonomous Republic has been continued in 2008.

Full inventory of the Archive will be completed in 2009 after augmentation of its existing version with the information regarding the monuments of Samtskhe-Javakheti, Kvemo Kartli, Racha-Lechkhumi and Ajara Autonomous Republic.



კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა მონაცემთა ბაზა | Cultural Heritage Immoveable Monuments Database



ბროშურა კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის შესახებ | A Booklet on the Cultural Heritage Database


ქულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო სისტემის (ქულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის) შექმნა

2008 წელს დასრულდა ორწლიანი (2007-2008) პროექტი: “**კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნის დაწყება**”. პროექტის განხორციელების შედეგად უკვე არსებობს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის შექმნილი მოდელი. პროექტი მუდმივია და ახალი მასალებით მისი შევსება პერმანენტულად წარიმართება. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ბაზა დაკავშირებულია ელექტრონული არქივის საინფორმაციო სისტემასთან.

ქულტურულ მემკვიდრეობის დეპარტამენტის მოქარაჟი კვლევის მონაცემთა ბაზის მოდიფიკაცია

2002 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ შემუშავდა მოძრავი ძეგლების მონაცემთა ბაზა, რომელიც წარმოადგენდა ხუთი ცალკეული ბაზის ერთობლიობას. ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ ძეგლის საფუძველზე ახალი ბაზის შექმნის აუცილებლობა წარმოშვა. ცვლილებები შევიდა, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმებშიც. შესაბამისად, რეესტრის, სააღრიცხვო ბარათისა და პასპორტის შეცვლილმა ფორმამ ერთიანი ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის სტრუქტურის შექმნა და, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ახალი ფუნქციების დამატებითი პროგრამირება მოითხოვა.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა ბაზის ახალი სტრუქტურა. მომზადდა ელექტრონულ ფორმატში ფორმატა შევსების წესიც, მოხდა სისტემის ერთობლივი ტესტირება და დახვეწა; ბაზის ინტეგრირება ერთიან საინფორმაციო სივრცეში.




კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ძეგლთა მონაცემთა ბაზა | Cultural Heritage Moveable Monuments Database

COMPLETION OF THE CULTURAL HERITAGE DATABASE UNIFIED SYSTEM (CULTURAL HERITAGE DATABASE)

A two-year long Project “Commencement of Completion of the Cultural Heritage Database Unified System” was completed in 2008. As a result of implementation of this Project the completed version of the Cultural Heritage Database already exists. This process is constant and completion of the database will be permanent. Linkage of the Archive Digital Version with the Cultural Heritage Database is another important outcome of the Project implementation.

UPDATE OF THE DATABASE OF THE MOVEABLE MONUMENTS OF THE DEPARTMENT OF CULTURAL HERITAGE

The Ministry of Culture of Georgia has initiated creation of the database of moveable monuments that was successfully completed in 2002 through kinking and unification of five separate databases. Invention and utilization of new information technologies invoked the necessity of creation of new database on the bases of the existing ones. Even the moveable monument registration documentation was modified to some extent. Respectively, all the documents related to cultural heritage inventory, registration cards and passports were changed, leading to the creation of unified and centralized database that has been amended and enhanced with several new functions in accordance with current requirements. New structure of the database has been created within the framework of the Project coupled with the elaboration of the particular regulation for filling – in of the registration and inventory documentation digital versions. All interested parties have tasted and corrected the new system. On final stage the database has been integrated within the unified information space.



ატენი, კედლის მხატვრობის ფრაგმენტი, ვატმანის ქაღალდი, 84.26 x 45.14 სმ | Ateni Sioni Church, Fragment of the Wall Painting Copied on Whatman Paper; 84.26 X 45.14 cm



ატენი, “მაცხოვრის შობა”, ვატმანის ქაღალდი, 80.0 x 58.0 სმ | Ateni Sioni Church, “Birth of Christ the Savior” A Fresco Copied on Whatman Paper; 80 X 58 cm

კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის პროგრამა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის პროგრამა. 2004-2007 წლებში პროგრამის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა ათეულობით წიგნი, ალბომი, მონოგრაფია თუ კატალოგი. ამ გამოცემებში ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის კვლევის უახლესი შედეგები და მასალებია წარმოდგენილი. "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში მომზადდა და დაიბეჭდა შემდეგი გამოცემები:

- "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამა";
- ბარათების კრებული 2007 წელს რეაბილიტირებულ ძეგლებზე;
- ქართული ხელოვნების ისტორიის ინგლისურენოვანი პოპულარული ბუკლეტი;
- თეატრის მხატვრობა, 1920 – 1950 წწ. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია;
- ალბომი – "ლავრა, უდაბნო";
- საიუბილეო ალბომი – მცხეთის ჯვარი;

GEORGIAN CULTURAL HERITAGE RESEARCH AND PROMOTION PROGRAM

Georgian Cultural Heritage Research and Promotion Program is regarded as one of the most important and integral parts of the State Program for Cultural Heritage Protection. Several dozens of books, albums, monographs and catalogues were prepared and published within the framework of this Program through the period of 2004-2007. Results of the latest searches obtained through up to date scientific and technological approaches are presented in the publications. The publications issued in 2008 were as follows:

- "2007 State Program for Cultural Heritage Protection";
- Set of cards reflecting the monuments of cultural heritage rehabilitated in 2007;
- Scientific-popular booklet on the history of Georgian art in English;
- Theater Paintings of 1920-1950-ies from the collections of Rustaveli Drama Theatre;
- David Gareji Monasteries – The Laura and The Desert, - an album;

- რაჭა – 1991 წლის მიწისძვრით დაზიანებული ძეგლები;
- დიდი და პატარა ლიახვის აუზების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა გზამკვლევი;
- კატალოგი "ელენე ახვლედიანი კერძო კოლექციებიდან";
- ალბომი – "თბილისური სადარბაზოები";
- წიგნი "სახსოვარი" (რადიოს ოქროს ფონდზე);
- "რეკომენდაციები ძეგლთა მოყვარულთათვის ანუ როგორ მოვეყვართ ძეგლებს";
- "ზარათი – წმინდათა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია";
- "ძეგლებზე მოქცევის წესები ყმაწვილთათვის";
- "დავით კაკაბაძე თეატრსა და კინოში";
- ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კატალოგი;
- ალბომი – "შუა საუკუნეების ქართული ხატწერა";
- ალბომი – "ანანური";
- ვ. ბერიძე, "ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ნარკვევები IV საუკუნიდან 1921 წლამდე";
- ალბომი – "ადრექრისტიანული ქართული ქვაჯვარები";
- კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო მეთოდოლოგიური ლიტერატურა (თარგმანი);
- კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ – ინგლისურენოვანი გამოცემა;
- ედმონდ გაბრიელ კალანდაძის საიუბილეო ალბომი;
- საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის "კავკასიური სახლის" განყოფილების – სმირნოვის პუშკინის მემორიალში დაცული კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალურად ღირებული მასალის მომზადება წიგნად გამოცემისთვის "სმირნოვების სახლი – საჩუქრად საქართველოს".

- The anniversary album on Mtskheta Jvari (Holly Cross) Monastery;
- Racha Monuments Affected by the earthquake in 1991;
- The Guidebook of the Monuments of Cultural Heritage of the basins of Didi and Parara Liakhvi Rivers;
- "Eleme Akhvlediani – Pictures from Private Collections" – a catalogue;
- "Entrance Halls of Old Tbilisi" – an album;
- "The Memento" – book on the golden fund of Georgia radio;
- "Some Recommendations for the Lovers of Monuments of Cultural Heritage, or how to Handle the Monuments";
- "Zarati Church of St. Ivita and St. Kvirike";
- "Some Guidelines for Teenagers while on the Monument";
- "David Kakabadze for Theater and Cinema";
- A Catalogue of Oni Local History Museum;
- Album on Georgia Medieval Icon Painting;
- "Ananuri" – album
- V. Beridze "Essays on the History of Georgian Architecture from IV c. AD till 1921";
- "Early Christian Stone Crosses" – an album
- Manuals on the best international practice regarding the cultural heritage – translations;
- Law of Georgia on the Cultural Heritage – English-language version;
- Edmond Gabriel Kalandadze – the anniversary album;
- Preliminary works for publication of the book-catalogue "The Smirnov's House – Gift to Georgia" presenting cultural heritage and material with cultural values preserved in collections of The Smirnov's Pushkin Memorial – the Slavic Branch of the Centre of Cultural Relations of Georgia – "The Caucasian House".

საანგარიშო ქრებული “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამა” და ბარათების ქრებული 2007 წელს რეაბილიტირებულ ძეგლებზე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად მზადდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ანგარიშები, რითაც ფართო საზოგადოებას სრული ინფორმაცია მიეწოდება ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობასა და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ამ მიმართულებით გაწეულ სამუშაოებზე.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინგლისურენოვანი გამოცემა

Ancient Georgian Art

From the pre-Christian period through the eighteenth century

შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა ქართული ხელოვნების ისტორიის შე-სახებ ინგლისურენოვანი ბუკლეტი. აღნიშნული პროექტის განხორციელება აქტუალურია ქართული ხელოვნებისადმი სულ უფრო მზარდი საერთაშო-რისო ინტერესის პირობებში.



საანგარიშო კრებული და ბარათები
Published Annual Report and Printed Postcards

THE REPORT ON “2007 STATE PROGRAM FOR CULTURAL HERITAGE PROTECTION” AND THE SET OF POSTCARDS WITH IMAGES OF MONUMENTS OF CULTURAL HERITAGE REHABILITATED IN 2007

Department of Cultural Heritage of the Ministry of Culture, Monuments Protection and Sports of Georgia on the annual bases issues a volume containing the reports regarding the activities undertaken within the framework of State Program for Cultural Heritage Protection for the respective accounting year. The basic aim and purpose of those volumes is communication of the information to general public regarding the conditions of cultural heritage thought the country and activities implemented towards this sphere.


THE ENGLISH LANGUAGE VERSION OF THE HISTORY OF GEORGIAN ART

Ancient Georgian Art

From the pre-Christian Period through the Eighteenth Century

Contractor: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art and Monuments Protection

An English-language booklet on the History of Georgian Art has been prepared and published within the framework of 2008 State Program for Cultural Heritage Protection. Being aware about the increased interest towards Georgian Art this publication seems to be called-for and time.



ქართული ხელოვნების ისტორიის ინგლისურენოვანი გამოცემა
The English-Language Publication of the
“Ancient Georgian Art”

თეატრის მხატვრობა 1920-1950 შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექცია

შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუზეუმის კოლექცია დღემდე არ ყოფილა სათანადოდ აღწერილი და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი. 2007 წელს მომზადდა და 2008 წელს გამოიცა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის ესკიზების კოლექციის ამსახველი ორენოვანი, ფერადი, მაღალბოლიგრაფიული დონის ალბომი. XX საუკუნის 20-იან წლებში რუსთაველის თეატრში მოღვაწე ორმა დიდმა რეჟისორმა კ. მარჯანიშვილმა და ს. ახმეტელმა საფუძველი ჩაუყარეს თეატრალური მხატვრობის დამკვიდრებას ქართულ პროფესიულ სცენაზე. მათ ახალგაზრდა მხატვრებსა და, ზოგადად, თეატრალურ ხელოვანთა საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად, XX საუკუნის დასაწყისის ავანგარდული თეატრის პრინციპები გააცოცხლეს თეატრში. მხატვრული შემოქმედების თვალსაზრისით, ეს პერიოდი რუსთაველის თეატრის და, ზოგადად, ქართული კულტურის ისტორიაში ახალი ძიებებითა და მაღალმხატვრული წარმოდგენებით გამოირჩეული ხანაა. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მუზეუმში დაცული თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობის ნიმუშთა კატალოგში შევიდა რუსთაველის თეატრში იმ დროს მოღვაწე მხატვრების – ი. გამრეკელის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ლ. გუდიაშვილის, ს. ქობულაძის, ე. ახვლედიანის, ს. ვირსალაძის, კ. ზდანევიჩის, დ. კაკაბაძის და სხვა ცნობილ ქართველ მხატვართა ესკიზები.



წიგნი “თეატრის მხატვრობა 1920-1950”
Published Book “Theater Painting 1920-1950”

THEATRE PAINTING 1920–1950-ies RUSTAVELI STATE DRAMA THEATRE COLLECTION

Contractor: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art and Monuments Protection

The collection preserved in Rustaveli Sate Drama Theatre museum has not been studied until recently and the exhibits were inaccessible for general public. A bilingual album with the best selected samples of sketches possessed by Rustaveli Theater museum had been prepared in 2007 and issued the following year. This publication with color plates complies with the highest requirements of modern publishers. Two celebrities of dramatic art K. Marjanishvili and S. Akhmeteli - the outstanding stage managers of 20-ies of XX-th century are founders of the professional theatre painting on Georgian drama stage. In cooperation with the young generation of gifted artists and other representatives of dramatic art both of them have implemented all basic principles and rules of the early XX c avant-garde theatre. From the point of artistic creativity, innovations and number of produced samples of highly artistic works this is the most important and highly interesting period of the history of Rustaveli Theatre and of the whole Georgian culture. The catalog presents selection of sketches and theater paintings deposited in Rustaveli Theatre museum performed by famed Georgian artists as follows: I. Gamrekei, V. Sidamon-Eristavi, L. Gudishvili, S. Kobuladze, E. Akhvlediani, S. Virsaladze, C. Zdanovich, D. Kakabadze and others.



შ. ი. გამრეკელი, დეკორაციის ესკიზი სპეტაკლისათვის “მალშტრემი”, 1924 წ.
Artist I. Gamrekei, Scenery Sketch for the Play “Malschtreim”, 1924

სასოფარი

შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

საქართველოს რადიოს იშვიათი ჩანაწერების კოლექცია – “ოქროს ფონდი” – დღემდე ინახავს ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მამულიშვილთა ხმების უნიკალურ ჩანაწერებს. ეს არის ქართული კულტურის კიდევ ერთი განსაკუთრებული და უაღრესად მნიშვნელოვანი საგანძური, „ხმების მუზეუმი“, რომელიც საინტერესო მასალას გვანდის ქართული მწერლობის, თეატრის, კინოს, სახვითი ხელოვნების, მუსიკის, მეცნიერების და, ზოგადად, XIX–XX საუკუნეთა მიჯნის ქართველთა სულიერი ცხოვრების შესახებ.

“ოქროს ფონდში” დაცული ჩანაწერების საფუძველზე და მათი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, მომზადდა და გამოიცა წიგნი “სახსოვარი” (ავტორი – ლ. კიკილაშვილი), რომელიც მკითხველს ამ საგანძურის ერთ ნაწილზე – რადიოს ლიტერატურულ-დრამატულ გადაცემათა რედაქციის ჩანაწერთა კოლექციებზე მოუხირობს. მასში შესულია აკაკი წერეთელთან, ილია ჭავჭავაძესთან, ვაჟა-ფშაველასთან, დავით კლდიაშვილთან, გალაკტიონ ტაბიძესთან და სხვა მოღვაწეებთან დაკავშირებული მასალები, რომელთა უმეტესი ნაწილი პირველადაა გამოქვეყნებული.

თბილისური სადარბაზოები

შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

თბილისის ისტორიულ უბნებში შემორჩენილი მოხატული და დეკორატიულად გაფორმებული სადარბაზოები სადღესოდ ჩვენი ქალაქის კულტურული მემკ-

“MEMENTO”

Contractor: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art and Monuments Protection

The collection of rarities of Georgian Radio still keeps the unique audio material with voices of many outstanding and famed compatriots recorded in different times. This is one more priceless and the most important treasure of Georgian culture – “The Museum of Voices” containing unique information regarding Georgian literature, theatre, cinema, fine arts, music, science and spiritual life of XIX–XX cc.

Based on the material kept in the collection, a book “Memento” has been prepared and issued (editor and author Mr. L. Kikalishvili). This volume deals with one part of that unique treasure - records preserved by the editorial office of literature and dramatic programs. Materials about Akaki Tsereteli, Ilia Chavchavadze, Vazha – Pshavela, David Kldiashvili, Galaktion Tabidze and other celebrities are included in this addition most of which are first-published.

TBILISI ENTRANCE-HALLS

Contractor: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art and Monuments Protection

Samples of entrance halls adorned with decorations and wall painting that have remained in the historical part of the city of Tbilisi are currently known



წიგნი “სახსოვარი” | The Book “The Memento”



ალბომი “თბილისური სადარბაზოები”
The Album “Tbilisi Entrance Halls”

ვიდრეობის მნიშვნელოვან, არც თუ ცნობილ ნაწილს წარმოადგენს. იგი თვალსაჩინოდ ასახავს XIX ს. II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისურ ყოფასა და ქალაქურ კულტურას. ევროპაში არც თუ მრავლად შემორჩენილ მსგავს სადარბაზოებთან ერთად, აღნიშნული მასალა უმნიშვნელოვანესია ამ ეპოქის მთლიანობაში გასაგებად და შესასწავლად.

მასალის სიუხვიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მომზადდა და გამოიცა ორენოვანი, ფერადი ალბომი – “თბილისური სადარბაზოები”. მასში შესულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული „ძველი თბილისის სადარბაზოთა ინვენტარიზაციის“ შედეგად აღნუსხული ნიმუშები – ბ. ახოსპირელის №3/7, ლ. ასათიანის ქ. №№ 13, 24, პ. ინგოროყვას ქ. №№ 6, 20, თ. აბაყელიას ქ. № 5 და სხვ. სულ ალბომში ორმოცამდე სადარბაზოა შესული.

რეკომენდაციები ქველთა მოყვარულთათვის ანუ როგორ მოვაპყროთ ქველთა

შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

რეკომენდაციები ძეგლთა მოყვარულთათვის ანუ როგორ მოვეპყროთ ძეგლებს წარმოადგენს პოპულარულ ენაზე დაწერილ რჩევათა კრებულს, რომელიც რეკომენდაციების პარალელურად შეიცავს განმარტებებს იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება გავაკეთოთ საკუთარი ძალებით ძეგლის მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით, რის უფლება გვაქვს და რის არა, ვის მივმართოთ კონკრეტულ შემთხვევებში, როგორ ჩავატაროთ მონიტორინგი, რას დავაკვირდეთ და სხვ.



კრებული “როგორ მოვეპყროთ ქველთა” | Collection “How to Handle the Monuments”

only to the narrow circle of professionals though they constitute an important part of cultural heritage of the town, perfectly reflecting the stile of life and urban culture and taste that dominated in the second half of XIX – first two decades of XX c. Together with the alike samples of entrance halls preserved in Europe in quite restricted amounts, the referred above local material seems to be important for better and comprehensive understanding of the epoch. Due to considerable amount of this important material it was decided to prepare and publish Georgian-English bilingual colored album “Tbilisi Entrance Halls” containing material compiled during the inventory of the entrance halls of the historical part of the city, conducted in 2007, within the framework of State Program for Cultural Heritage Protection. Totally up to forty entrance halls are presented in the volume including those of buildings located on 3/7 Akhospireli st., No. No. 13 and 24, Asatiani st., No. No. 6 and 20, Ingorokhva st., 5, Abakelia st. and others.

RECOMMENDATIONS FOR LOVERS OF CULTURAL HERITAGE MONUMENTS, OR HOW TO HANDLE THEM

Contractor: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art and Monuments Protection

The brochure “Some Recommendations for Lovers of Cultural Heritage Monuments, or how to Handle the Monuments” is a set of recommendations written on popular language that in parallel to them provides some approved advises on preferred activities that visitor can carry out for the monument’s benefit, deals with legal aspects of volunteer activities outlining the restrictions and permissions set by the respective legislation, who and how to address in case of necessity, how to conduct monitoring of the monument, what the attention should be paid to is worse of attention and other issues related to the monuments protection.




ზარათი - წმიდათა კვირიკასა და ივლიტას კალენარი

შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

იმერეთში, ქუთაისიდან ათიოდე კილომეტრით დაშორებულ სოფელ ზარათში მდებარეობს XIII საუკუნის დარბაზული ტიპის ეკლესია, რომლის ინტერიერიც XVII საუკუნეში მთლიანად ფრესკებით შეუქმნათ. ზარათის წმიდა მონაშეთა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია და მისი მოხატულობა, ასევე, აქ დაცული სიძველენი, გასული საუკუნის 30-იან წლებში აღწერა ცნობილმა მკვლევარმა გიორგი ბოჭორიძემ. მას შემდეგ ძეგლის შესწავლა არ გაგრძელებულა. 2006-2007 წლებში სამინისტროს პროგრამით განხორციელდა მონუმენტური მხატვრობის კვლევითი სამუშაოები, მომზადდა კონსერვაციის პროექტი და მთლიანად გაიწმინდა და გამაგრდა დრო-ჰამისგან დაზიანებული მხატვრობა, რის შედეგადაც კულტურული მემკვიდრეობის ამ მნიშვნელოვან ძეგლს პირვანდელი სახე დაუბრუნდა.

“კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში ზარათის ეკლესიის არქიტექტურასა და მხატვრობაზე მომზადდა და “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში გამოიცა ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ალბომი — “ზარათი, წმიდათა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია”.



ალბომი "ზარათი, წმ. კვირიკეს და ივლიტას ეკლესია"
The Album "Zarati"

ZARATI CHURCH OF ST. KVIRIKE AND ST. IVLITA

Contractor: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art and Monuments Protection

Saint martyrs Kvirike and Ivita single-nave church of XIII c. is located in the village of Zarati, historical province of Imereti, in a distance of some 10 km. from Kutaisi. The entire interior of the construction is adorned with frescoes and wall painting performed in XVII c. In 30-ies of XX c famous scholar and researcher Mr. Giorgi Bochoridze visited Zarati and registered the church, its wall paintings and antiquities kept there. The monument has been left beyond the attention of scholars ever since then until 2006-2007, when wall painting conservation project has been prepared and the damaged paintings were cleaned and consolidated. As a result of those activities fully funded by the respective Program of the Ministry the monument has gained back its initial features and appearance.

The album "Zarati – St. Kvirike and St. Ivita Church" preparation works of which had been conducted within the frameworks of 2007 State Program for Cultural Heritage Protection, was published in 2008 within the framework of the same program for the respective year. Architecture and wall painting of this monument are considered in this publication.



ალბომი "ელენე ახვლედიანი" | The album "Elene Akhvediani"

ელენე ახვლედიანი სურათები კერძო კოლექციებიდან


შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი და “ბაია გალერეა”

კერძო კოლექციებში არსებული ე. ახვლედიანის ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრები ფართო საზოგადოებისათვის უცნობ მასალას წარმოადგენს. ვინაიდან არსებობს იმის საშიშროება, რომ კერძო კოლექციებში დაცული ნიმუშები დროთა განმავლობაში შეიცვლის ადგილსამყოფელს და შეიძლება გავიდეს საქართველოს საზღვრებს გარეთაც, ამიტომ აუცილებელი გახდა არსებული მასალის თავმოყრა კატალოგის სახით. ალბომში შევიდა მოსკოვსა და თბილისის კერძო კოლექციებში დაცული ელ. ახვლედიანის ნამუშევრები. აღნიშნული პროექტი წარმოადგენს სამუშაოს პირველ ეტაპს, რომელიც შემდგომში ითვალისწინებს შემოაღნიშნული კატალოგის ბეჭდვას.

ედმონდ გაბრიელ კალანდაძე (საიუბილეო ალბომი)

შემსრულებელი: თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

2008 წელს ცნობილ ქართველ ფერმწერს, საქართველოს სახალხო მხატვარს – ედმონდ გაბრიელ კალანდაძეს – 85 წელი შეუსრულდა. მის შემოქმედებას საგულისხმო ადგილი უჭირავს XX საუკუნის ქართულ სახვით ხელოვნებაში. მოუხდავად ამისა, მხატვრის შემოქმედების ამსახველი ალბომი დღემდე არ იყო გამოცემული. 2008 წელს “ინვესტბანკის” მიერ მომზადდა მასალა ალბომის გამოსაცემად (ელექტრონული ვერსია). კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კი განხორციელდა მისი ბეჭდვა.



ედმონდ კალანდაძის საიუბილეო ალბომი
Ed. Kalandadze's Jubilee Album

ELENE AXVLEDIANI PICTURES FROM PRIVATE COLLECTIONS

Contractor: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art and Monuments Protection in cooperation with “Baia Gallery”

Both graphics and paintings in oil and canvas of famous Georgian artist Elene (Helen) Akhvediani scattered in private collections are not accessible for broad audience. Due to possible change of their owners or their probable export in other countries in the course of time, works kept in private collections should be registered in this or that manner. The given project is the first stage on the way of the catalog publication that will contain paintings of the artist kept in private collections in Tbilisi and Moscow. Publication of the completed catalog will be implemented in the nearest future.

EDMOND GABRIEL KALANDAZE (AN ANNIVERSARY ALBUM)

Contractor: Ap. Kutatelagze Tbilisi State Academy of Fine Arts

A famous Georgian artist, the People's Artist of Georgia Mr. Edmon (Gabriel) Kalandadze is 85 in 2008. His works have deserved an outstanding and truly unique place in XX-th century Georgian fine arts. Despite the importance, no album has been issued until recently that would have considered art of this gifted painter. Thanks to donations of “Investbanki ” preliminary and preparatory works were conducted for the publication of the album, and as a result, its digital version is being prepared, publication of which is envisaged by 2008 State Program for Cultural Heritage Protection. ▶



ე. კალანდაძე, წითელი ხარები, ტილო, ზეთი, 2003
E. Kalandadze, The Red Bulls, Oil on Canvas, 2003

სმირონოვის სახლი საჩუქრად საქართველოს

შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

“კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში ჩატარდა საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის “კავკასიური სახლის” განყოფილების – სმირონოვის პუშკინის მემორიალში დაცული კულტურული ფასეულობების ინვენტარიზაცია.

მემორიალში დაცული XVIII-XIX სს. სახითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები: ფერწერული ტილოები, გრაფიკები, გრაფიკული ნამუშევრები დამგური და მინიატურული ქანდაკებები, რელიეფები, ხატები, ევროპული და რუსული მინის თასები, სათები და მხატვრულ-ისტორიული ღირებულების მქონე სხვა ნივთები. აღრიცხული მონაცემების საფუძველზე “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში გამოსაცემად მომზადდა საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის “კავკასიური სახლის” განყოფილების – სმირონოვის პუშკინის მემორიალში დაცული კულტურული მემკვიდრეობის და მატერიალურად ღირებული მასალის ამ-სახელი გამოცემა – “სმირონოვის სახლი – საჩუქრად საქართველოს”.




წიგნი “სმირონოვის სახლი საჩუქრად საქართველოს”
“The Smirnov's House – Gift to Georgia”

THE SMIRNOV'S MEMORIAL HOUSE GIFT TO GEORGIA

Contractor: G. Chubinashvili National Centre Research for Georgian Art and Monuments Protection

The inventory of collection of Pushkin memorial – the Simonov's House, one of the branches of Centre of Cultural Relations of Georgia “The Caucasian House” was conducted in the framework of 2007 State Program for Cultural Heritage Protection.

Many samples of XVIII-XIX cc fine arts as well as of decorative and applied art are preserved in the collection of the memorial – paintings, engravings, graphics, easel and miniature sculptures, risings, icons, European and Russian glass cups, antique clocks and many other things of artistic and historic value. On the bases of the conducted inventory a publication “The Smirnov's House – Gift to Georgia” presenting all important monuments of cultural heritage and/or valuable items of the collection kept in the Smirnov's Pushkin Memorial that is a section of the Centre of Cultural Relations of Georgia – “The Caucasian House” has been prepared within the framework of 2008 State Program for Cultural Heritage Protection.



ალბომი “ შუა საუკუნეების ქართული ხატწერა”
The Album “Georgian Medieval Icon Painting”

შუა საუკუნეების ქართული ხატწერის ალბომი

შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

პროექტის მიზანი იყო შუა საუკუნეების ქართული ფერწერული ხატების აღ-ბომის გამოსაცემად მომზადება. საუკუნეთა განმავლობაში ქვეყნის სხვა-დასხვა კუთხეში მიმოხვეულ მრავალრიცხოვან სახელოსნოებში იქმნებოდა სალოცავი სახეები, რომლებიც ამკობდნენ ეკლესია-მონასტრებს, სასახ-ლეებს, სახლებს, საზოგადოებრივ ნაგებობებსა და ბერ-მონაზონთა სენაკებს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შუა საუკუნეების ხატების ინვენტარიზაცია ქვემო სვანეთში. მოეწყო ექსპედიცია ლენტეხის, ჩოლურისა და ლაშხეთის თემების ოცდაათამდე ეკლესიასა და ლენტეხის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული შუა საუკუნეების ხატების შესასწავლად. აღინუსა ფერწერული და ჭედური ხატები, ვერები და ჭედურობის ცალკეული ფრაგმენტები. მოხდა მათი ფოტოფიქსაცია და აღწერა, მდგომარეობისა და დამიანებათა შეფასება. ბოლო წლების ექსპედიციათა შედეგად გამოვლინდა აქამდე უცნობი ძე-გლებიც (მაგ. ლატალის თემის, სოფ. ლახუშეთის წმ. გიორგის ეკლესიის ხატი, იენაშის იონა წინასწარმეტყველის ეკლესიის ხატები და ა.შ.).

გემოაღნიშნულის საფუძველზე, გამოსაცემად მომზადდა ალბომი “შუა საუკუ-ნეების ქართული ხატწერა”. მასში შევიდა საქართველოში შემორჩენილი XI-XIV სს. ხატწერის ნიმუშები, რომელთაგანაც ბევრი პირველად იქნება გამოქვეყნე-ბული. ქართულ-ინგლისურენოვანი ალბომი უხვადაა ილუსტრირებული.

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კატალოგი

შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

“კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში მომზადდა ქ. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კატალოგი, რომელშიც შევიდა ინფორმაცია მუზეუმის კოლექციებისა და მათ შემადგენლობაზე (როგორც ტექსტური, ასევე ვიზუალური სახით), აგრეთვე, პრაქტიკული ინ-ფორმაცია მუზეუმის დამოუკიდებელათვის (მუშაობის საათები, ბილეთების ფასები სხვადასხვა კატეგორიის ვიზიტორებისათვის, საექსკურსიო და მათი მომ-სახურების სერვისები, კოლექციებისა და ფონდების ზოგადი მიმოხილვა). საი-ლუსტრაციო მასალა მოიცავს ექსპონატებს შემდეგი განყოფილებებიდან: არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ნუმისმატიკა, ჭედური ხელოვნება, ხატწერის ხე-ლოვნება, ტექსტილის ფონდი, ფოტოგრაფიის ფონდი, თანამედროვე ხელო-ვნება. ორენოვანი (ქართულ-ინგლისური), უხვადილუსტრირებული კატალოგის არსებობა ხელს შეუწყობს მუზეუმის პოპულარიზაციას.

MEDIEVAL GEORGIAN ICON PAINTING ALBUM

Contractor: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art and Monuments Protection

The Project has been aimed at preparation of the album on medieval Georgian icon painting. Enormous amount of icons adorning monasteries, churches, palaces, dwelling houses, hermit cells and public constructions had been written for sentries in many workshops scattered all over the country.

Within the framework of 2007 State Program for Cultural Heritage Pro-tection inventory of the Icons preserved in the historical province of Lower Svaneti has been conducted. An expedition was organized for the purposes of on-spot study and monitoring of the medieval icons rested in almost 30 churches of Lentekhi, Choluri and Lashkheti Communities and in Lentekhi Ethnographical Museum. All painted and metalwork icons, crosses and separate fragments of metalwork were registered, films were taken and the damages were detected and assessed. Several monuments un- known until recently were revealed during the expeditions organized in the last few years (Lakhushti St. Georg church icon, Latali Community, sev-eral icons in Ienashi church of Jonah the Prophet and others).

On the bases of the referred above activities an album “Medieval Georgian Icon Painting” has been prepared for publication. This volume presents the XI-XIV cc icons preserved in Georgia many of which will be presented for the first time. This bilingual English-Georgian publication is richly illustrated.

ONI LOCAL HISTORY MUSEUM CATALOGUE

Contractor: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art and Monuments Protection

Oni Local History Museum catalogue has been prepared within the frame- work of 2008 State Program for Cultural Heritage Protection, presenting comprehensive textual and visual information regarding collections of this establishment and their composition. Some other useful information on the museum working hours, ticket prices for the different categories of visitors, descriptions of excursions and other crevices and the respective fees coupled with general observation of the museum collections and funds is provided in the catalog that is considered to be helpful for visitors. Illustrations included in the publication present several exhibits from archaeological, ethnographic, numismatic, metalwork, icon painting, textile, photographic and modern art collections. This well illustrated bilingual Georgian-English publication will sup- port promotion of the museum. ▶

ალბომი “ანანური”

შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

ანანურის ანსამბლი გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. ბოლო დროს ჩატარებული სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგად კომპლექსის მთავარი ნაგებობის, ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრის, საფასადო ქანდაკებაში გამოჩნდა რიგი გამოსახულებები და კომპოზიციები, რომლებიც მანამდე არ იყო ამოცნობილი, ან ყურადღების მიღმა რჩებოდა. რამდენიმე წლის წინ გაიხსნა ეკლესიის ინტერიერში არსებული ფრესკული მხატვრობაც. ამ უახლეს მასალებზე დაყრდნობით “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში გამოსაცემად მომზადდა ალბომი – “ანანური”, ქართულ-ინგლისური ტექსტით, მაღალი ხარისხის ფერადი ფოტოებით და მხატვრობის სქემებით. სამინისტროს დაფინანსებით 2008 წელსვე მომზადდა ანანურის კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტიც, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია ძეგლის სრული აღდგენისა და, მოგვიანებით, დუშეთის რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. წიგნის მომზადება კი მისი ვაცოცხლებისა და განახლების კომპლექსური ღონისძიების ნაწილია.

ანანური, ერთ დროს არავის ერისთავთა რეზიდენცია, დღესდღეობით ტურისტული მარშრუტის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ამდენად, კომპლექსის შესახებ მომზადებული ალბომი, კვლევის უახლესი მასალების გათვალისწინებით, პოპულარიზაციას გაუწევს ანანურის ანსამბლის არქიტექტურულ-მხატვრულ ღირებულებასა და მის მნიშვნელოვნებას.



ალბომი “ანანური” | The Album “Ananuri”



ანანური, ღმრთისმშობლის ეკლესია, საშპრ. კედლის მხატვრობის ფრაგმენტი “განკითხვის დღე”
Ananuri, Mother of God Church. The Doomsday Fresco on Southern Wall, A Fragment

“ANANURI” ALBOM

Contractor: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art and Monuments Protection

Ananuri complex is one of the important monuments of the late medieval Georgian architecture. Thanks to history of art studies applied to the main construction of the complex – The Church of Dormition of the Virgin, some new features and compositions of the façade sculptures that had not been detained and/or identified before have been revealed recently. Several new frescoes were uncovered in the church interior couple of years ago that before had been hidden by a layer of lime whitewash. Based on the referred above latest discoveries, a new album on Ananuri complex, once the residence of the Eristavi of the of Aragvi Saeristavo has been prepared for publication. This preparatory works were implemented within the framework of 2008 State Program for Cultural Heritage Protection. This Georgian-English publication is richly illustrated with high-quality colored images of the complex coupled with the wall painting plans. Preparation and publication of the Album is regarded as one of the stages of Ananuri Rehabilitation Project that has been worked out within the frameworks of the aforementioned State Program. The Project will be a base for full scale reconstruction of the monument. Its implementation will improve the whole infrastructure of Dusheti District as far as the monument is one of the important sights of tourist routs.

The prepared album on Ananuri giving the insights on the complex as a result of latest studies applied, will be helpful for promotion of this sight and will highlight its architectural and artistic importance.


3. გარიკა - ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ნარკვევი IV საუკუნიდან 1921 წლამდე

შემსრულებელი: გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

აკადემიკოს ვ. ბერიძის არქივში დაცულია ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ნარკვევი IV საუკუნიდან 1921 წლამდე. იგი ჩაფიქრებული იყო როგორც ნაწილი “ქართული ხელოვნების ისტორიის” ექსტრეუმელისა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ არქიტექტურაზე არაერთი ნაშრომია გამოცემული, ვ. ბერიძის შრომას, მასში წარმოდგენილი მასალის ქრონოლოგიური დიაპოზონისა თუ მოცულობის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აქ ერთიანი კონცეფციის ფარგლებში განიხილება ჩვენი ქვეყნის მხატვრული შემოქმედების ისტორიული გზა, დახასიათებულია მისი ყველა ისტორიული ეტაპი, თუ მხატვრული ღირსებით გამოჩენული არქიტექტურული ნიმუშები (წიგნი მოიცავს 550 გვერდს, 650 ილუსტრაციას და ინგლისურ რეზიუმეს).



ვაჩნაძიანის ყველანაშინდა, ჭრილი
“Vachnadziani Kvelatsminda”, A Cross-Section



ვაჩნაძიანის ყველანაშინდა, გეგმა
“Vachnadziani Kvelatsminda”, A Layout

V. BERIZE, ESSAYS ON THE HISTORY OF GEORGIAN ARCHITECTURE FOR THE IV-th CENTURY TILL 1921

Contractor: G. Chubinashvili National Research Centre for Georgian Art and Monuments Protection

Based on exploration findings of Kakheti Archaeological Expedition and data provided in the respective scientific literature (G. N. Chuvinishvili Architecture of Kakheti, Tb. 1959 (in Russian)) it was defined that several crypts and stone-box burials of Christian times containing grave goods were scattered around the main temple at various depths. Remains of cross-shape and domed early Christian church of “Svetitskhoveli ” located some 20 m south of the main temple have been buried under the thick layer of ground.

Several graves were discovered in 2007, during the church restoration activities, particularly in the trench cut along the southern façade of the monument while arranging of storm water divert channel. The opportunity of archaeological study of the revealed graves became the topical issue. They were excavated in December the same year. Found grave goods highlighted the necessity of full scale archaeological research of the plot in question (refer to the publication “2007 State Programme for Cultural Heritage”).



სვეტიცხოვლის ადრე შუასაუკუნეების გუმბათიანი ტაძრის ნაშთი უნიკალური კრიბით | Remains of the Early Medieval Domed Church of Svetitskhoveli with the

2008 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, გაითხარა 36 სამარხი და წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთით, 12 მეტრის მოშორებით, მდებარე სვეტიცხოვლის ტაძარი. გათხრების დაწყებამდე კორდოვანი ფენის ქვეშ მოქცეული ეკლესია, რვანახნავში ჩანერილი, ოთხმკლავა ნაგებობაა (6X6) პირველ სართულზე კრიტიით. ნიაღვრის მიერ მოტანილმა მიწამ და ქვა-ღორღმა ტაძრის ეზოს თავდაპირველი დონე დაფარა. სწორედ ამ დანალექ ქანში იყო მოქცეული სამაროვნები და სვეტიცხოვლის ეკლესიის ფასადთა ნაწილიც. 1924 წელს, ადგილობრივი კომკავშირლების მიერ ჩატარებული ანტირელიგიური კამპანიის დროს, ეკლესია დაანგრეს. საბედნიეროდ, იმ დროისათვის ეკლესიის ფასადთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე იყო დაფარული ხსენებული ნალექით, რის წყალობითაც ადრექრისტიანული ხანის არქიტექტურული ძეგლი სრულ განადგურებას გადაურჩა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად:

- გათხრილია სვეტიცხოვლის ადრეული შუა საუკუნეების გუმბათიანი ტაძრის ნაშთი უნიკალური კრიტიით;
- გათხრილია 3 მიწისქვეშა თაღოვანი აკლდამა, რამოდენიმე ქვის სამარხი, კრამიტსამარხი და ორმოსამარხი;
- ტერიტორია წმ. გიორგის ტაძრის სამხრეთითა და დასავლეთით თითქმის მთლიანადაა გაწმენდილი და მომზადებულია ეზოს ინფრასტრუქტურის აღსადგენი სამუშაოებისათვის;
- წინასწარულად შესწავლილია, როგორც სამარხი ნაგებობები, ასევე არქეოლოგიური მასალა;
- სვეტიცხოვლის ტაძარი აკ. გ. ჩუბინაშვილის მიერ დათარიღებულია VII საუკუნით. გათხრების საფუძველზე გაჩნდა შესაძლებლობა არსებული მოსაზრების დაზუსტება-შემოწმებისა. ამჟამად, დადასტურებულია მეცნიერის თვალსაზრისი ჩრდილოეთ კედელში კარის არსებობის შესახებ.

ექსპედიციის შედეგად, მოკლე დროში გამოვლენილ იქნა ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები. ასევე, მოპოვებული და შესწავლილია არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მასალა, რომლის სრული კვლევა მომავალში ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესწავლას.




არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი სამარხი | Unique Crypt

Totally 36 graves coupled with the remains of "Svetitskhoveli" church located some 12 meters south of St. George temple were excavated within the scope of carried out archaeological researches. Prior to commencement of excavations, the church beneath the topsoil looked to be a four-arm construction (6X6m) inscribed in the octagon with a crypt on the ground floor. Alluvial masses and debris drifted for years had elevated the relative altitude of the church yard, on the one hand serving good job to the church, so that for 1924, when yet free sections of the church were destroyed by the KOMSOMOL activists within the scope of their antireligious campaign the sections hidden under the sediments were spared and the construction escaped full destruction.

As a result of carried out activities:

- Remains of the early medieval domed church of Svetitskhoveli with an unique crypt were excavated;
- Three underground arched crypts were excavated coupled with several stone-burials, tile-graves and burial pits.
- Entire territory south and west of St. George church is almost fully cleaned and prepared for implementation of the yard infrastructure restoration activities;
- Both the burials and found grave good are studied preliminarily;
- Academician Giorgi Chubinashvili dated the Svetitskhoveli temple back to VII c. The excavations have provided perfect opportunity the estimated date to be checked and/or specified. Currently the assumption regarding the possible existence of the entrance opening through the northern wall is being proved.

As a result of aforementioned activities several important and unique monuments of Georgian architecture were found in relatively short period of time. Anthropological and archaeological material unearthed by the expedition has not yet been studied comprehensively, although its future full-scale scientific analyses will further promote the understanding of lifestyle and culture of east Georgian population in the early medieval times.



Amidasturi Burial Ground. General Layout

ბახტრიონის ეკლესია, XIX ს.

შემსრულებელი: “სტუდენტთა საექსპედიციო მოძრაობა”

ახმეტა-ალვანის გზის მარცხენა მხარეს, მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ხორბალოს ეკლესია, ბახტრიონის ეკლესიის სახელითაცაა ცნობილი. დარბაზული ტიპის ეკლესია რიყის ქვით და აგურითაა ნაგები. დასავლეთ ფრონტონის წვერზე კი, გეგმით კვადრატული, ოთხივე მხარეს თაღებით გახსნილი, აგურის ვიწრო სამრეკლოა დადგმული.

ეკლესია ჩვენს დრომდე დამიანებული სახით მოვიდა. საკურთხევის სარკმელთან გაჩენილი ბზარები კამარებამდე აღწევდა; დაზარული იყო ასევე სამხრეთისა და დასავლეთის კედლებიც. ფასადებზე აგური არაერთ ადგილას იყო გამოქარული. თითქმის მთლიანად იყო დაშლილი სამრეკლო. შელესილი და შეთეთრებული იყო, როგორც ეკლესიის ფასადი, ასევე ინტერიერიც.

შესრულებული სამუშაოს შედეგად:

- სახურავი გაიწმინდა ხე-მცენარეების, დაშლილი დუღაბისა და შემორჩენილი კრამიტის ნატეხებისაგან;
- ოთხივე ფასადზე გამოქარული ადგილები შეივსო ბათქაშით, ხოლო დაშლილი და ამოვარდნილი აგურების ადგილები განაზღაურდა;
- ფასადებზე და საკურთხევის კონქზე არსებული ბზარები დაინექტირდა ხსნარით;
- რესტავრაცია ჩაუტარდა სარკმლების შეისრული ფორმის რელიეფურ თავსართებს;
- აღდგა დამიანებული კარნიზები;
- მოეწყო სახურავი, ღარიანი კრამიტით;
- აღდგა ეკლესიის სამრეკლო;
- ინტერიერის იატაკზე დაიგო აგური;
- დამონტაჟდა ორი ახალი ხის კარი დასავლეთის და ჩრდილოეთის ფასადებზე;
- ეკლესიის მთელს პერიმეტრზე დაიგო რიყის ქვის სარინელი.

დღესდღეობით, ბახტრიონის ეკლესია სრულადაა რეაბილიტირებული და მასში შესაძლებელია წირვა-ლოცვის ჩატარება.



ბახტრიონის ეკლესია სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე | Bakhtrioni Church Prior to the Restoration

BAKHTRIONI CHURCH, XIX C.

Contractor: “Students Expeditionary Movement”

The “Khorbalo” church located on the left bank of Alazani River; left of Akhmeta-Alvani road has got another name as well - the Bakhtrioni church. This single naïve monument is built of the stonework and brickwork combination. A small and narrow square-shape bell tower with arched openings at all sides is arranged on top of the western pediment.

Although the church survived, it had suffers several damages. For instance, cracks with one end at the sanctuary window were approaching the vaults with another. Southern and western walls were creaked as well. The façade bricks were looses in lots of places. The ball-tower was almost entirely destroyed. Both the church facades and interior were whitewashed.

As a result of works carried out:

- The roof was cleaned off vegetation, weathered and loosen lime mortar and tile shreds;
- All areas with weathered lime mortar and places with missing bricks were filled up respectively;
- Façade and sanctuary conch cracks were injected with special consolidating solution;
- The window heads with arrow-shape risings were restored;
- All damaged cornices were restored;
- Grooved tile roof was arranged;
- Bell-tower was restored;
- The church interior floor was finished with brick;
- Two new doors were arranged at western and northern façade entrance openings;
- A water divert channel faced with cobblestone was arranged all around the church.

Currently the Bakhtrioni church is being fully rehabilitated and totally safe to be used for public services.



რესტავრაციის პროცესი | The Restoration in Progress



რესტავრაციის ბოლო ეტაპი | The Final Stage of Restoration



ინტერიერი რესტავრაციამდე
Interior Prior to the Restoration



აღდგენილი სარინელი | Restored Storm-Water Divert Channel



რესტავრირებულ ეკლესიაში შესაძლებელია წირვა-ლოცვის ჩატარება | The Restored Church is Ready for Public Services




Zegl Ta reabil itaci a REHABILITATION OF THE MONUMENTS	
	
<p>საქსურეთი. მუცოს კომპლექსი. X-XVIII სს.</p>	<p>MUTSO COMPLEX OF X-XVIII CC., KHEVSURETI</p>
<p>შემსრულებელი: შპს “არსი”</p>	<p>Contractor: “Arsi” Ltd.</p>
<p>პირიქითა ხევსურეთში მუცო-არდოტის ხეობაში, მდინარე ანდაქისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1880 მეტრზე გაშენებულია მიკრო-ურბანული ნასახლარი მუცო (იგივე მუცუ).</p>	<p>The abandoned village of Mutso, located on the territory of Pirikita (Northern) Khevsureti, in Ardoti gorge, on the right bank of Andakistskali river represents the micro-urban residential area and stronghold constructed at the altitude of 1880 m. above the sea level.</p>
<p>მუცოს კომპლექსი კავკასიის მაღალმთიან დასახლებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მიუვალი სიმაგრეა. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მუცო აკონტროლებდა კავკასიის ქვეყნების დამაკავშირებელ გზას და იცავდა საქართველოს საზღვარს.</p>	<p>This complex is one of the most inaccessible of all residential areas of Caucasus highlands. Planned as a invincible stronghold Mutso complex had successfully been controlling all important communication and trade roads connecting different provinces of Caucasus and protecting northern border of Georgian Kingdom during its long and heroic history.</p>
<p>სიბი ქვის, მშრალი წყობით ნაგებ ტერასულად განვითარებულ განაშენიანებაში, ძლიერი წგრევის მიუხედავად, ჯერ კიდევაა შემორჩენილი ურბანული, კონსტრუქციული და საფორტიფიკაციო ელემენტები: ვიწრო ქუჩათა ქსელი, მცირე მოედნები, სართულშუა გადახურვების და ბანების დონეები, ქვის კიბეები, სათავდაცვო დანიშნულების სხვადასხვა დეტალები – სალოდეები და სათოფურები. დღემდე მოღწეული ნაგებობები შესაძლებელია სავარაუდოდ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღდეს (X-XVIII სს.).</p>	<p>Despite heavy damages suffered by the entire complex of dray masonry of local rocks, terraces of the developed area arranged on the mountain slopes have relatively well-preserved all basic urban, structural and fortification elements that are as follows: the net of narrow streets, small squares, inter-store levels and flat-roofs, stone stairs, different details of fortification and defensive structures - embrasures and shot holes. Buildings survived up to our days are apparently of developed and late middle ages (X-XVIII cc). Preliminary research of Mutso dwelling and fortified constructions, towers and tomb burials for the purposes of their future conservation was launched in 1989 but has not been finished. The pre-planned and scheduled rehabilitation of Mutso unique complex was renewed in 2004, when TBC Bank and “Arsi” Company unified their assets and capacities within the framework of the Project “Kartuli Sakhli” to fulfill the goal. An expedition</p>
<p>მუცოს ციხე-სახლების, კოშკების და აკლდამა-სამაროვნების წინასწარი სარესტავრაციო გამოკვლევა პირველად 1989 წელს დაიწყო, მაგრამ არ დასრულებულა. 2004 წელს თიბისი ბანკმა და კომპანია “არსი” (პროექტის “ქართული სახლი” ფარგლებში) დაიწყო მუცოს უნიკალური კომპლექსის რეაბილიტაცია. მოენყო მუშა ექსპედიცია, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სხვადასხვა სახის კვლევითი სამუშაოები.</p>	<p>2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით მომზადდა მუცოს კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი. ექსპედიციის შედეგად, აიზომა ნაგებობები, გამოისაზა გეგმები, შესრულდა სახელოვნებათმცოდნეო და ეკოლოგიური კვლევა, შეფასდა და აღინერა ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობა, შესრულდა ტოპოგეგმა, შეივსო სააღრიცხვო ბარათები, გადაღებულ იქნა მაღალი რეზოლუციის მქონე ფოტოები.</p>
<p>გეგმიური სამუშაოების საფუძველზე მომავალში შესაძლებელი იქნება მუცოს კომპლექსის რეაბილიტაცია.</p>	<p>has been organized and different researches were carried out within its scope: layouts and designs of all constructions were drawn, ecological and history of art researches undertaken, technical and physical conditions studied; finally, the whole area was mapped topographically and respective Registration Cards were filled-in and high resolution photos were taken. All aforementioned activities were finalized 2008, when the Mutso Complex Rehabilitation Project funded and coordinated by the Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia was prepared and issued. Rehabilitation of the Complex will be implemented in the foreseeable future.</p>
<p>kul turul i memkvi dreeobis dacvis 2008 wl is saxel mwi fo programa 2008 STATE PROGRAMME FOR CULTURAL HERITAGE PRESERVATION</p>	


Zegl Ta reabil itaci a REHABILITATION OF THE MONUMENTS	
	
<p>საქსურეთი. მუცოს კომპლექსი. X-XVIII სს.</p>	<p>MUTSO COMPLEX OF X-XVIII CC., KHEVSURETI</p>
<p>შემსრულებელი: შპს “არსი”</p>	<p>Contractor: “Arsi” Ltd.</p>
<p>პირიქითა ხევსურეთში მუცო-არდოტის ხეობაში, მდინარე ანდაქისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1880 მეტრზე გაშენებულია მიკრო-ურბანული ნასახლარი მუცო (იგივე მუცუ).</p>	<p>The abandoned village of Mutso, located on the territory of Pirikita (Northern) Khevsureti, in Ardoti gorge, on the right bank of Andakistskali river represents the micro-urban residential area and stronghold constructed at the altitude of 1880 m. above the sea level.</p>
<p>მუცოს კომპლექსი კავკასიის მაღალმთიან დასახლებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მიუვალი სიმაგრეა. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მუცო აკონტროლებდა კავკასიის ქვეყნების დამაკავშირებელ გზას და იცავდა საქართველოს საზღვარს.</p>	<p>This complex is one of the most inaccessible of all residential areas of Caucasus highlands. Planned as a invincible stronghold Mutso complex had successfully been controlling all important communication and trade roads connecting different provinces of Caucasus and protecting northern border of Georgian Kingdom during its long and heroic history.</p>
<p>სიბი ქვის, მშრალი წყობით ნაგებ ტერასულად განვითარებულ განაშენიანებაში, ძლიერი წგრევის მიუხედავად, ჯერ კიდევაა შემორჩენილი ურბანული, კონსტრუქციული და საფორტიფიკაციო ელემენტები: ვიწრო ქუჩათა ქსელი, მცირე მოედნები, სართულშუა გადახურვების და ბანების დონეები, ქვის კიბეები, სათავდაცვო დანიშნულების სხვადასხვა დეტალები – სალოდეები და სათოფურები. დღემდე მოღწეული ნაგებობები შესაძლებელია სავარაუდოდ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღდეს (X-XVIII სს.).</p>	<p>Despite heavy damages suffered by the entire complex of dray masonry of local rocks, terraces of the developed area arranged on the mountain slopes have relatively well-preserved all basic urban, structural and fortification elements that are as follows: the net of narrow streets, small squares, inter-store levels and flat-roofs, stone stairs, different details of fortification and defensive structures - embrasures and shot holes. Buildings survived up to our days are apparently of developed and late middle ages (X-XVIII cc). Preliminary research of Mutso dwelling and fortified constructions, towers and tomb burials for the purposes of their future conservation was launched in 1989 but has not been finished. The pre-planned and scheduled rehabilitation of Mutso unique complex was renewed in 2004, when TBC Bank and “Arsi” Company unified their assets and capacities within the framework of the Project “Kartuli Sakhli” to fulfill the goal. An expedition</p>
<p>მუცოს ციხე-სახლების, კოშკების და აკლდამა-სამაროვნების წინასწარი სარესტავრაციო გამოკვლევა პირველად 1989 წელს დაიწყო, მაგრამ არ დასრულებულა. 2004 წელს თიბისი ბანკმა და კომპანია “არსი” (პროექტის “ქართული სახლი” ფარგლებში) დაიწყო მუცოს უნიკალური კომპლექსის რეაბილიტაცია. მოენყო მუშა ექსპედიცია, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სხვადასხვა სახის კვლევითი სამუშაოები.</p>	<p>2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით მომზადდა მუცოს კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი. ექსპედიციის შედეგად, აიზომა ნაგებობები, გამოისაზა გეგმები, შესრულდა სახელოვნებათმცოდნეო და ეკოლოგიური კვლევა, შეფასდა და აღინერა ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობა, შესრულდა ტოპოგეგმა, შეივსო სააღრიცხვო ბარათები, გადაღებულ იქნა მაღალი რეზოლუციის მქონე ფოტოები.</p>
<p>გეგმიური სამუშაოების საფუძველზე მომავალში შესაძლებელი იქნება მუცოს კომპლექსის რეაბილიტაცია.</p>	<p>has been organized and different researches were carried out within its scope: layouts and designs of all constructions were drawn, ecological and history of art researches undertaken, technical and physical conditions studied; finally, the whole area was mapped topographically and respective Registration Cards were filled-in and high resolution photos were taken. All aforementioned activities were finalized 2008, when the Mutso Complex Rehabilitation Project funded and coordinated by the Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia was prepared and issued. Rehabilitation of the Complex will be implemented in the foreseeable future.</p>
<p>kul turul i memkvi dreeobis dacvis 2008 wl is saxel mwi fo programa 2008 STATE PROGRAMME FOR CULTURAL HERITAGE PRESERVATION</p>	



მუცოს კომპლექსი | Mutso Complex



კოშკი | The Tower



კომპლექსის ელექტრონული ვერსია რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ
Digital Version of the Complex Prior and After the Restoration



კომპლექსის ზედახედი | The Complex from the Above



ანანურის კომპლექსი, XVII-XVIII სს.

შემსრულებელი: ააიპ "წვენი მემკვიდრეობა"

ანანურის კომპლექსი (დუშეთის მუნიციპალიტეტი) გვიანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია. გალავნით შემოსაზღვრულ XVII–XVIII სს. ანსამბლში შედის: შესასვლელი კარბჭე, ღმრთისმშობლის ეკლესია, ღვთაების ეკლესია, ეკლესია "მკურნალი", "ზეესურული" კოშკი, კოშკი "შეუპოვარი", წყალსაცავი და საკანი. თბილისიდან 60 კმ-ში მდებარე კომპლექსი არაგვის ერისთავთა რეზიდენციას, მათ მთავარ სალოცავსა და საძვალეს წარმოადგენდა.

1960–1968 წლებში ანანურის კომპლექსზე სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარა სპეციალურმა სარესტავრაციო სახელოსნომ. ამ პერიოდში აღდგა ნაგებობათა დაზიანებული მონაკვეთები, გამაგრდა გალავნისა და კოშკის დაზარალებული ნაწილები, გაიწმინდა და კეთილმოეწყო ტერიტორია. ოთხი ათეული წლის შემდეგ ანსამბლში შემავალი ნაგებობები კვლავ საჭიროებენ სარეაბილიტაციო სამუშაოებს რისთვისაც, პირველ ყოვლისა, აუცილებელია სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის შექმნა.

ანანურის კომპლექსის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტის მომზადების პროცესში შესრულდა:

- ანანურის კომპლექსში და მის გარეთ მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ანაზოშობი;
- კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი;
- ანანურის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების საპროექტო წინადადება;
- დასკვნები და რეკომენდაციები (სახელოვნებათმცოდნეო, არქეოლოგიური, გეოლოგიური, კონსტრუქციული, ფოტომასალა).

ანანურის კომპლექსის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტი კომპლექსის რეაბილიტაციის საფუძველია.



ღმრთისმშობლის ტაძარი, სამხრ. ფასადი | Mother of God Church, A Detail of the Southern Façade



ANANURI COMPLEX, XVII-XVIII CC.

Contractor: Noncommercial Legal Entity "Our Heritage"

Ananuri complex (Dusheti Municipality) is the most important monument of the late medieval Georgian architecture. The ensemble built in XVII-XVIII cc is entirely enveloped by the masonry defensive wall and comprises the entrance porch, Mother of God church, the Gvtaeba (Deity) church, the "Mkurnali" (Healing) church, Khevsuruli (Khevsuretian) Tower; the "Sheupovari" (Fearless) Tower; a water reservoir; and a dungeon. This monument located in a distance of 60 km from Tbilisi had been the residence of the noble house of Eristavs of Aragvi, with their prayer houses and ossuary arranged therein.

A special restoration workshop was carrying out restoration works on Ananuri ensemble in 1960–1968, when all damaged sections of defense wall and towers were restored and consolidated, the entire territory of the monument was cleaned and tided up. Roughly four decades have elapsed since the implementation of those activities and currently the monument needs another round of refurbishment. Their implementation necessarily should be based on the comprehensive project documentation that is to be created in the foreseeable future.


Several activities were carried out in scope of Ananuri complex restoration and rehabilitation project preparation. Activities are as follows:

- Measurement and drawing of layouts of cultural heritage monuments of Ananuri complex and of other monuments located outside its perimeter;
- Preparation of the Complex rehabilitation project;
- Project proposal for the development of Ananuri Complex surroundings;
- Conclusions and recommendations (history of art, archaeological, geological, constructional, photos).

Ananuri complex restoration-rehabilitation project is the bases for its full-scale rehabilitation.



ანანურის კომპლექსი | Ananuri Complex




თუშეთი, სოფალი დარტლო

შემსრულებელი: შპს “არქიტექსი”

პირიქითა თუშეთში, კავკასიონის კალთებზე მდებარე სოფელი დართლო ლანდშაფტისა და არქიტექტურის ერთიანობის უნიკალურ მაგალითს წარმოადგენს. მაღალმთიანი სოფელი ტრადიციული წეს-ჩვეულებებით გამორჩეულია. 2007 წელს საქართველოს მთავრობის 2007 წლის 12 სექტემბრის № 484 განკარგულებით, ერთ პირთან მოლაპარაკებით განხორციელდა თუშეთის სოფლების დართლოს, კვავლოსა და ზემო ომალის კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების პირველი ეტაპი. სამუშაოების მეორე, მთავარი ეტაპი 2008 წელსაც გაგრძელდა.

რესტავრაცია-რეაბილიტაციის ფიზიკური სამუშაოების დაწყებისთვის აუცილებელი საპროექტო სამუშაოების ეს ეტაპი გულისხმობს თითოეული დასახლებისა და მასში მდებარე შენობა-ნაგებობის რესტავრაციის მუშა პროექტის შედგენას.

პროექტის შედეგად, შესწავლილ იქნა დართლოს განაშენიანების განვითარების ისტორია, შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა, ჩატარდა სახელოვნებათმცოდნეო აღწერა და გაკეთდა არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზოები, ყველა ძეგლზე შეივსო სააღრიცხვო ბარათი. აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით შემუშავდა პროექტები შესაბამისი რეკონსტრუქციებით თუშეთის სოფ. დართლოს ძეგლების აღდგენა-ადაპტაციის (38 ობიექტი), კონსერვაციის (6 ობიექტი), რეკონსტრუქციის (22 ობიექტი), რესტავრაციის (7 ობიექტი) და ცალკეულ შემთხვევებში არათავსებადი (მეტწილად 90-იანი წლების შენობების) დემონტაჟის შესახებ. ამასთან ერთად, შედგა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგების საინჟინრო ქსელების მონტაჟის პროექტებიც.




TUSHETI, DARTLO VILLAGE

Contractor: “Architexi” Ltd.


The village of Dartlo, located in Pirikita Tusheti, on steep slopes of Grate Caucasus Range is the unique place for the extraordinary matching of manmade architecture and natural landscape. This highland village is distinguished for the preserved traditional customs, habits and stile of life in general. In accordance with provisions of September, 12, 2007 Decree No. 484 of the Government of Georgia, through the negotiation with the single source, the first stage of creation of cultural heritage rehabilitation project for the villages Dartlo, Kvavlo, and Zemo Omalo of Tusheti has been carried out. The basic, second stage of those activities was continued in 2008. This stage of the project documentation preparation, necessary for actual implementation of restoration-rehabilitation activities, envisages preparation of restoration project drafts for each building and construction preserved in the aforementioned villages.

Preparation of the project have made possible study of the whole history of development of Dartlo village, coupled with checking of technical conditions of the existing constructions, their research from the history of art point of view, making of their archaeological and architectural drawings and creation of the respective inventory cards for each of them. The obtained material has been used in the process of preparation of different projects in respect of Dartlo constructions. Those projects were as follows: restoration-adaptation projects for 38 monuments, conservation projects for 6 monuments, reconstruction projects for 22 monuments, restoration projects for 7 monuments and demolition projects for several incompatible constructions erected basically in 90-ies of the last century. In parallel to those projects tourist infrastructure development, potable water supply, power supply and engineering net construction projects were elaborated.


სამხრეთის ფასადი



აღმოსავლეთის ფასადი








დასავლეთის ფასადი



გვერდი

სარტული





თუშეთი, სოფ. დართლო, კომკი, არსებული მდგომარეობით
Tusheti, Dartlo Village, A Tower; Current Condition



რეაბილიტაციის კომპიუტერული ვერსია
Digital Version of the Rehabilitation



თუშეთი, სოფ. დართლო, არსებული მდგომარეობით
Tusheti, Dartlo Village, Current Condition



რეაბილიტაციის კომპიუტერული ვერსია | Digital Version of the Rehabilitation



თუშეთი, სოფ. დართლო, არსებული მდგომარეობით | Tusheti, Dartlo Village, Current Condition



რეაბილიტაციის კომპიუტერული ვერსია | Digital Version of the Rehabilitation

დაბა მესტიის კოშკები, პიანი შუა საუკუნეები

შემსრულებელი: ააიპ “ჩვენი მემკვიდრეობა”

სვანური კოშკები, რომლებიც შუა საუკუნეებში საცხოვრებელ-სათავდაცვო ფუნქციის მატარებელი იყვნენ, დიდწილად განსაზღვრავენ საქართველოს ამ მთიანი რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურობას. დღესდღეობით უფუნქციოდ დარჩენილი ნაგებობები დაზიანებულია – ბევრ მათგანს ჩანგრეული აქვს სართულშუა გადახურვა, აღსადგენია კიბეები და ქონგურები, დაზიანებული გადახურვის გამო ინტერიერში ჩადინება ატმოსფერული ნალექები, შესაბამისად, მოსაწყობია გადახურვა ტრადიციული მასალითა და ტექნოლოგიით. კოშკების შენარჩუნება-ადაპტაციისათვის საჭიროა მათი რეაბილიტაცია, რაც, თავის მხრივ, შესაბამის საპროექტო დოკუმენტაციას უნდა დაეფუძნოს.

2006 წლიდან საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის მიერ განხორციელდა ცალკეული კოშკების სარეაბილიტაციო სამუშაოები. “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში კი დაბა მესტიის, ლესთავის, სეტის და ლანჩვალის მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, არსებული ათი კოშკისათვის მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია. ესენია:

- ვარდანიძეთა საგუშაგი კოშკი;
- ჯიმშერ ხერგიანის კოშკი;
- ნარგიზა ხერგიანის კოშკი;
- ზურაბ ჩართოლანის კოშკი;
- ზაურ ჩართოლანის კოშკი;
- ალიოშა ჯაფარიძის კოშკი;
- რობინზონ ჯაფარიძის კოშკი;
- ელიზბარ მუშკუდიანის კოშკი;
- აბესალომ (აბო) დევდარიანის კოშკი;
- სონია რატიანის კოშკი.

გემოჩამოთვლილი კოშკები, როგორც წესი, არ დგანან განცალკევებით (გარდა მესტიაში განლაგებული ვარდანიძეთა საგუშაგო კოშკისა) ისინი ჩართული არიან მცირე თუ შედარებით რთულ კომპლექსში, რომელიც შედგება სვანური საცხოვრებლის – მაჩუბისგან და სხვა დამხმარე ნეგებობებისგან. კოშკების დიდი ნაწილი გვიან შუა საუკუნეებს ეკუთვნის.

პროექტირების ფარგლებში, ნაგებობათა საძირკვლების მდგომარეობის დადგენისათვის, მექანიკური საშუალებების გამოუყენებლად, ხელით იქნა გაყვანილი შურფები. ჩატარდა, აგრეთვე, არქეოლოგიურ-დამკვირვებითი სამუშაოები და ნაგებობების კონსტრუქციული შემოწმება. აიზომა ათივე კოშკი. მომზადდა, სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის სავალდებულო საპროექტო დოკუმენტაცია.

LATE-MEDIEVAL TOWERS OF MESTIA

Contractor: Noncommercial Legal Entity “Our Heritage”

The medieval towers of Svaneti initially intended as residential-defensive structures are the main determiners of peculiarity and uniqueness of cultural heritage of this highland region of Georgia. Currently these constructions have basically lost their original functions that have served to their present-day damages and bad repair. The roofing system is missing in several of the towers, stairs are demolished together with the battlements, but the damaged or missing roofs that no longer can prevent penetration of atmospheric precipitations are the most threatening of circumstances – so that roofs are to be restored most urgently using traditional material and technology. For provision of comprehensive and long-term preservation and adaptability the towers must be rehabilitated on the bases of respective project documentation.

Rehabilitation activities funded by Georgian Historical Monuments Protection and Rescue Foundation since 2006 have been applied to some of the towers. Within the scope of 2008 State Program for Cultural Heritage Protection project documentation for 10 towers located in Lekhtagi, Seti and Lanchvali densely populated neighborhoods of Mestia were prepared for their further rehabilitation. The towers are as follows:

- Watching tower of the Vardanisdzes;
- Jimsher Khergiani's tower;
- Nargiza Khergiani's tower;
- Zurab Chartolani's tower;
- Zaur Chartolani's tower;
- Aliosha Japaridze's tower;
- Robinson Japaridze's tower;
- Elizbar Mushkudiani's tower;
- Abessalom (Abo) Devdariani's tower;
- Sonia Ratiati's tower.

All the listed above towers except the Vardanisdzes' watching tower are not separate constructions; on the contrary, all of them are integral parts of medium in size or larger groups of buildings, unity of which constitutes Svanetian dwelling complex grouped around its central construction – the Machubi, the main residential apartment of the complex. Most of the towers are of late middle times.


Within the scope of the project documentation preparation for the purposes of checking the tower basements several exploratory trenches were dug out by hand, using no mechanical means. Buildings were studied from the constructional point and the plots were inspected archaeologically. Field sketches were drawn for all ten towers. Finally, all necessary documentation for provision of the rehabilitation activities was prepared.



დაბა მესტია | Daba Mestia



დაბა მესტიის კოშკები | Daba Mestia, The Towers



მესტია, მარგინაშვილ საგვარეულო კომპლექსი, XII-XIV სს.

შემსრულებელი: შპს “თაურს +”

მესტიაში, ლანჩვალის უბანში, მთის სამხრეთ ფერდობზე, მარგინაშვილ საგვარეულო კომპლექსი (XII-XIV სს) მდებარეობს. კომპლექსი, რომელიც სამსართულიანი საცხოვრებელი შენობის, ახალშენის (სვანირი), ორსართულიანი შენობისა და სამაფხულო სადგომისაგან (გუბანდი) შედგება, სვანეთის ტრადიციული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. მას ისტორიულ-ეთნოგრაფიული და დიდი მხატვრული ღირებულება აქვს.

კომპლექსზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ათეული წლების განმავლობაში არ ჩატარებულა. შენობა-ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობა კი თანდათანობით უარესდებოდა. კერძოდ, სამსართულიანი საცხოვრებელ შენობას მთელს სიმაღლეზე გაუჩნდა ბზარები, ამორტიზირებული გახდა სამხრეთ კედელზე მონყობილი აივნები, ჩაიქცა კომპლექსის სამაფხულო სადგომის – გუბანდის სართულშუა გადახურვა და თავად სახურავიც. დროთა განმავლობაში დაინგრა ნაგებობის მზიდი კედლების დიდი ნაწილიც.

2008 წელის ზაფხულში კომპლექსზე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა:

- დაიშალა გუბანდის კედლების დაზიანებული ნაწილები, კედლის სიღრმეში მოეწყო რკინა-ბეტონის შემკვრელები და ძეგლის მიხედვით აიგო ახალი კედლები;
- მთელს კომპლექსზე დაიგო ყავარის ახალი სახურავი;
- დაიშალა და ხელახლა მოეწყო ხის აივნები;
- ნაგებობებზე არსებული ბზარები შეივსო კირის დუღაბით;
- იატაკებზე გამოიყვალა ფიცარფენილები;
- ეზოს სავალი ბილიკები მოიკირწყლა ადგილობრივი ფილაქვით;
- მოეწყო ეზოს ღალაყდის კარი და ლოზე სამხრეთის ბაქანის მთელს პერიმეტრზე;
- მოწესრიგდა კომპლექსთან მისასვლელი გზა.

შედეგად, დღესდღეობით მარგინაშვილ საგვარეულო კომპლექსი რეაბილიტირებულია. იგი ტურისტული მარშრუტის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა გახდა.



კომპლექსი რესტავრაციამდე | The Complex Prior to Restoration

THE MARGIANIS FAMILY COMPLEX IN MESTIA, XII-XIV CC.

Contractor: “Towers +” Ltd

The Margianis family complex of XII-XIV cc is located on southern slope of the hill, in Lanchvali Neighborhood, Mestia. This complex, comprising of three-storied residential building, traditional construction called “Akhalsheeni” – “Svaniri”, another two-storied building and summer quarter called “Gubandi” is one of the most outstanding samples of traditional architecture of Svaneti and is highly valuable for its particular historical-ethnographical and artistic features. Several decades elapsed since the latest rehabilitation activities had applied on the complex in question. Time has caused gradual deterioration of its conditions. For instance, cracks appeared all along the whole height of the tree-storied building, balconies extended from its southern facade turned unsafe and dangerous, both the roof and the second level flooring of the summer quarter – “Gubandi” collapsed and almost all load bearing walls of this construction suffered heavy destructions.

Rehabilitation activities were applied at the complex in 2008, when:

- All damaged layers and sections of the “Gubandi” were removed, strengthening armored concrete stabilizers were in depth of masonry layers and alike and compatible new walls were re-erected;
- All buildings were covered with new shingle roofs;
- Wooden balconies were deconstructed and there new duplicates were arranged instead;
- All cracks were filled-up with lime mortar;
- New planks were arranged over the blind floors;
- All paths within the yard were paved with local rock slates;
- The yard main gates were arranged coupled with the new fence along the whole length of the southern platform;
- The complex access road was upgraded.

As a result of the listed above activities the Margianis family complex had rehabilitated in full and it became one of the most interesting sightseeing of the tourist rout.



დაზიანებული კომპლექსი | The Damaged Complex



ყავარის ახალი სახურავი | New Shingle Roof



კედლის სიღრმეში მოეწყო რკინა-ბეტონის შემკვრელები
Armored Concrete Stabilizers Arranged in the Load Bearing Wall Deep Layers



აივნის რესტავრაციის პროცესი | Restoration of the Balconies is in progress



განახლებული კომპლექსი | The Restored Complex



ალავერდის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია

შემსრულებელი: საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხე-ლოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი

VI საუკუნეში იოსებ ალავერდელის მიერ დაარსებული სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი – ალავერდის კათედრალი (ახმეტის მუნიციპალიტეტი) XI ს-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. ტაძარი არაერთგზის დაზიანდა მიწისძვრის შედეგად. პირველად აღადგინეს XV საუკუნეში, ალექსანდრე კახთა მეფის დროს. მეორედ, 1742 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ტაძრის რესტავრაცია 1750 წელს დაიწყო და ერეკლე II მეფობის ეპოქაში დასრულდა. სწორედ ამ პერიოდში აღუდგენიათ ტაძრის მთავარი ნაწილი კამარა, ჩრდილოეთ ქორეები და დაქცეული მიწაშენის ადგილას ახალი პორტიკი.

დღესდღეობით ტაძარი დაზიანებულია. წლების განმავლობაში ეკლესიის ფასადი შელესილი იყო ქვიშა-ცემენტის ხსნარით. XX ს. 90-იან წლებში მოხსნილი შელესილობის ქვეშ შირიმის ქვის მნიშვნელოვანი დაზიანება გამოვლინდა. ზოგიერთ ადგილას ლილვების მხოლოდ კვალიღა დარჩენილი. არის ცალკეული ადგილები, სადაც მთლიანადაა ამოვარდნილი კვადრები. დაზიანებულია გუმბათში არსებული სარკმლის ლიობებიც, დასავლეთ და სამხრეთ ფასადებზე და ნაწილობრივ ინტერიერშიც აღინიშნება მნიშვნელოვანი ბზარები. სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე, პირველყოვლისა, დაიგეგმა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

მიმდინარე წელს, ალავერდის ტაძრის სარეაბილიტაციო პროექტის შზადების პარალელურად, მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოებიც. გათხრების შედეგად, ტაძრის პორტიკის ორსავე ნაწილში მოიხსნა XVIII საუკუნეში აშენებული იატაკის ფენა, რის შედეგადაც გამოვლინდა ალავერდის ტაძრის ავთენტური (XI ს.), შირიმის სუფთად ნათალი მსხვილი ბლოკებით შედგენილი, ცოკოლი, ტაძრის ცოკოლზე დამყარებული პილასტრთა ბაზებით. პორტიკის იტაკის დონის დაწვევამ საგრძნობლად დაამშვენა ინტერიერის სივრცე.



ალავერდის სამონასტრო კომპლექსი | Alaverdi Monastery

ALAVERDI ST. GEORGE CHURCH

Contractor: Centre for Architecture, Art and Restoration of the Patriarchate of Georgia

Alaverdi Cathedral (Akhmeta Municipality) – the main construction of the monastery complex founded by the outstanding clerical Joseph Alaverdeli in VI c AD is one of the most important monuments of XI-century Georgian architecture. The church had been numerous affected by earthquakes. First attempt of the reconstruction of heavily damaged church was undertaken in XV c in times of King Alexandre of Kakhetia. For the purpose of remediation of affects of earthquake of 1742 the second turn of rehabilitation was begun in 1750 The restoration activities were completed in times of King Erekle II. The church main nave vault, northern choirs and new gallery instead of the ruined attachment were restored during those activities.

Currently the temple suffers numerous damages. For years the church façade had been covered with sand and cement plaster. After its removal in 90s of the XX c gallstone considerable damages were revealed.

Only tiny traces of once arranged rods, as the decoration elements are still noticeable in some places. There are whole sections with missing stone blocks. Dome barrel window openings are damaged as well and several dangerous cracks are noticeable on western and southern facades and in the interior. Before commencement of the rehabilitation activities a plan has been elaborated for the preparation of Project Documentation.

In parallel to the process of elaboration of the Church Rehabilitation Project archaeological activities were also implemented during the year accountable. As a result of excavations the elevated floor arranged in XVIII c. has been removed in both sections of the temple gallery and the original (XI c.) basement made of neatly hewn huge gallstone blocks was unearthed together with the pilaster bases rested of the basement. Lowering of the floor level of the gallery has gained attractiveness to the whole of the church interior.



არქეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობის | Archaeological Excavations



ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, VIII-IX სს.

შემსრულებელი: შპს “ძველი გალავანი”

ვაჩნაძიანის ყველაწმინდის ტაძარი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით და ისტორიული მნიშვნელობით ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. კუბულჰალეს ტიპის ტაძარი VIII-IX საუკუნეებში, კახეთის ძველი სამეფოს არსებობის პერიოდშია აგებული, მასზე მოგვიანო ხანის – XV ს. გადაკეთების კვალიც შეიმჩნევა.

დღესდღეობით უკვე ნანგრევებად ქცეული გალავნის შიგნით, გუმბათიანი ეკლესიის გარდა, სამეკლესიანი ბაზილიკა, სატრაპეზო და სამონასტრო ნაგებობათა არაერთი ნანგრევია შემორჩენილი. ტაძრის აღდგენა-შეკეთება 1980-იან წლებში დაიწყო, მაგრამ ნაწილობრივ განხორციელდა და მალევე შეწყდა.

განსაკუთებით მიიზე მდგომარეობაშია გუმბათიანი ტაძრის სახურავი. ეკლესიის კედლები დაზარალულია და არაერთი კონსტრუქციული დაზიანებებიც აქვს. 2006 წელს სამინისტროს დაფინანსებით ტაძრის გარშემო ტერიტორია გაუვალეი მცენარეული საფარისაგან გაიწმინდა.

2008 წელს კი სარეაბილიტაციო პროექტის მომზადების მიზნით ძეგლზე განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- მომზადდა ტაძრის და მისი მიმდებარე ტერიტორიის უახლესი ტოპოგემა;
- მოხდა ძეგლის დეტალური ფოტოფიქსაცია (საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები);
- გაკეთდა ტაძრის სრული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზოში ლოკალურ დაზიანებათა დატანით (კროკები, მასშტაბში გამოხაზული ნახაზები);
- ხარაჩოს გამოყენებით აიზომა ტაძრის მიუწვდომელი ნაწილები;
- განხორციელდა ტაძრის მიწისზედა და მიწისქვეშა მშენი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და კვლევა (ლაბორატორიული კვლევები და ანალიზები, მიკრო და მაკრო ბზარების ფიქსაცია და გეომეტრიის შესწავლა, ბზარების გახსნის სიგრძის, სიგანის, სიღრმისა და სიცარიელების შესწავლა);
- ჩატარდა სამშენებლო მასალების კვლევა, ლაბორატორიული ანალიზები (რეკომენდაციები სამუშაოების გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ);
- გეოლოგიური შურფების გათხრის დროს მიმდინარეობდა არქეოლოგიური შედამხედველობა და შედგა შესაბამისი არქეოლოგიური დასკვნა;
- ჩატარდა წინასწარი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა;
- შედგა ვაჩნაძიანის ყველაწმინდის გუმბათიანი ტაძრის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი.

ამჟამად, უკვე არსებობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფ. ვაჩნაძიანის ყველაწმინდას ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი, რაც მისი თავდაპირველი სახით აღდგენის საფუძველი გახდება.

VACHNADZIANI KVELATSMINDA CHURCH, VIII-IX CC.

Contractor: “Dzveli Galavani” Ltd.


Kvelatsminda temple located in the village of Vachnadziani is one of the outstanding monuments of Georgian cult architecture with significant artistic, architectural and historic values. The cupelhalle-type construction of the turn of VIII-IX cc. AD with some footprints of later, XV-century reconstruction, was erected in the period when the old Kakhetian Kingdome had still been in existence.

The complex, once surrounded by a stone wall currently presented only by some fragments, contains the domed church that is its main construction, coupled with a three-nave basilica, a refectory and several other ruins of monastery constructions. Some primary rehabilitation activities partially applied to the monument as early as in 1980-ies were interrupted shortly after their beginning. The roof of the domed church is in the worst state. Besides, this construction suffers the cracked walls and several other constructional damages. In 2006 the Ministry allocated targeted sums and the whole territory of the monument was cleaned off the dense vegetation.

For the purposes of preparation of the monument rehabilitation project, activities carried out in 2008 were as follows:

- The latest topographical map of the temple and the surroundings was prepared;
- Detailed photos of the monument were taken (background and close shots of façades and interior; inclusive all elements valuable from architectural and artistic point of view);
- The detailed architectural-archaeological layout of the entire temple was drawn and all damages were entered (field sketches, drawings of particular scales);
- Layouts of all hard – to-reach sections of the temple were drawn using scaffolds;
- All aboveground and underground load bearing structures of the temple were studied and checked technically (lab analyses, registration of all existing minor and major cracks with precise indication of their length, width, depth coupled with the same parameters of all formed cavities and voids);
- Study of construction material (recommendations on compatibility of selected new and initial construction material based on the results of laboratory analyses);
- Requirements on archaeological supervision of the territory were observed while drilling the trail pits and the respective archeological evaluation has been issued;
- Preliminary history of art study was conducted;
- The Registration Card of the Immoveable Monument of Cultural Heritage for the domed temple of Vachnagziani Kvelatsminda has been filled-in.

Currently the rehabilitation project of Kvelatsminda temple located in Vachnadziani village of Gurjaani Municipality has been prepared that will be used as bases for its reconstruction to the initial state.



სარეაბილიტაციო პროექტის მომზადების დროს | The Church Prior to Commencement of Rehabilitation Activities

ვაჩნაძიანის ყველაწმინდა


ქრტილი დასავლეთით შ. 1:100

Vachnadziani Kvelatsminda
Western Cross-Section, Scale



კრტიბჟე შ. 1:100


დასავლეთი ფასადი




აღმოსავლეთი ფასადი




ქრტილი სამხრეთით



ქრტილი ჩრდილოეთით



გეგმა



ძველი შუამთა, V-VII სს.

შემსრულებელი: საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი

თელავიდან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, ტყეში მდებარე ძველი შუამთის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2007 წელს დაიწყო. იმ პერიოდში შეიცვალა ჯვრის ტიპის ტაძრისა და მცირე გუმბათიანი ტაძრის გადახურვა, ბაზილიკის ინტერიერში კი აიყარა უხარისხო რესტავრაციის შედეგად დაგებული იატაკი და დაიგო ახალი.

2008 წელს მოხსნა ბაზილიკის დაზიანებული სახურავი, რომლის შედეგადაც გამოჩნდა ავარიული კარნიზი. ქართული აგურით ნაშენი კარნიზი ცემენტზე ყოფილა დალაგებული. დროთა განმავლობაში ცემენტი გამოიქარა და წყობა მოირყა. ძეგლის იერ-სახის შენარჩუნებისათვის გადაწყდა, რომ გვიანი რესტავრაციის შედეგი – აგურის კარნიზი შეცვლილიყო შირიმით ზოგან შემორჩენილი თანადროული კარნიზის მიხედვით.

პრობლემატური იყო სამივე ტაძრის იატაკის საკითხიც. მრავალჯერადი რესტავრაციისა თუ შეკეთების შედეგად იატაკები სხვადასხვა დონეზე მდებარეობდა. ჩატარებული სამუშაოს შედეგად ყველა იატაკი დაყვანილი იქნა პირვანდელ დონეზე და მოპირკეთდა ქართული აგურით.

სამივე ტაძრის ფასადებზე არსებული ბზარები შეივსო ინექტირების მეთოდით.

დღეისათვის ძველი შუამთის სამონასტრო კომპლექსი სრულადაა რეაბილიტირებული. შესაბამისად, სამივე მათგანში უკვე შესაძლებელია წირვა-ლოცვის ჩატარება.



კომპლექსის ყველა ნაგებობაზე კრამიტის ახალი სახურავი დავიო | New Tile Roofs were Arranged on Each of the Complex Buildings

DZVELI (OLD) SHUAMTA, V-VII CC.

Contractor: Centre for Architecture, Art and Restoration of the Patriarchate of Georgia

Rehabilitation activities of Old Shuamta monastery located in the wooded area in a distance of some 5 km from Telavi begun in 2007. Roofs of Mtskheta Holly Cross -type and the minor domed churches were renewed that year; besides the floor laid in the basilica interior during the previous inadequate restoration was removed and new one was arranged instead.

As for the year accountable, after the removal of old roofing system of the basilica damages of the building's cornice were revealed. This architectural element constructed of so called "Georgian brick" had been laid directly on the cement layer weathered out in the course of time causing loosening of the whole brickwork. Having the purpose of preservation of the basilica's original features it was decided to change the brickwork cornice- footprint of a late-time restoration- with the gallstone one – as was the initial cornice, several small remains of which can still be seen there. Floors of all the three churches were rather problematic as well. Numerous rounds of restorations and refurbishment-reconstructions created the situation when the floor levels were arranged at different altitudes. This time all floors were leveled, graded and faced with Georgian brick facing.

All cracks revealed on the church bodies were filled up with special solution injected into the cavities.

Currently the old Shuamta Monastery is entirely rehabilitated, so that all of them can be used for public services.



ბაზილიკაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები | The Rehabilitation Activities in Progress



რეაბილიტირებული კომპლექსი | The Rehabilitated Complex

ძველი გავაზი, VI ს.

შემსრულებელი: ი/მ ვ. ლომოური

ყვარლის რაიონში, სოფ. ახალსოფელში, რიყის ქვით ნაგები VI საუკუნის „ძველი გავაზის“ ღმრთისმშობლის სახელობის მცირე ეკლესია დგას. ეკლესიის გვემარება მარტივია – ოთხი ნალისებრი აფსიდი და მათ შუერლივზე დაყრდნობილი გუმბათი. სტილისტურ-ეკოლუკიური თვალსაზრისით ძველი გავაზის ეკლესია ერთ-ერთი საეტაპო ძეგლია. სწორედ, მან მისცა ბიძგი, გუმბათიანი ტაძრების შემდგომ განვითარება-ჩამოყალიბებას.

ეკლესიას დაზიანებული ჰქონდა გადახურვა. ჩადინებული ატმოსფერული ნალექები კი ანესტიანება ინტერიერს.

შესრულებული მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისას:

- მოლოანად მოისინა კრამიტის სახურავი და მის ქვეშ არსებული ცემენტის ხსნარის ფენა;
- გადმოიგავა და წყლით გადმოირეცხა სახურავის ქანობები;
- სახურავზე დაიგო ლარინი კრამიტი.

შედეგად, ეკლესია დაცულია ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან.

DZVELI (OLD) GAVAZI, VI C.

Contractor: Individual Entrepreneur V. Lomouri

Dzveli Gavazi minor church of the Virgin of VI c AD built of cobblestone stands in the middle of Akhalsopeli village, Kvareli District. The church layout is rather simple – four horse-shoe shape apses and the dome rested upon their bulges. Despite its simplicity the Dzveli Gavazi church is one of the landmark monuments from stylistic and evolutionary point. This was the starting point of further development and formation of the domed church architecture.

The roof of this construction was damaged to the extent unable to save the interior against dampening because of penetration of precipitations.

Minor rehabilitation activities applied at the church included:

- Removal of the existing tile roof and the cement layer arranged under it;
- Roof wings were cleaned, swept and washed;
- New grooved tile roof was arranged instead of the old one.

As a result the church is secure against any possible affects of atmospheric precipitations.




ძველი გავაზი | Dzveli Gavazi



კარდენახის "საბანმონდის" ეკლესია | Kardenakhi St. Sabah Church (St. Sabah)



ეკლესიის ანაზოები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არქივის მასალა
Measurement Documentation of the Cultural Heritage Archive



ეკლესიის ანაზომები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არქივის მასალა
Measurement Documentation of the Cultural Heritage Archive

ახალი შუამთა

შემსრულებელი: ი/მ ბეჟან ყაველაშვილი

თელავის რაიონში, ძველი შუამთიდან 2-3 კმ. მანძილის დაშორებით, ახალი შუამთის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს. მონასტრის მთავარი ტაძარი, XVI საუკუნის 40-იან წლებში ლევან კახთა მეფის მეუღლის, თინათინის თა-ოსნობით აიგო. XIX საუკუნეში ეგზარხოს ესევის დროს ტაძრის დაზიანებული ნაწილები შელესეს, ხოლო თავად ტაძარი კირ-ხსნარით შეათეთრეს.

2008 წელს ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარზე სარეზილიტაციო სამუ-შაოები ჩატარდა, რის შედეგადაც:

- მთლიანად გაიწმინდა ნალესობისა და შეთეთრებისაგან ფასადები და გუმბათის ყელი;
- გუმბათის ყელზე გამოიკვალა კარნიზის და ლილვების დაზიანებული ფი-გურული აგურები;
- აღდგა შირიმის ქვის კარნიზი ხელოვნური შირიმის ქვით;
- სახურავიდან მოიხსნა დაზიანებული გადახურვა, გაიწმინდა და მოეწყო ახალი სახურავი მოთუთიებული თუნუქით, ხის ლილვებზე;
- ტაძრის ფასადზე გამოიკვალა ყველა დაზიანებული აგური და აღდგა შესრული თაღები;
- სარკმლები შეიკვალა წაბლის ხისაგან დაშბადებული სარკმლებით;
- მოეწყო სარინელი.

ახალი შუამთის მონასტრის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარს ისტორი-ული სახე დაუბრუნდა.



ახალი შუამთის კომპლექსი სამუშაოების დაწყებამდე | Prior to Commencement of the Rehabilitation Activities

AKHALI (NEW) SHUAMTA

Contractor: Individual Entrepreneur Bezhan Pavliashvili

Monastery complex of “Akhali Shuamta” is located in a distance of some 2-3 km from “Dzeli ShamTa”, Telavi District. Construction of the main church of this safe heaven initiated by Queen Tinatin, spouse of King Levan of Kakhetia was being in progress in 40-ies of XVI c. In XIX c, in times of Exarh Evsey damaged sections of the church were plastered and the construction itself was whitewashed.

Rehabilitation of the Mother of God Church was carried out in 2008, when:

- Façades and dome barrel were entirely cleaned of plaster and whitewash layer;
- All damaged shaped bricks of the dome barrel cornice and rods were changed with safe ones;
- Artificial gallstone cornice was restored all along the perimeter;
- Damaged roof was taken off , worn-out wooden rafters changed and new corrugated iron roof arranged;
- All damaged sections of the façade brickwork were changed and sagittal arches restored
- All windows were changed and new chestnut windows arranged;
- Water divert channel was arranged.

As a result of the aforementioned activities the initial features of Mother of God church of Akhali Shuamta Monastery were restored.



რესტავრაციის პროცესი | The Rehabilitation Activities in Progress



ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიას ისტორიული სახე დაუბრუნდა | The Mother of God Church Regained its Initial Features



ხოშათიანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, XVI-XVII სს.

შემსრულებელი: ააიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონიტორინგის ცენტრი"

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, სოფ. ხოშათიანის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია XVI-XVII საუკუნეების მიჯნის ერთ-ერთი სახასიათო ძეგლია. აგურისა და რიყის ქვით ნაგებ მცირე დარბაზულ სამლოცველოს, დასავლეთის მხარეს სამრეკლო აქვს მიდგმული. სამრეკლოს იატაკში თაღოვანი კრიბტა მოწყობილი, ეკლესიის ინტერიერში კი ე.წ. ხალხური მოხატულობის ფრავგენტებია შემორჩენილი.

ნაგებობამ ჩვენს დრომდე დაზიანებული სახით მოაღწია: ეკლესიისა და სამრეკლოს ინტერიერში აყრილი იყო იატაკი, ორქანობა კრამიტის სახურავი დაფარული იყო მცენარეული საფარით, დაზიანებული იყო კარნიშები, ფასადებზე ალაგ-ალაგ ამოვარდნილი იყო ქვისა და აგურის წყობები, სამრეკლოს არ ჰქონდა კარი, ეკლესია ჩამალული იყო დიდდანიანი ხეების მწვანე საფარში.

შესრულებული მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად:

- ეკლესიის გარშემო მოიჭრა დიდდანიანი ხეები;
- გადაეწყო და აღდგა ეკლესიისა და სამრეკლოს დაზიანებული კედლის წყობები;
- ეკლესიასა და სამრეკლოში მოეწყო აგურის იატაკი;
- ეკლესიასა და სამრეკლოს მთელს პერიმეტრზე აღდგა დაზიანებული კარნიშები აგურის წყობით;
- ეკლესიაზე მოეწყო კრამიტის სახურავი;
- სამრეკლოს ფანჯატურის სახურავი გაიწმინდა მცენარეებისაგან, ხოლო ნაკლული ადგილები შეივსო კირსნართა და აგურით;
- ეკლესიაზე დამონტაჟდა ხის ორი კარი;
- ეკლესიის გარშემო მოეწყო სარინელი.

შედეგად, სოფელ ხოშათიანის, ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია სრულადაა რეაბილიტირებული.



ხოშათიანის ეკლესია სარესტავრაციო სამუშაოებამდე
Prior to Commencement of the Rehabilitation Activities

KHOSHATIANI MOTHER OF GOD CHURCH, XVI-XVII CC.

Contractor: Noncommercial Legal Entity "Georgian Culture Heritage monitoring centre"

Mother of God church of the turn of XVI-XVII cc located in the village of Khoshatiani, Lagodekhi Municipality is one of the representative monuments of its times. This small, single-nave church built of the mix of brick and cobblestone has got a bell-tower attached from the west. An arched crypt has been arranged in the bell-tower floor. Some fragments of so called "Folk Style" wall painting are preserved in the interior.

The church is damaged – floors were missing both in the church and the bell-tower interiors, two-winged tile roof was covered with dense vegetation, cornices were turned shabby, integrity of the façade surface was repeatedly disrupted by missing brickwork and stonework, the bell-tower had no door and the whole of the construction was hidden in the green of some huge trees.

Several minor rehabilitation activities were applied at the monument that included:

- Cutting-down of all huge trees damaging and threatening the construction integrity;
- Restoration and re-arrangement of all damaged and disrupted sections of the load bearing walls and façades;
- Finish of the church and the bell tower floors with Georgian brick;
- Restoration of the cornices along the whole perimeter of the church and the bell-tower using brick only;
- Covering of the church with tile roof;
- Cleaning of the bell-tower veranda roof of vegetation and filling up of all damaged or missing sections with brick laid over the lime mortar;
- Provision of both of the church entrance openings with wooden doors;
- Arrangement of water divert channel all around the church.

As a result of the listed above activities Khoshatiani Mother of God Church has been rehabilitated entirely.



რესტავრაციის პროცესი | The Rehabilitation Activities in Progress



რესტავრირებული ეკლესია | Rehabilitated Church



აგურის წყობით აღდგა დაზიანებული კარნიშები
All Damaged Sections of the Cornice were remade with brickwork



თაღოვანი კრიბტა რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ
Arched Crypt before and after Restoration



ავენიის ნმ. გიორგის სახელობის
სამეკლესიოანი ბაზილიკა, VIII-IX სს.

შემსრულებელი: “კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის ცენტრი”

დეუთის რაიონში, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირას, სოფ. ავენისის მახლობლად, ავენისის წმ. გიორგის სახელობის მონასტერი მდებარეობს. გალავანშემოზღუდული მონასტრის მთავარი ნაგებობა VIII-IX სს სამეკლესიანი ბაზილიკაა.

XX საუკუნის 90-იან წლებში სამონასტრო კომპლექსში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა, თუმცა წლების განმავლობაში ეკლესიის კრამიტის საფარი დაზიანდა, მოირღვა ორიგინალი ქვის ლავარდანის ჰორიზონტალური წყობა, კომპლექსის ჩრდილოეთით მდებარე დიდგანანი ხეები კი აზიანდება ეკლესიის ჩრდილოეთ ნაესა და გალავანს.

მკირე სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად:

- მთლიანად მოისხნა სამეკლესიანი ბაზილიკის დამიანებული სახურავი, მოიჭიმა კირდულები და დაიფო ახალი, ღარიანი კრამიტი;
- ჩრდილოეთ ნაგებო მოეწყო ქვის იატაკი;
- საძირკველში ატმოსფერული ნალექების ჩადინების აღმოსაფხვრელად, ბაზილიკის აღმოსავლეთ ფსადსა და სუბსტრუქციას შორის არსებული სივრცე გადაიხურა კრამიტით;
- აღდგა გალავნის დამიანებული ნაწილები;
- კომპლექსში შეხვედრი ნაგებობები გაიწმინდა მცენარეული საფარისაგან და მოხდა მათი კონსერვაცია;
- მოწესრიგდა სამონასტრო კომპლექსის ტერიტორია.



ავენისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია რესტავრაციაზე | Avenisi St. George Three-nave Basilica Prior to the Restoration

**AVENISI ST. GEORGE THREE-NAVE
BASILICA, VIII-IX CC.**

Contractor: Cultural Heritage Rehabilitation Centre

St. George monastery is located on the left bank of Aragvi River, in close proximity of Avenisi Village, Dusheti District. The three-nave basilica of the turn of VIII-IX cc is the central construction of the monastery that is encircled by the defensive stone wall.

Although rehabilitation activities were carried out here in late 90-ies of the last century, time elapsed since then turned to be enough for considerable deterioration of the church tile roof and demolition of the horizontal masonry of the stone cornice comprised of two layers. Trees grouped north of the complex had been damaging the church northern nave and the defensive wall.

Several minor rehabilitation activities were applied at the monument that included:

- Removal of the worn-out roof of the church together with the weathered and cracked lame mortar layer; its substitution with the new strata of the same substance and arrangement of the grooved tile roof over it;
- Stone floor arrangement in the northern nave;
- Arrangement of tile protective cover over the space between the western façade and the respective sup-structure section to avoid any further penetration of atmospheric precipitations to the basement;
- Restoration of the defensive stone-wall damaged sections;
- Cleaning of all monastery buildings of vegetation and their conservation;
- Tiding-up of the entire territory of the monastery complex.



სამუშაო პროცესი | The working Activities in Pro-



დაიგო ახალი კრამიტის სახურავი | New grooved tile roof was arranged



ახალი ქვის იატაკი | New Stone Floor



ნაგებობები გაიწმინდა მცენარეული საფარიდან
The Monument was cleaned from vegetations



რესტავრირებული ეკლესია | Restored Church

ანკურის ღმრთისმშობლის ტაძარი, XI-XIV XV სს.

შემსრულებელი: კავშირი “არქიტექტურული აზრის განვითარება – ერდო”

ანკურის ღმრთისმშობლის საკათედრო ტაძარი (ახალციხის მუნიციპალიტეტი), ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გრანდიოზული ძეგლია სამხრეთ საქართველოში. ტაძრის თავდაპირველი მშენებლობის შესახებ ისტორიული ცნობები არ შემორჩენილა. მიწისძვრით დანგრეული ეკლესია აღადგინეს სამცხის მმართველმა ათაბაგებმა, ჯაყელებმა – XIV-XV სს-ში. ტაძარი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით, ისტორიული მნიშვნელობითა და გამორჩეული მონუმენტურობით, ქართული საკულტო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

ამჟამად, ძეგლის მდგომარეობა ძალიან მძიმეა, როგორც არქიტექტურული, ასევე კონსტრუქციული თვალსაზრისით. ჩანგრეულია კამარა, დაზარულია კედლები, საბირე წყობის დიდი ნაწილი ჩამოცვნილია და მორღვეულია კედლის ზედა მონაკვეთები. ფაქტობრივად, ტაძრის 2/3 დანგრეულია. აუცილებელია შემორჩენილი კედლების და კონსტრუქციების გაძაგრება და საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სარეაბილიტაციო პროექტს უნდა დაეყრდნოს. “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში ანკურის ღმრთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტის მომზადების მიზნით შესრულდა:

- ტაძრის აომეითი სამუშაოები;
- ძეგლის დეტალური ფოტოფიქსაცია;
- გენგეგმა – მ. 1 : 1500;
- სახელოვნებათმცოდნეო კვლევა;
- არქიტექტურული ნაწილი;
- საინჟინრო-გეოლოგიური და კონსტრუქციული კვლევა;
- კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი და პასპორტი;
- ტაძრის ტერიტორიის ტოპოგეგმა ელექტრონულ ფორმატში.



ანკურის ღმრთისმშობლის ტაძარი, კანკელის ფრაგმენტი და ნახევარსვეტების დეტალი | Atskhuri Mother of God Church, detail of the iconostasis and half columns

ATSKHURI MOTHER OF GOD CHURCH, XI-XIV/XV CC.

Contractor: Union “Development of Architectural Thought – Erdo”

Atskuri Cathedral of Mother of God (Akhaltsikhe Municipality) is one of the most important and largest monuments in South Georgia. Unfortunately, no historical data has been preserved regarding the church building initial time. It is known for sure that the initial church devastated by a strong earthquake was restored sometime in XIV-XV cc by the rulers and owners of the historical province of Samtskhe – the house of Jakeli, holders of the title of the Atabeks. Due to its artistic and architectural values, historical significance and distinguished monumentality, the temple is one of the most important monuments of Georgian cult architecture.

Currently both architectural and constructional conditions of the monument are rather troublesome – the vault is ruined, walls are damaged, majority of facing stones are fallen down and wall upper sections are loosen. Actually two-thirds of the temple is ruined. Consolidation of the remaining walls and constructions coupled with conservation activities should be provided urgently. Both the latter, on their own, should be bases upon the Rehabilitation Project. For the purposes of preparation of Atskuri Mother of God Cathedral Rehabilitation Project activities carried out within the framework of “2008 State Programme for Cultural Heritage Protection” were as follows:

- Measurement of the temple;
- Detailed filming of the monument;
- General Layout scale 1:1500;
- History of art research;
- Architectural research;
- Engineering-geological and constructional researches;
- Preparation of the Passport and the Inventory Card of the Immovable Monument of the Cultural Heritage;
- Digital version of the temple territory Topographical Map.



აღმ. ფასადი | Eastern Façade




აღმ. ფასადი, იხვერეთი | Eastern Façade, Interior



ჩრდილოეთი მინაშენი | Northern additional part



ჩრდილოეთი მინაშენის დეტალი | Northern additional part, detail



დაბა აბასთუმანი, ფალიაშვილის ქ. №24-ში მონასტერი, XIX ს.

შემსრულებელი: ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო
საბჭოს საქართველოს ეროვნული კავშირი (ICOMOS – საქართველო)

2008 წლის მარტში ხანძარმა უკიდურესად დაზიანა, რუსეთის საიმპერატორო გვარის რომანოვების სასახლეთა კომპლექსის “შთავარი” ნაგებობა – გიორგი რომანოვის ხის ორსართულიანი სასახლე, რომელშიც ამჟამად აბასთუმნის დედათა მონასტერია განთავსებული.

XIX საუკუნის მიწურულს, დაბა აბასთუმანში, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III ძისთვის, უფლისწულ გიორგისათვის (1871–1899 წწ.), სამი სასახლე აშენდა. ორი ხის და ერთი ქვის სასახლე დამზადრე ნაგებობებითურთ ერთიან კომპლექსს ქმნი. ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ უფლისწულის მუდმივი საცხოვრებელი ხის ორსართულიანი სასახლე უნდა ყოფილიყო.

ძეგლის განსაკუთრებული მხატვრულ-ისტორიული ღირებულებიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი, რომანოვების სასახლის რესტავრაციარეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად. შედეგად, შესრულდა დაბა აბასთუმანში, ფალიაშვილის ქ. №24-ში მდებარე დედათა მონასტრის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც მოიცავს საინჟინრო კონსტრუქციულ შეფასებასა და დაცვას, საღებავის ლაბორატორიული ანალიზის შედეგებს, არქიტექტურულ-არქეოლოგიურ ანაზოზს, არქიტექტურულ-არქეოლოგიურ საველე აღმოგვებს – კროკებს, ფოტოდოკუმენტაციას. არსებული მასალების საფუძველზე მოხდება აბასთუმნის დედათა მონასტრის აღდგენა.



დაბა აბასთუმანი, დედათა მონასტერი ხანძარამდე | Abastumani Nunnery

NUNNERY AT 24, PHALIASHVILI STR., ABASTUMANI, XIX C.

Contractor: Georgia National Union of International Committee of Monu-
ments and Sites-ICOMOS – Georgia

Fire occurred in March 2008 heavily damaged a two storied wooden building of now Abastumani Nunnery, initially built as the main construction of the complex of palaces intended as the permanent residence of Grand Duck Giorgi Romanov (1871-1899).

The entire complex of palaces containing two wooden and one – mason-work palaces with many auxiliary buildings was built in Abastumani in the fall of XIX c for His Imperial Highness Grand Duck Giorgi Romanov, one of the sons of Emperor Alexander III. According to survived documentation the two-storied building was assigned to be Giorgi Romanovs' permanent residence.





Due to particular artistic and historical importance of those monuments the Ministry of Culture, Monuments protection and Sport of Georgia has announced an invitation to the Tender for Preparation of Restoration-Rehabilitation Documentation of the Romanov's Palace. As a result, a rehabilitation project of Abastumani nunnery located at 24, Paliashvili str, has been prepared including engineering-construction appraisal and the respective Conclusion, results of the paint laboratory analyses, layout and design drawings, field sketches and photo material. The Abastumany Nunnery will be restored on the base of this material.



მონასტერი ხანძრის შემდეგ | Remains of Abastumani Nunnery after the Fire



დედათა მონასტერი, ინტერიერი | Abastumani Nunnery, Interior



ზარზმის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესია, XIV ს.

შემსრულებელი: თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ისტორიულ შესებთში, სამცხის მანდატურთუხუცესის, ბექა ჯაყელის მიერ აგებული ზარზმის მონასტრის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის მოხატულობის კონსერვაცია-რესტავრაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში ეტაპობრივად მიმდინარეობდა. XIV საუკუნის ტაძარი აგებისთანავე შეუქვიათ ფრესკებით, თუმცა ძლიერი დამიანების გამო XVI საუკუნეში ტაძრის ინტერიერი ხელახლა მოხატეს. მხატვრობის კიდევ ერთი ფენა 1905 წელს მიეკუთვნება, როდესაც რუსმა მხატვარმა სლავცევმა მოხატულობის დამიანებული ადგილები ხელახლა შელესა და თავიდან მოხატა. მხატვრობა კიდევ ერთხელ დამიანდა XX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ფრესკების გარეული ნაწილები გადაილესა და შეიღება.

2006-2007 წლებში შესრულებული სამუშაოების დროს მოიხსნა პირველი რეგისტრის გადაღებული მხატვრობა და დასრულდა საკუთხევის, გუმბათის ყელისა და აფრების საკონსერვაციო სამუშაოები.

2008 წელს შესრულდა მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ მკლავების მოხატულობათა კონსერვაცია. სავალალო მდგომარეობაში იყო კამარები, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლები. მხატვრობის ფენა რიგ ადგილებში 5-10 სმ-ით იყო კედლიდან გამოწეული და დაკიდებული, სუსტი იყო ბათქაშიც. შესაბამისად:

- გამაგრდა ბათქაშისა და საღებავის ფენა;
- ამოგლეჯილი ადგილები ამოივსო კირის ხსნარით;
- მხატვრობას მოსცილდა მარილები, კომპოზიციები გაიწმინდა მტერისა და ჭუჭყისგან;
- მოხატულობის ქვედა რეგისტრს მოსცილდა მწვანედ და წითლად გადაღებული ფენები;
- შესრულდა ზუსტი იკონოგრაფიული სქემები;
- მოხდა ფერწერის სრული ფოტოფიქსაცია.

დღეისათვის ზარზმის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის მხატვრობის კონსერვაცია დასრულებულია. სრულადაა გამოვლენილი, გამაგრებული და შენარჩუნებული როგორც XIV და XVI საუკუნეების, ისე XX საუკუნის დასაწყისის სლავცევისეული მხატვრობის ფენა.

ZARZMA MOTHER OF GOD ASSUMPTION CHURCH, XIV C.

Contractor: Ap. Kutateladze Tbilisi State Academy of Fine Arts

Zarzma Mother of God Assumption Church wall painting conservation and restoration had been applying applied in several phases during the last three years. Located in the historical province of Maskheti the monument was built by Brka Mandaturtuhutsesi (something alike the modern Minister of Interior) in XIV century. Shortly after completion of its construction the church interior was adorned with wall painting, although, because of considerable damages suffered in XVI century, it was repeatedly painted. The latest of wall paintings dated 1905 were performed by Russian artist Slavtsev, who performed several new frescoes over the new plaster layer; after all damaged sections of wall plaster with paintings had been removed. In the 90-ies of XX century wall painting was once more affected, when several sections were over-plastered and over-painted.

During the conservation activities carried out in 2006-2007 all sections of over-painted wall painting at the first register were cut out and conservation of sanctuary, dome barrel and wing paintings were completed.


Activities implemented in 2008 were focused on conservation of northern, southern and western arm wall painting of the main church. Vaults and eastern and western walls were in bad repair. Some painted sections were detached from the wall for 5-10 cm., hanging over as small sacks or swellings. Besides, wall plaster was weathered as well. Respectively:

- Wall plaster and paint layers were consolidated;
- All torn out sections were filled-up with lime solution;
- Wall painting was cleaned off the organic salt, dirt and dust;
- Lower register wall painting hidden under the layer of green and red paint were cleaned and revealed;
- Accurate iconographical sketches and diagrams were made;
- Entire wall painting was filmed in details.

Currently the whole of Zarzma Mother of God Assumption Church wall painting is being rehabilitated and its conservation is completed. All survived wall paintings of XIV, XVI and early XX c performed by Slavtsev were revealed, restored and stabilized.



მოხატულობის სქემატური გამოსახულება, "წათლისება"
Scheme of wall painting, "Epiphany"



მოხატულობის სქემატური გამოსახულება, "ფრისცავლება"
Scheme of wall painting, "Transfiguration"



ზარზმის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის მოხატულობა | Zarzma Mother of God Dormition Monastery Wall Painting

ბაგრატის ტაძარი, XI ს.

შემსრულებელი: ააიპ "საქართველოს მემკვიდრეობა"

ბაგრატის საკათედრო ტაძარი (ქ. ქუთაისი) შიშველი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ერთ-ერთი უდიდესი ჯგერ-გუმბათოვანი ნაგებობაა საქართველოში. მისი მშენებლობა 1003 წელს დასრულდა. 1692 წელს, თურქეთ-რუსეთის ომის დროს ტაძრის აღეთქების შედეგად, ჩაინგრა გუმბათი და კამარები. ნაგებობა კიდევ უფრო დაზიანდა 1770 წელს ქუთაისის ციხის თურქებისაგან გათავისუფლების დროს. XIX ს. I ნახევარში ჩაიქცა დასავლეთის კარიბჭეც.

1952 წელს დაიწყო ტაძრის საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები. წაწლობრივ აღდგა კედლები, გუმბათქვეშა ბურჯები, შიდა და გარე მოპირკეთება. 1990-იან წლებამდე ტაძრის აღდგენას ხელმძღვანელობდა არქიტექტორ-რესტავრატორი პროფ. ვ. ცინცაძე. ამ პერიოდში ჩატარდა ტაძრის აღდგენა-გამაგრების ექვსი ეტაპი. 1992-1994 წლებში აღდგა დასავლეთის კარიბჭე.

2003 წლიდან ბაგრატის ტაძარზე მიმდინარეობდა გეგმაზომიერი არქეოლოგიური სამუშაოები, რომელიც 2007 წელს დასრულდა. გამოვლინდა რამდენიმე სამშენებლო ფენა. 2005 წლიდან სამინისტროს მიერ, არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად, დაფინანსდა ტაძრის გეოლოგიური კვლევაც.

ჩატარებულმა საინჟინრო-კონსტრუქციულმა კვლევებმა აჩვენა, რომ არსებული სახით ტაძრის კონსტრუქციების დატოვება დაუშვებელია. შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მიმართულებით გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში 2008-2009 წლებში განხორციელდება პროექტი: ბაგრატის ტაძრის კვლევითი სამუშაოები და კონსტრუქციული გამაგრების პროექტის მომზადება.



ბაგრატის საკათედრო ტაძარი | Bagrati Cathedral

BAGRATI CATHEDRAL, XI C.

Contractor: Noncommercial Legal Entity "Georgian Heritage"

Bagrati Cathedral located in Kutaisi has been entered the List of the World Cultural Heritage and is one of the biggest cross-shape domed monument all over the country. Its construction was completed in 1003. During the Russian-Turkish War the temple was blown up in 1692, when its dome and vaults were destroyed. The already damaged temple suffered new round of destructions, when in 1770 Kutaisi castle was freed of the Ottoman troops. The sad round of destructions was continued by the demolition of western porch of the church in the first half of XIXc. The temple conservation and restoration activities were commenced in 1952. Walls of the temple, dome supporting columns and internal and external facing were partially restored during the six rounds of restoration that have been carried out since the aforementioned year; all implemented under the leadership of architect-restorer Prof. V. Tsintsadze. In 1992-1994 western porch of the temple was restored as well.

The preplanned and scheduled archaeological activities of Bagrati cathedral that had started in 2003 were completed in 2007. As a result, several construction layers were revealed there. From 2005, in parallel to archaeological excavations geological studies of the area funded by the Ministry of Culture were also carried out.

Engineering and constructional researches of remaining parts of the cathedral have revealed absolute inadmissibility of their abandoning in current state. Respectively, the Project "Research of Bagrati Cathedral and Preparation of Constructional Consolidation" was implemented in 2008-2009, prepared within the scope of the announced tender for creation of the restoration-rehabilitation project documentation for the monuments of cultural heritage.



მიმდინარე საპროექტო სამუშაოები | Ongoing Project Activities

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 თებერვლის №74 განკარგულებით “შსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის – ბაგრატის ტაძრის კვლევითი სამუშაოების ხელშეწყობის შესახებ” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაევალა მისთვის “საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში ერთ პირთან მოლაპარაკების გზით უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რისთვისაც საგანგებო შეკვეთით დამზადდა (თურქეთის რესპუბლიკაში) ლითონის ასანწყობი ინვენტარული ხარაჩო და დამონტაჟდა ბაგრატის ტაძრის მთელ პერიმეტრზე.

მიმდინარე წელს, ბაგრატის ღმრთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტის I ეტაპზე შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- 2008 წლამდე ჩატარებული კვლევითი თუ აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების დოკუმენტაციის მოძიება და ამ მასალების საფუძველზე რეაბილიტაციის პროექტის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა;
- ძეგლის დეტალური ფოტოფიქსაცია;
- ტაძრისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის უახლესი ტოპოგეგმა;
- სიტუაციური გეგმა;
- სრული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზოში;
- განხორციელდა ტაძრის მიწისზედა და მიწისქვეშა შიდა კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და კვლევა;
- სამშენებლო მასალების კვლევა, ლაბორატორიული ანალიზები;
- სახელოვნებათმცოდნეო კვლევა;
- შედგა ბაგრატის ღმრთისმშობლის ტაძრის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი და პასპორტი.

პროექტის განხორციელების შედეგად, რომელიც 2009 წელს დასრულდება, შეიქმნება ძეგლის ფიზიკური რეაბილიტაციისათვის საჭირო სრული საპროექტო დოკუმენტაცია.



It should be mentioned that in accordance with provisions of February, 25, 2008 Decree No.74 of the Government of Georgia “On Facilitation of Research Activities of Bagrati Cathedral - the Monument Entered the List of World Cultural Heritage”, the Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia was assigned a task of provision of all respective measures at the earliest of its convenience for the implementation of provisions envisaged by the Decree within the limitations set for the Ministry by “The Law of Georgia on the State Budget for the Year of 2008” through negotiation with the single source. In terms of the task assigned, a special service order had been issued and prefabricated metal scaffold system was manufactured in Turkey and arranged on the whole perimeter of Bagrati cathedral.

Activities carried out within the scope of the I-st Stage of Bagrati Mother of God Cathedral Rehabilitation Project were as follows:

- Search and compilation of all existing documentation in regard of all research, restoration and rehabilitation activities carried out at Bagrati Cathedral till the year of 2008 and determination of essential trends of the Rehabilitation Project on the bases of the data obtained;
- Detailed filming of the monument;
- The most recent topographic map of the temple and the adjacent territories;
- Situational layout;
- The complete architectural-archeological measurement and drawings;
- Research and assessment of underground and aboveground load-bearing constructions of the temple;
- Laboratory testing and analyses of all construction material;
- History of art research;
- The Inventory Card and The Passport for Bagrati cathedral as for the Immoveable Monument of Cultural Heritage were completed.

Following comprehensive implementation of the Project estimated for 2009 the complete project documentation necessary for actual rehabilitation of the monument will be prepared.



გელათის სამონასტრო კომპლექსი, XII-XIII სს.

შემსრულებელი: ააიპ "საქართველოს მემკვიდრეობა"

მდ. წყალწითელას მაცხენა მხარეს, ქალაქ ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გელათის სამონასტრო კომპლექსი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. 1106 წ. მეფე დავით აღმაშენებელმა აქ დიდი მონასტერი დააარსა, რომელიც თავიდანვე სამეფო მონასტერს წარმოადგენდა და ქართული კულტურისა და განათლების უნიშვნელოვანესი ცენტრი იყო.

მონასტერს საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ნაგებობები ემატებოდა. მათ შორის უმთავრესია: ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი (1106-1130 წწ.), წმ. გიორგის ეკლესია (XIII ს.), წმ. ნიკოლოზის ორსართულიანი ეკლესია (XIII ს.), სამრევლო (წყაროს თავზე), აკადემიის შენობა (XII ს.), გალავანი, მასში დატანილი ორი კარიბჭით, რომელთაგან სამხრეთის უბეველესია (სწორედ აქ არის დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა) და აღმოსავლეთის კარიბჭე, რომელიც დღესაც მოქმედი.



გელათის სამონასტრო კომპლექსი | Gelati Monastery

GELATI MONASTERY COMPLEX, XII-XIII CC.


Contractor: Noncommercial Legal Entity "Georgian Heritage"

The World Cultural Heritage Monument – Gelati Monastery Complex is located northeast of Kutaisi, on the right bank of Tskhaltsitela River. King David IV the Builder founded the large monastery complex in 1106, from the very beginning being the Royal Monastery that became the most important centre of Georgia culture, education and enlightenment.

Several other constructions were added to the monastery through the course of time the most important of which are the monuments as follows: temple of Dormition of Mother of God (1106-1130), St. George church (XIII c.), St. Nickolas two-storied church (XIII c.), a bell-tower arranged just above the spring, building of the Academy (XII c.), a defensive masonry wall with two openings for porches. The southern one of those two is earlier with King David the Builder's grave arranged there, whilst another; the eastern porch is being operational up to nowadays.



ღმრთისმშობლის შობის ტაძარი, ინტერიერი, ფრესკული მხატვრობა | Mother of God Birth Church, The Interior





დმრთისმომოვლის შობის ტაძარი, ნარეთუქი, საღვინეგელი გუმბათის მოხატულობა
Mother of God Church, Narthex, Baldachin. Wall painting of the Dome



დმრთისმომოვლის შობის ტაძარი, გუმბათის მოხატულობა
Mother of God Church, Wall painting of the Dome

XX ს-ის II ნახევრიდან მოყოლებული, რამდენიმე ათეული წელია, კომპლექსში არ ჩატარებულა აღდგენითი სამუშაოები, არ არსებობდა რეაბილიტაციისა და გან-
ვითარების ერთიანი გეგმაჲ. ამ ლაკუნის შესავსებად და კომპლექსის გაჯანსაღების
ყოვლისმომკველი სტრატეგიის შესამუშავებლად “კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში მომზადდა გე-
ლათის სამონასტრო კომპლექსის საპროექტო დოკუმენტაცია. კერძოდ:

- უცხოელ სპეციალისტებთან ერთად (უვე ლოიხტმანი, ანაბელ გონსა-
ლესი), უახლესი მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით,
შესრულდა არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზოშები, ლოკალურ და-
ზიანებათა აღნიშვნით;
- სახელოვნებათმცოდნეო კვლევა;
- კედლის მხატვრობის დზიანებათა პირველადი შეფასება, შემუშავდა რე-
კომენდაციები;
- კომპლექსისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის გენერალური გეგმა;
- საინჟინრო კომუნიკაციების (ელექტრომომარაგება, წყამომარაგება, კანალი-
ზაცია, გათბობა-ვენტილაცია, სუსტი დენები, სანიაღვრე სისტემა) პროექტი;
- დენდროლოგია;
- კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული თანამედროვე შენობების რეკონს-
ტრუქციის პროექტი;
- მკირე არქიტექტურული ფორმებისა და კეთილმოწყობის ელემენტების
პროექტები და სხვ.

გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი მსოფლიო კულტუ-
რული მემკვიდრეობის (UNESCO) ამ უნიკალური ძეგლის ფზიკური რეაბილიტა-
ციის საფუძველია, რომლის მიხედვითაც განხორციელდება კომპლექსში შემავალი
ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, გელათის აკადემიის შენობის აღდგენა, სა-
ინჟინრო კომუნიკაციების შეკვლა და ახალი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება.

The reconstruction activities have not been applied to the monastery for sev-
eral decades. Neither any unified rehabilitation nor development plans have
been elaborated ever since the second half of the XX c. For the purposes of
filling up that gap and elaboration of the comprehensive strategy for improve-
ment of the complex the Gelati Monastery Complex Design Documentation has been prepared within 2008 State Program for Cultural Heritage Protec-
tion. Particular activities carried out within that process were as follows:

- The full-scale architectural and archaeological sketches and layouts were prepared using up to date devises and state of art methodologies accu-
rately indicating all local damages. Foreign experts were invited in this process (Uve Loikhtman, Annabel Gonzalez);
- History of Art research;
- Primary assessment of revealed wall painting damages and preparation of the respective recommendations;
- General Layout for the Monastery territory and adjacent area tidying
- Communication and utilities provision project, including the power supply, potable water supply, sewage system, heating and air conditioning/ventilation, low current wiring, culverts and storm water diverting pipe work designs;
- Dendrology studies;
- Project for safe demolition of modern unfit constructions on the Monastery territory;
- Projects for separate utilities and small architectural constructions.

The Rehabilitation Project of the unique monument of World Cultural Heritage – Gelati Monastery will serve as the base for physical rehabilitation of the monastery. All separate constructions of the ensemble coupled with the restoration of Gelati Academy compound, replacement of the existing engineering communications and arrangement of new infrastructures will be carried out in accordance to the aforementioned Project.




ღმრთისშობლის ტაძარი, ნახევარსვეტების ბაზისი
Mother of God Church, Detail of the façade decoration



აკადემია, კარიბჭე, სვეტი ლომის გამოსახულებით
Academy, Porch, Column with the relief of the lion



სამრეკლო | Bell-Tower



68. ნიკოლოზის ეკლესია | Church of St. Nicholas



69. გიორგის ეკლესია | Church of St. George

გელათის სამონასტრო კომპლექსში გეგმარაგა კადასტრის შენობის არქეოლოგიური და გეგმარებითი სამუშაოები

შემსრულებელი: ააიპ “საქართველოს მემკვიდრეობა”

“კულტურული მემკვიდრეობის დაცვის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში” მომზადდა გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია.

გელათის მონასტრის ისტორიის შესწავლა–რეაბილიტაციისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ძეგლის არქეოლოგიური კვლევა.

2008 წლის ოქტომბერ–ნოემბერში მომდინარეობდა აკადემიის შენობის არქეოლოგიური სამუშაოები, რომლის მიზანიც იყო აკადემიის ძირა სართულის სათავის, მასში შემავალი კარისა და თავდაპირველი მერხების გამოვლენა; მათი მეშვეობით ძეგლის სამშენებლო ეტაპების გამოყოფა, ქრონოლოგიური გამოიყვანა და წერილობით წყაროებთან სინქრონიზაცია.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა:

- მიწისქვეშა სართულის დიდი ზომის სარკმლებიანი სათავის აკადემიის ფუნქციონირების თავდაპირველი სამშენებლო გეგმიზე გაუთვალისწინებიათ. იმ დროისათვის მისი სართულშუა გადახურვა ხის იყო და შესასვლელი მხოლოდ ჩრდილოეთით, ეზოს მხრიდან ჰქონდა;
- მოგვიანებით, II ეტაპზე კარზე თაღოვანი კარიბჭე მოუშენებიათ, რომლის დასავლეთის კედელი სხვა, ჯერ გაუთხრელ ნაგებობებს უკავშირდება;
- III ეტაპზე კარიბჭე ჩრდილოეთით თაღოვანი გალერეით გაგრძელდა (ეს მონაკვეთი კვლავაც შესწავლის საგანია).

აკადემიამ 1510 წლამდე იარსება. 1510 წელს კი თურქებმა “დასწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ”. ამის შემდეგაა გაუქმებული ძირა სართულის სათავის და ჩანგრეულია გალერეაც.

კომპლექსის ახალი ფუნქციით განახლება იმერეთის მეფე ბაგრატ III–ს სახელს უკავშირდება. ამ პერიოდში შენდება თაღოვანი სათავის, რომელშიც ჩასასვლელი ჩრდილო–აღმოსავლეთის კუთხეშია მოწყობილი; სავარაუდოდ სათავის ან საიდუმლო საცავს ან მალფუტებადი პროდუქტების შესანახს წარმოადგენდა. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, აკადემიის შენობა XVII საუკუნის შუა ხანებიდან სატრაპეზოდაა გადაკეთებული და ამ ფუნქციას ინარჩუნებს XIX საუკუნის 30–40–იან წლებამდე.

2008 წელს მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტის, ასევე ჩატარებული კვლევა–ძიების და არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე გელათის აკადემიის აღდგენითი სამუშაოები განხორციელდება 2009 წელს.

ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS ON THE TERRITORY OF GELATI MONASTERY ACADEMY BUILDING AND ACTIVITIES FOR ITS CONSOLIDATION

Contractor: “Georgian Heritage” Ltd.

Gelati Monastery Complex Rehabilitation Project Documentation has been prepared within the scope of “2008 State Programme for Cultural Heritage Protection”. For better understanding of the history of Gelati Monastery and its accurate rehabilitation, archaeological research of the monument is considered to be one of the most impotent aspects.

Archaeological excavations of the Academy building were in place in October–November 2008. They were aimed at unearthing of basement floor of the construction, of the entrance door and original desks arranged there. If succeeded, the construction phases could be defined and chronologically differentiated and compared and synchronized with the information provided within manuscripts.

Archaeological researches were helpful in detection of the following:

- The basement floor of the academy with large windows was original and no doubts, it was arranged from the very beginning of opening of the Academy– hence the floor had been envisaged within the initial design. The basement and ground stories were separated with wooden flooring with the entrance opening only on the north, from the yard side.
- Some time later, at the second stage, the arched porch was attached to the entrance opening. Western wall of the porch is connected to other, yet unexcavated constructions.
- On the third stage an arched gallery has been attached to the porch from the north. This section still has to be studied;
- The academy was active till 1510, when “Turks burnt both internal and external assets of the marvelous monastery of Gelati”. Just at that time the basement floor of the academy was annulled and the gallery was almost totally destroyed.

Re-establishment of the complex although with altered purpose and aim is closely associated with the name of King Bagrat III of Imereti. The new arched compound was built by that time with the entrance arranged in northwest corner. It seems that this construction was used as a secret shelter or the storage for perishable goods. The historical sources report that from the mid-XVII–century the academy building was used as the refractory, retaining that function till 30–40-s of XIX c.

Gelati academy reconstruction activities will be carried out in 2009, based on 2008 rehabilitation project documentation, where all relevant data obtained through the archaeological excavations were considered.



გელათის სამონასტრო კომპლექსი, აკადემიის შენობა | Gelati Monastery, Academy Building

გამოჩინებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, XVI ს.

შემსრულებელი: ი/მ ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის რაიონის სოფელ გამოჩინებულში მდებარე წმ. გიორგის სახელობის ერთნავიანი ეკლესია 1519 წელსაა აგებული. ეკლესიას დასავლეთითა და სამხრეთით მინაშენები ჰქონდა, რომელთაგანაც დღეს მხოლოდ ნაკვალევიღაა შემორჩენილი. კედლები რუხი-მოყავისფრო ტონის ქვის თლილი კვადრებითაა ნაშენი. როგორც ჩანს, თავის დროზე ამ ტერიტორიაზე სამონასტრო კომპლექსი ყოფილა, თუმცა ამჟამად სამრეკლოს გარდა მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი. თავად ეკლესიაც სავალალო მდგომარეობაშია. კამარები და გადახურვა მთლიანად დაზარალებულია. შემორჩენილი კედლების სიმაღლე კი 1-დან 3 მეტრამდე მერყეობს. ძველი ფოტოებიდან და ეკლესიის გარშემო ჩატარებული მკირე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებიდან ჩანს, რომ ტაძრის კარები და სარკმლები შეშკული იყო ლილვებითა და ორნამენტებით. ეკლესიის თანადროული სამშენებლო მასალა თითქმის მთლიანად მიმოფანტული იყო ეკლესიის ეზოში.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად:

- ეკლესიის ტერიტორია და ფსადლები გაიწმინდა ხე-მცენარეებისაგან;
- ეკლესიის ტერიტორიაზე გაფანტული ქვები, კარის, სარკმლის, თადის დეტალები გაიწმინდა და დაუბრუნდა თავდაპირველ ნიშნულ ადგილებს;
- თავდაპირველ ადგილას დაბრუნდა ძველი წარწერა სამხრეთ ფსადლის კარის თავზე;
- აღმოსავლეთ ფსადლე გადაეწყო ინტერიერისა და ექსტერიერის საპირე ქვები;
- ეკლარის ქვისგან დამზადდა თაღები, ნახევართაღები და ჩუქურთმიანი სარკმლები; ამავე ქვისგან დამზადებული დეტალებისაგან პროექტით გათვალისწინებულ ნიშნულამდე შეიესო ტაძრის ფსადლები;
- ჩატარდა კონსტრუქციულ-გამაგრებითი სამუშაოები;
- ფსადლებზე გადაეწყო საპირე ქვები.



გამოჩინებულის წმ. გიორგის ეკლესია სამუშაოების დაწყებამდე | Gamochinebuli, St. George Church before Rehabilitation

GAMOCHINEBULI
ST. GEORGE CHURCH, XVI C.

Contractor: Individual Entrepreneur Nugzar Jamburia

St. George single-nave church located in the village of Gamochinebuli, Samtredia District was built in 1519. Only some faint footprints of once southern and western attachments to the main body of the church are noticeable now. Church walls are built of neatly hewn blocks of gray -brownish rock. As it seems, the monastery complex had existed there at better times, although except the bell-tower; only ruins of other constructions can be seen at present. The church itself is in a very bad repair. Vaults and the whole of the roofing structure are destroyed and height of wall remains varies between 1-3 meters. Images of the church preserved on old photos and material found through minor archaeological excavations indicate that the church door and window frames were adorned with ornaments and rising rods. Most of the church building material was scattered all around the yard.

Activities carried out were as follows:

- The entire yard and the church façades were cleaned off the vegetation and trees;
- All stones, details of the entrance, window and vault scattered in the yard were collected, cleaned and returned to their respective original places;
- Old inscription initially arranged above the southern façade entrance opening was re-fixed;
- The eastern façade interior and exterior facing stones were re-arranged;
- New stone vaults, semi-vaults and window frames adorned with fretwork were manufactured; All facade cavities and missing sections were filled up and restored with the respective details made of the same rocks up to the height referred in the project;
- The remaining structural details were consolidated;
- Façade facing stones were re-arranged.



კოსოვატის ნმ. გიორგის ეკლესია, XI ს.

შემსრულებელი: ააიპ "ლარგვისის კარიბჭე"

იკრეთაში, ტყეების რაიონის სოფ. კისრეთში, რაჭის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე XI საუკუნის დარბაზული ეკლესია მდებარეობს. მკვიდრად ნაშენი ეკლესიის პერანგი თბილი მოყვითალო ფერის თლილი ქვისაა. წყობაში ალაგ-ალაგ შერეული ნაყრისფერი ქვები, შენობის ფასადებს თავისებურ სიჭრელს ანიჭებს. ეკლესიის ინტერიერი მოხატულია.

ტაძარი ტექნიკურად მდგრადია. თუმცა დასავლეთის ფასადის კარნიზის ქვეშ დაძვრული იყო საპირე ქვები, აყრილი იყო სახურავის საბურველიც. ინტერიერში ჩამავალი ადმოსფერული ნალექები კი ფერწერას აზიანებდა.

ეკლესიას მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა, რომლის ფარგლებშიც:

- ეკლესიის შეგნით მოიჭრა მიწა იატაკის პირვანდელ დონემდე;
- მოხდა ბზარების ინექტირება დასავლეთ ფასადზე;
- მოიხსნა ეკლესიის ძველი სახურავი, დამონტაჟდა ხის ახალი კონსტრუქცია და დაიფარა თუნუქით;
- დამზადდა და ადგილზე დამონტაჟდა ახალი კარები;
- იატაკი მოილესა კირ-დუღაბით;
- მოეწყო სარინელი.

შედეგად, კისორეთის წმ. გიორგის ეკლესია კარგ მდგომარეობაშია, კედლის მხატვრობა კი დაცულია ატმოსფერული ნალექების გემოქმედებისაგან.

KISORETI ST. GEORGE CHURCH, XI C.

Contractor: Noncommercial Legal Entity "The Largvisi Gate"

A single-nave church of XI c stands on the southwest slops of Racha Range, in the village of Kisoreti, Tkibuli District, Historical Province of Imereti. This solid construction has got the facing of neatly hewn rock with warm yellowish color. The random mixture of gray stones on the facades creates quite specific multicolor. The church interior is adorned with wall painting. Although the construction is being rather firm and integrated, several facing slabs beneath the western façade cornice were shaken and several sections of the roof were missing as well. Atmospheric precipitations penetrating the interior were damaging the wall painting.

Minor rehabilitation activities were carried out. In particular:

- Extra soil was removed from the interior till the initial floor level;
- All cracks on the western façade were injected and filled-up;
- Old roofing system had been removed and entirely new wooden frame and corrugated iron roof were arranged imitating the stone slab roofing.
- The new door was manufactured on-spot and hang upon;
- Floor was faced with lime mortar;
- New water divert channel was arranged.

As a result of aforementioned activities Kisoreti St. George Church condition are considerably improved and wall painting is protected against the possible affects of atmospheric precipitations.



კისორეთის წმ. გიორგის ეკლესია, ინტერიერი | Kisoreti, St. George Church, Interior



კისორეთის წმ. გიორგის ეკლესია სამეშაოების დასრულების შემდგომ | Kisoreti, St. George Church, after Restoration



ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არსებული შენობის სარეაბილიტაციო და ახალი შენობის სრული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება

შემსრულებელი: შპს “ინდასტრი კომპანი”

ქ. ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო მუზეუმის შენობა 1860–იან წლებშია აგებული და თავად ნიკოლოზ ერისთავის საკუთრებას წარმოადგენდა. ახლანდელი სახე შენობამ 1940–იანი წლების რეკონსტრუქციის შედეგად მიიღო. 1947 წელს მასში განთავსდა მუზეუმი. აქედან მოყოლებული შენობის შიდა გეგმარება არაერთხელ გადაკეთდა.

მუზეუმში 150 000-ზე მეტი ექსპონატია დაცული. საექსპოზიციო ფართის სიმცირის გამო, უამრავი უნიკალური ნივთი მხოლოდ საცავებში ინახება, სადაც არ არსებობს მათი დაცვის შესაბამისი პირობები. სამუზეუმო ექსპონატების სათანადოდ წარმოჩენისა და დაცვისათვის, აუცილებელია თანამედროვე ტიპის საექსპოზიციო დარბაზების მოწყობა და სპეციალური კლიმატური რეჟიმის შექმნა.

